„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“ — პროექტი, რომლითაც ბევრს ისწავლით გვ.4

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

„ახალი თაობა“
+
განდი
7 ლარი




ორშაბათი, 21 მარტი, 2011 | №67 (5448) | ფასი: 30 თეთრი

# ბოკერია და მერაბიშვილი სააკაშვილის წინააღმდეგ გაერთიანდებიან?!



ბოკერია არ იქნება ფასადური ფიგურა, როგორიც დღეს სააკაშვილია და მის უკან მდგომი 3-4 პიროვნება წყვეტს ყველაფერს. თუ ბოკერია პირველი ფიგურა იქნება, ის იქნება რეალურად პირველი ფიგურა ქვეყანაში.

გვ.2





## ამ ხელისუფლებას ორი გზა აქვს — ციხე ან ქვეყნიდან გაქცევა

გვ.5

## დარწმუნებული ვარ, 2013 წელს სააკაშვილი არც პრეზიდენტი იქნება და არც — პრემიერი



გვ.7



ეზუგბაია სადაზღვევო კომპანიასთან პირდაპირ კორუფციულ გარიგებაში შესული



## რკინიგზის ფულიც ბეჟუაშვილის ჯიბეში მიდის

გვ.6



გვ.3

## სააკაშვილმა ქვეყანა სამ ნაწილად გახლიჩა

დღეს რომ კორუფციაა, ისეთი შევარდნა ეს არც კი მოლანდებია



გვ.8

## ლიბიის პრეზიდენტი რუსეთმა შეიძლება საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენოს

## 3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

**6** ხელისუფლებას არჩევნების გზით შევცვლით!

**10** ცაგერის მაჟორიტარი ფალსიფიცირებულმა ღვინომ ალაშფოთა

**14** ქართველებმა დათვები ისევ დატორეს

**9** მთავრობას ოპოზიციისგან უმრავლესობა დაიცავს

# ბოკერია და მერაბიშვილი სააკაშვილის წინააღმდეგ გაერთიანდებიან?!

**ინტერნეტსივრცეში დასავლური ორგანიზაციების მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს პოსტსააკაშვილისეულ პერიოდში საქართველოს მოსახლეობა გიგა ბოკერიას ირჩევს, საზოგადოების სხვადასხვა ფენის არა მხოლოდ გაოცებას, არამედ აღშფოთებასაც იწვევს. უფლებადამცველები არ მალავენ, რომ ბოკერია თავის დროზე კარგი უფლებადამცველი იყო, მაგრამ დღეს ოპოზიციონერი პოლიტიკოსების აზრს იზიარებენ, რომ ბოკერია სერიოზული გავლენის მქონე პოლიტიკოსია, თუმცა, იმაზეც მიანიშნებენ, რომ ის ვერაგი და, ამავე დროს, საშიში პოლიტიკოსიცაა.**

**რას ნიშნავს ქვეყნისა და პირადად სააკაშვილისთვის ბოკერიას გაპირველკაცება და არის თუ არა უშიშროების საბჭოს მდივანი და თავისუფლების ინსტიტუტის სახე ის ფიგურა, რომლის პირად პოლიტიკურ ამბიციებს მართლაც შეიძლება მოჰყვეს ხალხის მასობრივი მღელვარება და გამოსვლები? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს გელა ნიკოლაიშვილთან.**



შორენა კოწოწაშვილი

***— ბატონო გელა, რამდენად არის შესაძლებელი არსებული პოლიტიკური და საარჩევნო რეალობიდან გამომდინარე რევოლუციური არჩევნების ჩატარება, რომლისთვისაც, როგორც თავად განაცხადა, ირაკლი ალასანია ემზადება?***

— დღეისათვის, სამწუხაროდ, საზოგადოების მზაობიდან გამომდინარე, არც რევოლუციისთვის ჩანს პირობები და არც რევოლუციური არჩევნებისთვის, იმიტომ რომ, ერთსაც და მეორესაც აუცილებლად სჭირდება საზოგადოების მზადყოფნა და საზოგადოების მხრიდან იმ დონის ძალის გამოვლინება, რომელიც ხელისუფლებას აიძულებს, წავიდეს დათმობებზე, ერთი მხრივ, იმისათვის, რომ რევოლუციური არჩევნებისთვის შექმნას პირობები, ანუ შექმნას საარჩევნო გარემო ობიექტური, სამართლიანი, სადაც თითოეული ხმა იქნება დაფიქსირებული და არ იქნება გაყალბების შესაძლებლობა. აი, ასეთი ზეწოლა რომ განახორციელონ საზოგადოებამ და პარტიებმა, იმის მიუხედავად, ისინი რომელ გზას ირჩევენ, ორივე შემთხვევაში საჭიროა ძალა, საზოგადოების მასობრივი მხარდაჭერა. დღესდღეობით ამ ეტაპზე ეს ძალა არ ჩანს, უფრო სწორად, ძალა როგორ არ არის, მაგრამ ეს ძალა იმ კონდიციამდე არ არის მისული, რომ საზოგადოებამ ხელისუფლება აიძულოს, დათმობებზე წავიდეს. მე, რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ, რომ რამდენიმე კვირაში ან თვეში ეს მუხტი არ აიწიოს და ეს ძალა რეალურად არ შეიქმნას, მაგრამ მე ვლაპარაკობ დღევანდელ სიტუაციაზე. დღეს, სამწუხაროდ, ეს ძალა ჯერჯერობით იმ კონდიციამდე მისული არ არის.

***— როგორ ფიქრობთ, რისი იმედი აქვს ამ შემთხვევაში ალასანიას, რომელიც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს აქტიურად ხვდება? ფაქტია, ოპოზიციური რვიანის წევრებმა თითქმის აღიარეს, რომ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებისა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების იმედი არ აქვთ.***

— როდესაც ალასანია არასამთავრობოებს ხვდებოდა, ერთ-ერთ შეხვედრას მეც დავესწარი. ეს კითხვა მეც მაინტერესებდა. აღმოჩნდა, რომ ძირითადი დასაყრდენი მისი იმედებისა არის ის საერთაშორისო ვითარება, რომელიც დღეს არის შექმნილი დასავლეთში და კონკრეტულად ვაშინგტონში, რომელიც არის სააკაშვილის მიმართ. ღიად ითქვა, რომ დასავლეთი საქართველოში ცვლილებებს ელოდება. თუმცა, მან ასევე თქვა, რომ ეს არ არის გარანტია. მას ასევე კარგად ესმის, რომ ეს არის აუცილებელი, მაგრამ სრულიად არასაკმარისი ფაქტორი იმისათვის, რომ საქართველოში რეალურად შეიცვალოს საარჩევნო გარემო. აქედან გამომდინარე, როგორც ალასანიამ თქვა, მას ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ თუ გარე მხარდაჭერას არ დაერთო შიდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების მასობრივი მხარდაჭერა, ანუ ისეთი ძალის შექმნა, რომელიც ხელისუფლებას აიძულებს, წავიდეს კომპრომისებზე, რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ იქნება გარანტია იმისა, რომ საარჩევნო გარემო შეიქმნება. ასე რომ, თვითონ მისი განწყობები და პოზიციები რეალობიდან შორს არ არის. მაგრამ, საქმე ისე არ არის, რომ ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია, ყველაფერი არის კარგად და თითქოს უკვე გარანტირებულია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება და წესიერი საარჩევნო გარემოს შექმნა. ირაკლი ალასანიას გაცნობიერებული აქვს ის, რომ ამ მიმართულებით მუშაობაა საჭირო და ძალისხმევა. რაც შეეხება იმას, რომ ალასანია რევოლუციის წინააღმდეგია, როგორც მივხვდი, ის წინააღმდეგი არ არის ქუჩის აქტივობების: მიტინგების, მანიფესტაციების, დემონსტრაციების და ამ კუთხით ხელისუფლებაზე ზეწოლის. მე არ ვთვლი, რომ ეს ორი პოზიცია ერთმანეთს უპირისპირდება. ხელისუფლებაზე ზემოქმედება — ეს არის ორივე ამ პოზიციის — ე.წ. რევოლუციისა და ე.წ. რევოლუციური არჩევნების მთავარი საყრდენი. აქედან გამომდინარე, ერთიც და მეორეც, ფაქტობრივად, სხვადასხვა სიტყვებით ლაპარაკობენ ერთსა და იმავეს. მე იმედი მაქვს კიდევ, რომ პიროვნული კონკურენცია, დაპირისპირება თუ მიუღებლობა არ იქნება წამყვანი ფაქტორი და არ გადასძალავს იმ მთავარს, რასაც მიზანი ჰქვია. მიზანი უნდა იყოს არადემოკრატიული, ტოტალიტარიზმისკერ მიდრეკილი ხელისუფლების როგორმე შეცვლა.

***— თქვენი აზრით, აქვს შანსები სახალხო კრებას, რომ მართლაც რევოლუციური პროცესი წამოიწყოს?***

— მიუხედავად იმისა, რომ სახალხო კრებასაც ვესწრებოდი და გულშემატკივარი ვარ მათიც და ყველა ოპოზიციური ძალის, როგორც თავშივე განვაცხადე, ვერ ვხედავ დღესდღეობით მზადყოფნას იმისას, რომ ეს რევოლუციური პროცესი აგორდეს და გამარჯვებამდე მივიდეს. დაახლოებით თვე-ნახევარია დარჩენილი. ამ დროში მე არ გამოვრიცხავ, რომ ცვლილებები მოხდეს, თუმცა ამას უნდა სისტემატური მუშაობა. ერთსაც ვიტყვი: არა მხოლოდ სახალხო კრების, არამედ მთელი საზოგადოების მობილიზაციაა საჭირო იმიტომ, რომ ერთსა და იმავეს ამბობს ქართული პარტია, სახალხო კრება. ისინი კომიტეტებს არქმევენ, ესენი — წინააღმდეგობის მოძრაობას თუ შეფიცულებს, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ფაქტობრივად, იმავეს ამბობს ის რვიანიც. ისინი ამბობენ, რომ ხელისუფლებაზე ზეწოლა უნდა განვახორციელოთ. ზეწოლა თუ არა ძალის დემონსტრირებით, სხვანაირად არ ხდება. ეს ხელისუფლება გიჟი არ არის, რომ თავისი ნებით რალაცები დათმოს და ციხეში წავიდეს. აქედან გამომდინარე ეს უნდა იყოს ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალის ერთობლივი მობილიზაცია. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აქვს პერსპექტივა ამ ზეწოლას და შედეგის მომტანი მხოლოდ მაშინ იქნება. ცალ-ცალკე და ერთმანეთის მიმართ ისრების სროლა და მთავარი მიზნისგან დაშორება კარგ შედეგს არ მოიტანს.

***— ისრების სროლად მიიჩნევ იგივე ნინო ბურჯანაძის განცხადებებს, რომ სახალხო კრებას შეიძლება შემოუერთდეს ყველა, ვინც ბრძოლაში უკან არ დაიხევს და ხელისუფლებას არ გაურიგდება? ბურჯანაძის სიტყვებია, ასეთი ოპოზიცია ხელისუფლებაზე ადრე ჩაირეცხება და ამაზე ის პირადად იზრუნებს.***

— მე არ ვიცი, მან ასეთი რამ განაცხადა თუ არა, მაგრამ, თუ თქვა, ეს არის არა პირდაპირი ისრების სროლა, თუმცა არა რომელიმე კონკრეტული პიროვნების მისამართით მიმართული. ისრების სროლას მე ვეძახი იმას, როდესაც ერთი აცხადებს მეორის მიმართ, რომ მე მის გვერდით არ დავდგები, ბრძოლაში არ წავალ და ა.შ. ოპოზიციის ეს გათიშულობა საქართველოს დააზარალებს, თუ ასე გაგრძელდა. მე პირადადაც მაქვს ნათქვამი როგორც ბურჯანაძისთვის, ასევე სხვებისთვის, რომ თქვენ აკეთეთ თქვენი საქმე და ერთმანეთში ეძებეთ პარტნიორები და არა კონკურენტები. კონკურენციის დრო რომ დადგება არჩევნებისას, მაშინ გახდით კონკურენტები. ეს არის მთავარი, თორემ მოუკლავი დათვის ტყავის გაყოფა ყველაზე სასაცილოა და სულელური მცდელობაა. არა მგონია, რომელიმე მათგანი ისეთი არაგონიერი იყოს, რომ ამას ვერ ხვდებოდეს. ეს დაპირისპირება, ჩემი აზრით, ცოტა შენელებულია და მომავალში, ვფიქრობ, აღმოიფხვრება, ოპოზიციის ლიდერები ერთი მიზნისკენ მიმართავენ თავიანთ საქმიანობას.

***— ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ქართველი ხალხი რევოლუციისთვის მზად არ არის და რომ რევოლუცია არ მოხდება, რადგან ოპოზიციას არ ენდობა. აჰყვება ხალხი სახალხო კრებასა და მის მოწოდებებს?***

— ამაში არის გარკვეული ლოგიკა. მაგრამ, ამიტომ ვიმეორებ, არ უნდა იყოს ისე, რომ მე გამომყევით. უნდა იყოს მოწოდება, რომ ამ იდეას — არადემოკრატიული და ტოტალიტარიზმისკენ მიდრეკილი ხელისუფლების შეცვლისკენ წავიდეთ ერთად და არა ის, რომ მე მოვდივარ და შენ გამომყევი. სიტყვა მე გამომყევი უკვე ძალიან დისკრედიტებულია, როცა ყველა ქართველს პირველობა უნდა. უნდა გაჰყვნენ იდეას და იმ მიზანს, რასაც ჰქვია ამ ხელისუფლების შეცვლა, თუნდაც კანონიერი, თუნდაც უსისხლო რევოლუციის, თუნდაც არჩევნების გზით. ეს უნდა იყოს ორგანიზებული და მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესი. საყოველთაო მასშტაბი უნდა ჰქონდეს ამ პროცესს. ყველა ძირითად ქალაქში უნდა

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## „სააკაშვილს ურჩევნია დაფიქრდეს, თორემ ცუნამი კავკასიაშიც მოხდება“




რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ მიხეილ სააკაშვილს იაპონიაში მომხდარ ცუნამიზე დაფიქრებისაკენ მოუწოდა, — ამის შესახებ მან ტელეკომპანია „რეგიონ ტვ“-თან ინტერვიუში განაცხადა.

ვლადიმერ ჟირინოვსკის მაგალითად იაპონია მოჰყავს.

— კურილიის კუნძულები გინდოდათ? ეძებეთ თქვენი შენობების ნანგრევებში. დაიხოცეთ მთლიანად 120 მილიონი. ველარ მოითხოვთ ჩვენგან ვერანაირ კურილიის კუნძულებს. ასევე დაემართება ყველა დანარჩენს. ყველამ თავის მომავალზე იფიქროს. რა ქართული ღვინო გინდათ ან რა საერთაშორისო დამკვირვებლები? გინდათ, რომ სიტყვა „საქართველო“ მთელს მსოფლიოს დაავიწყდეს? მშვენიერი იქნება თუ მხოლოდ რუსეთ-თურქეთის საზღვარი იარსებებს. სააკაშვილს ურჩევნია ამაზე დაფიქრდეს, თორემ ცუნამი კავკასიაშიც მოხდება, — განაცხადა ჟირინოვსკიმ სატელევიზიო ინტერვიუში.

მედიანიუსი

## სააკაშვილი მაიამიში ერთობოდა

„ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენლის მამუკა კაციტაძის განცხადებით, როდესაც პრეზიდენტი ხანგრძლივი ვიზიტით მიდის ამერიკაში და ამ ვიზიტს საშუალო დონის შეხვედრების გარდა, არ ახლავს ოფიციალური ნაწილი, ეს იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ აღნიშნული ვიზიტები ემსახურება პრეზიდენტის გართობას.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას კაციტაძემ აღნიშნა, რა შეხვედრებიც სააკაშვილმა

აშშ-ი გამართა, ოპოზიციის წარმომადგენლებსაც აქვთ, სხვადასხვა ინსტიტუტებსა და კველივით ცენტრებში კი ლექციებს უამრავი ქართველი კითხულობს.

მისი თქმით, არასერიოზულობის დემონსტრირებაა, როდესაც მთელი მსოფლიოს ყურადღება მობილიზებუალი იპონიისა და ლიბიისკენ და ამ დროს საქართველოს პრეზიდენტი მაიამიში ერთობა.

— ინფორმაციამ გამოჟონა ერთ-ერთი გასართობ ღონისძიებაზე მისი ყოფნის შესახებ. და დარწმუნებული ვარ, მთელი ამ ხნის განმავლობაში მსგავს ღონისძიებებს არ იკლებს. პრეზიდენტის ასეთი ხანგრძლივი ვოიაჟებით, ქვეყანა პირველ რიგში, კარგავს სერიოზულ თანხებს. წარმოიდგინეთ, რა ჯდება მისი ამდენი ხნით იქ ყოფნა. სააკაშვილი არ არის ის კაცი, რომელიც ფუფუნებაზე უარს იტყვის. ქამრების შემოჭერის პოლიტიკაზე ის მხოლოდ საუბრობს. სერიოზულად ვერ ჩათვლი ვიზიტს, რომელსაც თან ახლავს მხოლოდ უბრალო შეხვედრები როგორიცა, თუნდაც ტრამპთან შეხვედრა. ეს შეხვედრაც მარტო იმიჯის და სახელის ყიდვას ემსახურებოდა და არანაირი ამერიკული ინვესტიცია საქართველოში არ მოდის. პრეზიდენტის ასეთი ეს ტაშფანდურები, ერთის მხრივ, ცუდად აისახება სერიოზული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მქონე ქვეყნის მდგომარეობაზე, მეორე მხრივ, საგრძნობლად დააზარალებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური იმიჯს, — განუცხადა „მედიანიუსს“ მამუკა კაციტაძემ.

ცნობისთვის: პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აშშ-ში 10 მარტს გაემგზავრა. ვიზიტის დროს შეხვედრა გამართა ამერიკელ ბიზნესმენთან დონალდ ტრამპთან, შეხვედრა ჰქონდა რამდენიმე ამერიკელ სენატორთან. პარალელურად, სხვადასხვა კვლევით სამეცნიერო ინსტიტუტებში ლექციები წაიკითხა.

პრეზიდენტის საქართველოში დაბრუნების თარიღი ამ დრომდე უცნობია.

მედიანიუსი

## მოსკოვში თვითმკვლელის ჩასვლას ელოდებიან

თვითმკვლელი და ბოევიკის ცოლი მალიკა ტურაზოვა რუსეთის ფედერაციის დედაქალაქში შესაძლოა უახლოეს მომავალში ჩავიდეს. ამის შესახებ ინფორმაციას ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები ავრცელებენ.

ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლის განცხადებით, ინგუშეთში მცხოვრები მალიკა ტურაზოვა მზად არის, თავი აიფეთქოს მოსკოვში ხალხმრავალ ადგილას.

ინგუშეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ თვითმკვლელი ქალბატონის ძებნაში დახმარება უკვე სთხოვა მოსკოველ კოლეგებს.

ტურაზოვა სახლიდან 11 მარტს გაუჩინარდა. მის გაუჩინარებამდე რამდენიმე დღით ადრე, ადგილობრივმა სამართალდამცავებმა მის სახლში ჩხრეკისას აკრძალული ლიტერატურა და ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადებისათვის საჭირო ინსტრუქციები აღმოაჩინეს.

— 2005 წლის ოქტომბერში მალიკა ტურაზოვას ძმა და მეუღლე სპეცოპერაციის დროს სამართალდამცავებმა მოკლეს. ჩვენი ინფორმაციით, ეს ქალბატონი რადიკალური რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენელია, — აღნიშნა სპეცსამსახურის თანამშრომელმა.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნინა კანდელაკი, მზია ქოჩიშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## ილია II: თუ ადამიანში დავინახავთ ნათებას, ის ნათება ჩვენშიც შემოვა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარ ეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დღეს წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას ადამიანის მიერ მეორე ადამიანში ნათების დანახვაზე ისაუბრა.

— ფერისცვალების ტროპარში წერია, რომ როდესაც მაცხოვარი მოწაფეებმა დაინახეს, მისი ნათების მხოლოდ ის რაოდენობა შეიცნეს, რომლის დანახვაც შეეძლოთ, რადგან თუ მაცხოვრის მთელ სიკაშკაშეს დაინახავდნენ, მაშინ ადგილზე დაიხოცებოდნენ. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენ ყველამ დავინახოთ ნათება. თუ ადამიანში დავინახავთ ნათებას, ის ნათება ჩვენშიც შემოვა, — ბრძანა პატრიაქმა.

უწმინდესის თქმით, ადამიანმა ნათება რომ დაინახოს, ამისთვის საჭიროა რწმენა, სიყვარული და თავმდაბლობა. უფალი ყოველ ადამიანს თავის ჯვარს და ტვირთს აძლევს. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენი ტვირთიც და ჯვარიც ბოლომდე მივიტანოთ.

გუშინ წმინდა გრიგოლ პალამას ხსენების დღეა. უწმინდესის განმარტებით, გრიგოლ პალამა იყო ის ადამიანი, რომელიც ადამიანის ბუნებას ღრმად ჩასწვდა და შეისწავლა.

**მედიანიუსი**

## ნინო ბურჯანაძე სამუშაო ვიზიტით საფრანგეთში იმყოფება



„დემოკრატიული მოძრაობის„ ლიდერი ნინო ბურჯანაძე სამუშაო ვიზიტით საფრანგეთში გაემგზავრა.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები როგორც საფრანგეთის საკანონმდებლო, ასევე, აღმასრულებელი ხელისუფლების ოფიციალურ პირებთან.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი საქართველოში ამ კვირის დასაწყისში დაბრუნდება.

**ინტერპრესნიუსი**

## მურმან დუმბაძე რესპუბლიკური პარტიიდან სამართლიანად გარიცხეს



რესპუბლიკური პარტიის ბათუმის ორგანიზაციის თვამჯდომარე მურმან დუმბაძე, პარტიის წესდებიდან გამომდინარე, მისი გარიცხვის ფაქტს კანონიერად მიიჩნევს, თუმცა აცხადებს, რომ პარტიამ იდეოლოგიაზე მაღლა ისეთი ეროვნული პრობლემები უნდა დააყენოს, როგორიცაა თურქეთის მიერ ბათუმში მეჩეთის აშენების მოთხოვნა.

როგორც „მედიანიუსსთან“ საუბრისას დუმბაძემ განაცხადა, ის ეწინააღმდეგება თურქეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულების ისეთი გაფორმებას, რომელშიც ტაო-კლარჯეთის ისტორიული ძეგლების აღდგენის სანაცვლოდ, საქართველოში მეჩეთების აშენებას მოითხოვენ. თუმცა პარტიული იდეოლოგიიდან გამომდინარე, რესპუბლიკურ პარტიას სხვა პოზიცია აქვს, რომელსაც ის არ დაეთანხმა და ამის გამო პარტიიდან გარიცხეს.

— ჩემი ასეთი პოზიციით პარტიის წესდება დავარღვიე, მაგრამ მე ამ დარღვევაზე შეგნებულად წავედი. თურქეთ-საქართველოს შორის ამ ტიპის და ამ შინაარსის ხელშეკრულება არ უნდა დაიდოს. მითუმეტეს, რომ ის ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, სადაც წერია, ეკლესიის ნებართვის გარეშე მსგავსი საკითხების გადაწყვეტა საქართველოს ხელისუფლებას არ შეუძლია. საპატრიარქო კი, მეჩეთების აშენების წინააღმდეგია. ჩვენ უარი უნდა ვუთხრათ თურქეთის სახელმწიფოს ასეთი ტიპის მოთხოვნებზე და დამოკიდებულებაზე. საერთაშორისო ორგანიზაციების წესდების თანახმად, სახელმწიფოს უფლება არ აქვს სხვა სახელმწიოს ტერიტორიაზე რელიგიური დაწესებულების აშენება მოითხოვოს, თუ ამ მოთხოვნას აღნიშნული ქვეყნის მოსახლეობა არ ეთანხმება. ასეთი საკითხები მხოლოდ და მხოლოდ იმ ქვეყნის მოსახლეობის გადასაწყვეტია. ქართული საზოგადოება კი, მეჩეთების აშენებას წინააღმდეგია, — განცხადა „მედიანიუსთან“ საუბრისას მურმან დუმბაძემ და დასძინა, რომ ჯერ არ გადაუწყვეტია, მომავალში პოლიტიკური საქმიანობას როგორ გააგრძელებს.

**მედიანიუსი**

## გაგიდაში ოთხი ქართველი მოკლეს

სოფელ გაგიდაში ერთ-ერთ ქართულ ოჯახს ყაჩაღები დაესხნენ თავს და სახლში მყოფ ოთხ კაცს ცეცხლი გაუხსნეს. ოთხივე მათგანი ადგილზე დაიღუპა. მოკლულები ამავე სოფელში მცხოვრები სხვადასხვა ოჯახის წევრები იყვნენ.

სამეგრელო-ზემო სვანეთში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის უფროსის თორნიკე კილანავას ცნობით, მკვლელის ვინაობა უკვე ცნობილია, თუმცა აფხაზურ მილიციას ის ჯერ დაკავებული არ ჰყავს.

**მედიანიუსი**

# სააკაშვილმა ქვეყანა სამ ნაწილად გახლიჩა

### დღეს რომ კორუფციაა, ისეთი შევარდნა ეს არც კი მოლანდებია



**— ბოკერია ისეთი მზაკვარია და ბევრად ჭკვიანი, სხვათა შორის, რომ მისი მოშორება სააკაშვილისთვის იოლი არ არის. რასაკვირველია, ბოკერია მის გუნდში ის ფიგურა იყო, რომელიც სააკაშვილის მორჩილებაში არასოდეს ყოფილა. ეს ნამდვილად ვიცი. ბოკერია სააკაშვილის წინაშე თავდახრილი და მისი მორჩილი არასოდეს ყოფილა. მას თავისი წონა და გავლენა ყოველთვის ჰქონდა. რომ ამბობენ, სააკაშვილს მერაბიშვილის ეშინიაო, ეს სიცრუე და აბსურდია. მერაბიშვილის — არა, მაგრამ ბოკერიასი ნამდვილად ეშინია, იმიტომ რომ გიგა ბოკერია არის დაუნდობელი და ვერაგი ადამიანი. ბოკერიას მერაბიშვილზე მეტი გავლენა აქვს. მერაბიშვილი სააკაშვილმა შექმნა, ბოკერია კი სააკაშვილს არ შეუქმნია და ვერც დაიმორჩილა, — აცხადებს სააკაშვილის ყოფილი თანამოზრე ლეილა გაფრინდაშვილი და პრეზიდენტს დროულად ხელისუფლების დატოვებას ურჩევს.**

**ლეიბორისტული პარტიის წევრი დარწმუნებულია, რომ წელს არის ამ ხელისუფლების მმართველობის ბოლო წელი და ძალიან ბევრს, ხელისუფლებაში მყოფს, საბრალდებო სკამზე ვიხილავთ.**

**გთავაზობთ ინტერვიუს ლეილა გაფრინდაშვილთან**

შორენა კოწოწაშვილი

***— ქალბატონო ლეილა, რა ვითარება შექმნა ხელისუფლებამ, რომელიც ხალხის დიდი ნდობით მოვიდა რევოლუციიდან 7 წლისთავზე? თქვენ პიროვნულად კარგი ურთიერთობა გქონდათ იმ პერიოდში სააკაშვილთან. იფიქრებდით, რომ სააკაშვილი ქვეყანას ეროვნული კატასტროფის წინაშე დააყენებდა, როგორი შეფასებებიც დღეს კეთდება?***

— ნაციონალური მოძრაობა პირადად ჩვენს ოფისში დაარსდა, ვაკის პარკში. რასაკვირველია, ჩვენ ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა მიშა სააკაშვილთან და მთალიანდ მის გუნდთან ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ვაკის მაჟორიტარად ავირჩიეთ. გახსოვთ, 2001 წელს შეიქმნა ნაციონალური მოძრაობა და პირადად ჩვენს ოფისში ცდებოდა ხალხის გაწევრიანება და იმ დაპირებების უხვად დარიგება, რასაც სააკაშვილი საქართველოს მოსახლეობას ჰპირდებოდა — კეთილდღეობას და ა.შ. ანუ ჩვენც ვიყავით იმ პროპაგანდის თანამონაწილე, რომლითაც ეს შემზარავი და მატყუარა გუნდი, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, ხალხს აბოლებდა. ამ ცრუ დაპირებებით მათ შეცდომაში შეიყვანეს არა მარტო საზოგადოება, არამედ მთლიანად მათი ახლო მეგობრებიც კი. ვინც ამ ორგანიზაციას ახლობლად ვთვლიდით. ამდენად, ეს იყო ორგანიზაცია, რომელიც პირველი დღიდანვე მოვიდა ტყუილით და ხალხის აბუჩად აგდებით. როდესაც ნაციონალურ მოძრაობაზე გვქონდა, ასე ვთქვათ, ფსონი დადებული, რომ ხალხს იმ ჭაობიდან გამოიყვანდა, რაც იმ პერიოდში შევარდნაძის ხელისუფლების დროს იყო, დღეს ზუსტად იმ შევარდნაძის ხელისუფლება გაგვიხდა სანატრელი. შესაძლებელია, ეკონომიკური კუთხით მოსახლეობა არც მაშინ იყო დიდად სახარბიელო მდგომარეობაში, მაგრამ ეკონომიკურად პიროვნულად ადამიანები ბევრად უკეთ გრძნობდნენ თავს, ვიდრე ამ ხელისუფლებამ მოუტანა ჩვენს საზოგადოებას.

***— ანუ დღევანდელი გადასახედიდან, რეალურად უკან გადადგმული ნაბიჯი გამოდგა ქვეყნისთვის ვარდების რევოლუცია?***

— უკან გადადგმული ნაბიჯი კი არ იყო რევოლუცია, ეს იყო ფარსი. არანაირი რევოლუცია არ ყოფილა. ეს იყო შევარდნაძის მხრიდან სააკაშვილისთვის და მისი გუნდისთვის ხელისუფლების გადაბარება. მაშინ ამერიკელებსაც და შევარდნაძესაც ფსონი ზურაბ ჟვანიაზე ჰქონდათ დადებული, მაგრამ ვინაიდან ჟვანიას არ ჰქონდა ის რეიტინგული მონაცემები და მისი ავტორიტეტი შევარდნაძის ავტორიტეტთან ერთად საშინლად დაეცა, ამიტომ ამერიკამ სააკაშვილზე გადაამღერა და ის მოიყვანა ქვეყნის პირველ პირად. მოგეხსენებათ, სააკაშვილს ბადალი არა ჰყავს ტყუილის თქმაში, თაღლითობაში, აფიორაში და ყველაფერ უკადრებლის კადრებაში. სააკაშვილი მარტო ფსიქიკურად შეშლილი ადამიანი კი არ არის, ეს არის ადამიანი, ეს არის თაღლითი ადამიანი, რომელიც ყველაფერს კადრულობს, ოღონდ თავის მიზანს მიაღწიოს. სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ხალხი მოატყუა, ქვეყანა სამ ნაწილად გახლიჩა, ეკონომიკურად გააღატაკა. დღეს ადამიანები შიმშილით იხოცებიან და მათ შორის პატარა ბავშვებიც. ნახევარი საქართველო საზღვარგარეთ გადახვეწა უკიდურესი გაჭირვების გამო თავის და ოჯახის სარჩენად. უამრავი ადამიანი ცხოვრობს ქუჩაში. ბევრი საცხოვრისიდან გამოყარეს. ერთი სიტყვით, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტად მოსვლა ქარიშხალი აღმოჩნდა, უბედურების ქარიშხალი, რომელიც ქვეყანას თავს დაატყდა. მე, როგორც ერთ-ერთი მისი თანამოაზრე იმ პერიოდში და მისი გვერდში მდგომი, თუმცა, რევოლუციის მონაწილე არ ვყოფილვარ, მაგრამ საკმაოდ ბევრი გამიკეთებია ამ გუნდისთვის, მე ჩემს თავს ამაში ვთვლი ძალიან დიდ დამნაშავედ.

***— ქალბატონო ლეილა, რა პრინციპით არჩევდა იმ პერიოდში სააკაშვილი თავის გუნდის წევრებს და უახლოეს გარემოცვას. ვინ არიან ეს ხალხი და რა წარსული აქვთ?***

— თავიდან, როცა იუსტიციის მინისტრი გახლდათ, მას შემდგომ ისევ პარლამენტში დაბრუნდა, როგორც იცით. პირველი გუნდი, რომელიც მან შეკრიბა — გრიგალაშვილი, კემულარია, ჭიპაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი — აი, ეს ხალხი იყო მისი პირველი გუნდი. მერე, როდესაც საფუძველი ჩაეყარა ნაციონალურ მოძრაობას, ოფიციალურად დარეგისტრირდა და პარტიად ჩამოყალიბდა, პრაქტიკულად არანაირი ცნობილი ადამიანი მათ გვერდით არ დამდგარა. მათ პარტიაში მიიღეს ბაცნები, რომლებსაც არ ჰქონდათ განათლება, საერთოდ არანაირი პროფესიონალიზმი. სამაგიეროდ, იყვნენ კარგი შემსრულებლები. ზოგი ქუჩიდან აიყვანეს, ზოგი მხედრიონიდან წამოიყვანეს, სოფლებიდან ჩამოიყვანეს, მაგალითად, ახალაიები და ბევრი სხვა, რომლებსაც თავიანთი კარიერის გულისთვის შეეძლოთ ნებისმიერი დავალება შეესრულებინათ. აი, სწორედ ასეთი ადამიანების გარემოცვისგან შედგებოდა სააკაშვილის გუნდი. როდესაც სააკაშვილი ამ გუნდს აყალიბებდა და ნაციონალური მოძრაობის ოფისში ტრიალებდა, მე საოცრად გაკვირვებულიც ვიყავი, რა უნდა გააკეთოს ამ ბაცნებით-მეთქი. მე ამ ჩემს უკმაყოფილებას გამოვხატავდი კიდეც. ჩვენს ორგანიზაციას, ვაკის გონივრული განვითარების წევრებს ნამდვილად არ მოგვწონდა ის ადამიანები, ვინც სააკაშვილმა გვერდით დაიყენა, მაგრამ ჩვენ მისი პარტიის წევრები არ ვიყავით. უბრალოდ მათთან ვმეგობრობდით. თავიდან პირველი ორი-სამი წელი ნამდვილად გვეგონა, რომ მიშა მოდიოდა საქართველოში იმისათვის, რომ ხალხის ყოფა-ცხოვრება უკეთესობისკენ შეეცვალა. საოცარი ქარიზმა რომ აქვს, ეს ფაქტია. დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებ, რასაც სააკაშვილი კადრულობს, რასაც ის აკეთებს, აშკარად საშინელი თაღლითია და სატანური ძალის მქონე ადამიანი. მიშას მოქმედებები აბსოლუტურად უკონტროლოა, ტელევიზიით რომ ვუსმენთ, აბსოლუტურად რეალობას მოწყვეტილია. მე მის ოჯახს კარგად ვიცნობ. მათი ფინანსური შესაძლებლობა თავიდან იყო ძალიან მცირე, ეკონომიკური მდგომარეობა მაქვს მხედველობაში. უცებ იმხელა ფულში გადავარდა, მისი ეს საქციელი არც მიკვირს. ბებია რომ გარდაეცვალა, პირველად სააკაშვილის ოჯახში მაშინ მოვხვდი. გამიკვირდა, ისეთი ხელმოკლე ოჯახი იყო, გაურემონტებელი ბინა იყო და აშკარად ეტყობოდათ, რომ ძალიან უჭირდათ. გაოცებული დავრჩი, როგორი წესიერი ხალხი ყოფილა-მეთქი. ვიფიქრე, ბევრის მნახველი იქნებოდა სააკაშვილი და ადამიანების გასაჭირს გულთან მიიტანდა. თურმე ამ ყველაფერს ის თამაშობდა. ხალხს ჰპირდებოდა, რომ კორუფციას ალაგმავდა და უკეთეს მომავალს შეუქმნიდა. ამის გამო ვუჭერდი მას მხარს, მაგრამ ყველაფერი პირიქით გააკეთა. ისევ ის დრო მოანატრა ხალხს.

***— სააკაშვილმა განაცხადა, რომ ამაყობს იმით, რომ კორუფცია მოსპო ქვეყანაში.***

— რასაკვირველია, პატრული ქუჩაში ორ და სამ ლარს არ იღებს, მაგრამ სააკაშვილის თანამოაზრეებმა სერიოზული ქონება დააგროვეს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა წარმოუდგენელი ქონება იშოვეს. თითოეულს კარგად ვიცნობდი, იგივე კირკიტაძეს, არველაძეს, ოქრუაშვილს. ოქრუაშვილზე და არველაძეზე არ მაქვს ლაპარაკი, მაგრამ არველაძის მამა მაშინაც ბანდიტი იყო და პირველი კორუფციონერი საქართველოში შევარდნაძის პერიოდში. მისმა შვილმა ახლა ეს ქონება გააოცმაგა, მაგრამ ყველანი, ვინც სააკაშვილმა გვერდით დაიყენა, იყვნენ ხელმოკლე ადამიანები, გაცვეთილი პიჯაკით დადიოდნენ, ქუჩაში „პირაშკებით“ იკვებებოდნენ. დღეს კი საოცარი ვილები და უამრავი მანქანა ჰყავთ. სააკაშვილმა კორუფცია კი არ მოსპო, დღეს რომ კორუფციაა, ისეთი შევარდნაძეს არც კი მოლანდებია.

***— როდის გაიყარა თქვენი და სააკაშვილის გზები?***

— როცა თბილისის საკრებულოში სააკაშვილი შემოვიდა. მაშინვე დაიწყეს ქონების დატაცება. როცა კობა ბექაური საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნა, უკვე გამოიკვეთა, ესენი ვინ იყვნენ. ვხედავდი, ესენი რა აფიორებზე მიდიოდნენ. მაშინ გაიყარა სწორედ ჩემი და მიშას გზები. მაშინ ვუთხარი სააკაშვილს, შენ თუ იგივე გზის გავლას აპირებ, რასაც შევარდნაძე აკეთებდა, მაშინ შენსა და შევარდნაძეს შორის ვერაფერ სხვაობას ვერ ვხედავ და შენი გუნდის წევრად არ ჩამთვალო-მეთქი. ამის შემდეგ მოვუწოდებდი ხალხს, არ დაეჯერებინათ სააკაშვილისთვის და არ მიეცათ ხმა ნაციონალური მოძრაობისთვის. სიებში ჩაეხედათ, რა ხალხი ჰყავდათ. ღვთის წინაშე მართალი ვარ. რა სიბინძურეც შემდგომ სააკაშვილმა დაატრიალა, მასში მონაწილეობა ნამდვილად არ მიმიღია. მე ჩემი ქვეყნის ბედნიერებისთვის ვიბრძოდი და არა სააკაშვილის და მისი ხროვის ბედნიერებისთვის. საშინლად მრცხვენია როგორც რიგით მოქალაქეს იმისა, თუ ვინ მართავს დღეს ქვეყანას. საოცარ ფაქტს გეტყვით: ნონა გაფრინდაშვილი 55-ე სკოლაში მანდატურმა არ შეუშვა. მისი შვილიშვილი პირველკლასელია და საბუთები შეჰქონდა. მანდატურმა გაფრინდაშვილი გამოაგდო, არ ვიცი ვინ ბრძანდებითო. ნონა გაფრინდაშვილი დირექტორთან იყო შეთანხმებული, ბავშვის საბუთები მიელო. თურმე განათლების მინისტრს დიმიტრი შაშკინს დაურეკავს დირექტორისთვის და უთქვამს, გაფრინდაშვილისგან საბუთები არ მიიღოო. აი, რა ქვეყანა შექმნა სააკაშვილმა. მანდატურმა გამოაგდო ნონა გაფრინდაშვილი, ქალი, რომელიც არის 11 გზის ოლიმპიური ჩემპიონი, 5 გზის ევროპის ჩემპიონი, მამაკაცთა და ქალთა შორის გროსმაისტერი. უამრავი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, პირველი ოსკარის მფლობელი ჭადრაკში და რა ვიცი, თუკი რამე რეგალია არსებობს, ყველაფერი ამ ქალ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“ — პროექტი, რომლითაც ბევრს ისწავლით

თეა მარხვაი ე

**დღეიდან „ახალი თაობა“ იწყებს პროექტს „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“. ასეთი ადამიანები ყველა დროში იწვევდნენ ინტერესს საზოგადოებაში. ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გიორგაძე ფიქრობს, რომ ხალხმა ამ ადამიანების შესახებ რაც შეიძლება მეტი უნდა იცოდეს. განსაკუთრებით მეტის ცოდნას ის პოლიტიკოსებისგან ითხოვს.**

**პრეზიდენტის მრჩეველი ვან ბაიბურთი მიიჩნევს, რომ ადამიანებმა ასეთი წიგნების კითხვა პატარა ასაკშივე დაიწყონ. ბაიბურთს სჯერა, რომ ამ წიგნების წაკითხვის შემდეგ მათაც გაუჩნდება სურვილი, შეცვალონ მსოფლიო.**

**ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე მიიჩნევს, რომ მსოფლიოში ბლომად არიან ადამიანები, რომელთაც მნიშვნელოვნად შეცვალეს სამყარო. თავად მოუთმენლად ელოდება ამ პროექტს. სჯერა, რომ ბევრ საინტერესოსა და მნიშვნელოვანს შეიტყობს.**

**რატომ უნდა წავიკითხოთ ეს წიგნები, ამაზე მამუკა გიორგაძე, ვან ბაიბურთი და გიორგი ასანიძე „ახალ თაობას“ ესაუბრებიან.**



**გიორგი ასანიძე, დეპუტატი, ოლიმპიური ჩემპიონი:**

— ძალიან კარგი პროექტია. მე როგორც ვიცი, ასი ადამიანის შესახებ შევიტყობთ ამ პროექტიდან. მსოფლიოში გაცილებით მრავლად იყვნენ ადამიანები, რომლებმაც მსოფლიო შეცვალეს. ყველას გამოყოფა ალბათ შეუძლებელია. თუ ჩვენ ამ ასი ადამიანის ცხოვრებას და მოღვაწეობას კარგად შევისწავლით, ესეც კარგი იქნება. ეს ადამიანები რომ არ ყოფილიყვნენ, ალბათ, მსოფლიო ბევრად უარესი იქნებოდა. ამ პროექტის მეშვეობით მკითხველი დარწმუნდება, რომ პიროვნებებს ბევრი რამე შეუძლიათ. მე ასეთი წიგნების გამოცემას ყოველთვის მივესალმები. ამ წიგნებს აუცილებლად ვიყიდი. საზოგადოებასაც მოვუწოდებ, იყიდონ ეს წიგნები.

***— პირადად თქვენ ყველაზე მეტად რომელი მოღვაწე გაინტერესებთ?***

— ყველაზე მეტად მე დავით აღმაშენებელი მაინტერესებს. იმიტომ, რომ მან ბევრი რამე შეცვალა არა მარტო საქართველოში, არამედ იმ დროინდელ მსოფლიოშიც. ასევე ძალიან მაინტერესებს რეიგანის მოღვაწეობა.

***— რეიგანის რატომ?***

— რეიგანის მოღვაწეობამ მსოფლიო დიდ სირთულეებს ააცილა. ამიტომაც მაინტერესებს მისი ცხოვრება. ის ძალიან დიდი პოლიტიკოსი იყო. ასეთი საინტერესო პიროვნებები მსოფლიოში მრავლად იყვნენ. ამდენად მე დიდი სიამოვნებით გავეცნობი წიგნებს, სადაც იმ ადამიანებზეა მოთხრობილი, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო. ასეთი ადამიანები ყველასთვის საინტერესოა. მათგან მომავალმა თაობებმა შეიძლება ბევრი რამე ისწავლონ.

**მამუკა გიორგაძე, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი:**



— ეს არის ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი პროექტი. ჩვენს საზოგადოებას ნაკლებად აქვს ობიექტური ინფორმაცია პროცესებზე და მათ განვითარებაზე. იციან მხოლოდ ზედაპირულად. იგივე მახათმა განდი ავიღოთ. მასზე ზერელე ინფორმაცია აქვთ. პოლიტიკურმა ლიდერებმაც კი მისი მხოლოდ ერთი ფრაზა იციან „არა — ძალადობას“. მაგრამ არ იციან, მის მიღმა რამხელა პოლიტიკურ-იდეოლოგიური ბრძოლებია. არ იციან და არც უნდა გაიგონ. ამიტომ არის ეს პროექტი მისასალმებელი. რაც მეტი ადამიანი გაეცნობა, მით უკეთესი იქნება. ლიბიის პრობლემა დღეს ძალიან მწვავედ დგას. რეიგანმა ამ პრობლემის გასაღები დადო თავის დროზე. სამწუხაროდ, არ გამოიყენეს. ისევე როგორც ჩერჩილის მოსაზრებები არ გაითვალისწინეს ფაშიზმის და ბოლშევიზმის წინააღმდეგ, შესაბამისად მივიღეთ მეორე მსოფლიო ომი. ასეთი ადამიანების გამოცდილება აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. მათ ხომ შეძლეს და შეცვალეს მსოფლიო. ადამიანი, რომელმაც მსოფლიო რეალურად შეცვალა, იყო რეიგანი. ასეთი გამოკვეთილი ფიგურა ბოლო პერიოდში არ ყოფილა. უფრო ადრე იყო ჩერჩილი. ისიც აპირებდა მსფლიოს შეცვლას, მაგრამ არ გამოუვიდა. მისი რჩევები რომ გაეთვალისწინებინათ, ახლა მსოფლიო უკეთესი იქნებოდა. კარგი იქნება, თუ ჩვენი პოლიტიკოსებიც წაიკითხავენ ამ წიგნებს. უხერხულია ადამიანი პოლიტიკაში იყოს და არ იცოდეს, ვინაა ჩერჩილი.

***— მართლა არ იცნობენ ჩვენი პოლიტიკოსები ჩერჩილს?***

— ზოგიერთ მათგანს წარმოდგენაც კი არა აქვს. მათი ქმედებები ამის დადასტურებაა. პოლიტიკოსები ასეთ ლიტერატურას უნდა ეცნობოდნენ. მათ უნდა იცოდნენ იმ ადამიანების მოღვაწეობის შესახებ, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო.

**ვან ბაიბურთი, პრეზიდენტის მრჩეველი:**



— ამ პროექტს მივესალმები და მოუთმენლად ველოდები, როდის გამოვა ეს წიგნები. ისევე როგორც ყველას, მეც მაინტერესებს ის ადამიანები, რომელთაც მსოფლიო შეცვალეს. მიმაჩნია, რომ ეს წიგნები განსაკუთრებით ახალგაზრდებმა უნდა წაიკითხონ. მშობლებს მოვუწოდებ, ეს წიგნები უყიდონ ბავშვებს.

***— ბავშვებმა რატომ უნდა წაიკითხონ?***

— იმიტომ, რომ ადრეულ ასაკში დაიწყონ ფიქრი კარგი საქმეების კეთებაზე. ასეთი ადამიანების ცხოვრების გაცნობა მათ დიდ სტიმულს მისცემს. ჩვენ ვამბობთ, რომ მსოფლიო შეცვალა მაკედონელმა, ნაპოლეონმა, სტალინმა... ის გვავიწყდება, თუ როგორ მოახერხეს ამ ადამიანებმა მსოფლიოს შეცვლა. ისინი დიდი მოაზროვნეების აზრებს კითხულობდნენ. მათ რჩევებს უგდებდნენ ყურს. როცა კარგს კითხულობ, შენც გიჩნდება კარგი საქმის კეთების სურვილი. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ასეთი ლიტერატურა ახალგაზრდებმა წაიკითხონ. ამ წიგნების წაკითხვის შემდეგ მათ ბევრი რამის სურვილი გაუჩნდებათ.

***— მათ შორის მსოფლიოს შეცვლის სურვილიც?***

— რა თქმა უნდა. ყველა მწერალს მაშინ გაუჩნდა წერის სურვილი, როცა სხვის ნაწარმოებს კითხულობდა. მჯერა, ახალგაზრდებსაც გაუჩნდებათ რაღაცის შეცალის სურვილი. მთავარია ეს წიგნები ყურადღებით წაიკითხონ.

# 100 ადამიანი, რომელთა შესახებ მომავალმა თაობებმა ყველაფერი უნდა იცოდნენ

ეკა ირემაშვილი

**გაზეთმა „ახალმა თაობამ“ დაიწყო უნიკალური პროექტი სახელწოდებით „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“. პირველ ტომად პროექტის ავტორებმა მკითხველს წარუდგინეს განდი. მთლიანობაში დაგეგმილია 100 ტომის გამოცემა და თითოეულ მათგანში ყველა ის ადამიანი შევა, რომლებმაც რეალურად შეცვალეს ჩვენი მსოფლიო.**

**საჭიროა თუ არა ეს პროექტი, რამდენად მისაღებია ასტომეულის არსებობა დღევანდელ საზოგადოებაში, უნდა ვიკითხოთ თუ არა „ახალი თაობის“ მიერ შეთავაზებული ტომები და გაეცნობიან თუ არა მას თავად ჩვენი რესპონდენტები, ამის შესახებ „ახალ თაობას“ ცნობილი ხელოვანები — რეჟისორები, მოცეკვავეები, მომღერლები და მსახიობები ესაუბრნენ.**



**თენგიზ უთმელიძე, სუხიშვილების ყოფილი მოცეკვავე:**

— რომელი საუკუნეც არ უნდა მოვიდეს, წიგნი ყოველთვის საჭირო და აუცილებელია. მომავალი თაობა განათლებისა და წიგნიერების გარეშე არ უნდა დარჩეს. მიხარია, რომ „ახალმა თაობამ“ ასეთი საინტერესო და უნიკალური პროექტი წამოიწყო. შეიძლება, ამ ასტომეულში შევიდნენ ადამიანები, რომლებიც ცუდებიც იყვნენ და კარგებიც, მაგრამ მათ შესახებ მომავალმა თაობებმა ყველაფერი უნდა იცოდნენ. პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“ გმირებმა შეიძლება 100-საც გადააჭარბონ, მაგრამ ეს სულაც არ არის ცუდი. თუკი მომავალი თაობა ამ ადამიანების ისტორიას არ გაეცნობა, ძალიან ცუდი იქნება. ვაკეში დგას ნიკო მუსხელიშვილის ძეგლი და ახალგაზრდებს რომ ჰკითხეს, ვისი ძეგლიაო, თქვეს, დავით აღმაშენებლისო. არც ასეთი გაუნათლებლობა ვარგა. წიგნების კითხვა აუცილებელია. თქვენი პროექტი კი უდავოდ საინტერესო და მრავლისმომცველი იქნება. ახალმა თაობამ აუცილებელია იცოდეს ისტორია. უკვე ასაკში ვარ, მაგრამ ახლაც ვკითხულობ და იმდენი დამრჩა წასაკითხი, ალბათ სიცოცლის ბოლომდე ვერ შევძლებ ყველაფრის წაკითხვას.

***— გამორჩეული პიროვნებები თქვენთვის ვინ არიან?***

— ბევრი გამორჩეული პიროვნება მყავს, მათი ასე ჩამოთვლა გამიჭირდება. ნაპოლეონი ჩემთვის დიდი პიროვნებაა, მან მართლაც შეცვალა მსოფლიო. დიდ პატივს ვცემ ლევ ტოლსტოის. მისი „ომი და მშვიდობა“ უნიკალურია. ეს ნაწარმოები ომს დაგავიწყებს. როგორც ხელოვანი ადამიანი, ჩემთვის მსოფლიოს შემცვლელი ჩარლი ჩაპლინია. მან სრულიად ახალი ხედვა შემოიტანა კინოში. სტალინს ძალიან ბევრს აკრიტიკებენ. შეიძლება, მას მართლაც ბევრი მინუსი ჰქონდა, მაგრამ, ნამდვილად იყო ის პიროვნება, რომელმაც შეცვალა მსოფლიო. ყველაზე დიდი პოლიტიკოსი კი ჩემთვის უინსტონ ჩერჩილია. თუმცა, გამორჩეულად მაინც — შოთა რუსთაველი. ის ჩემი იდეალია. ამ პროექტის ავტორი რომ ვიყო, ერთ ტომს მას მივუძღვნიდი. „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი უნიკალური ნაწარმოები არ დაწერილა და არც დაიწერება. შოთა რუსთაველი ნამდვილად უნიკალურია. თუკი ახალგაზრდობა გაეცნობა პროექტს „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“, ნამდვილად არ წააგებენ. მიხარია თქვენი ასეთი წამოწყება და მინდა, წარმატებები გისურვოთ. თუკი წაიკითხავენ, წაგებულები ნამდვილად არ დარჩებიან. მთავარია, პიროვნებებში დადებითი ვეძებოთ და წიგნი დიდ შვებას მოგვგვრის.



**მერაბ კოკოჩაშვილი, კინორეჟისორი:**

— ძალიან საინტერესო წამოწყება გაქვთ. „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“ უნიკალურია თავისი შინაარსითა და დატვირთვით.

***— თქვენთვის ვინ არის გამორჩეული?***

— ქრისტე.

**ოთარ რამიშვილი, მომღერალი:**

— „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“ სწორედ რომ დროული და ძალიან საჭირო პროექტია. მიხარია, რომ მისი ავტორი და ინიციატორი სწორედ „ახალი თაობაა“. თქვენი გაზეთის სახელწოდებას სხვანაირი დატვირთვაც აქვს და მინდა, ამ საქმეში წარმატებები გისურვოთ. ალბათ, ბევრს ადამიანს შეაგროვებთ, რომლებმაც რეალურად შეცვალეს მსოფლიო, ამიტომ მჯერა, პროექტი კარგი და საინტერესო გამოგივათ.



***— თქვენ ვის დაასახელებდით მსოფლიოს შემცვლელად?***

— სტალინს. ის ყველას მირჩევნია. „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“ მისი არ არის? ჰოდა, სტალინი იყო ადამიანი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო. ჩვენ გურიაში გვაქვს სახლი და, კარს რომ შემოაღებთ, დიდი ფოტო გვაქვს სტალინის, რომელსაც ჩარჩო მამაჩემმა დაუმზადა. სტალინი ჩვენთვის დიდი პიროვნება იყო. ეს პროექტი იმდენად საინტერესო ჩანს, ყველამ უნდა წაიკითხოს, არა აქვს მნიშვნელობა, რამხელა იქნება — დიდი, პატარა, ასაკოვანი თუ ახალგაზრდა. „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“ დროული, საჭირო და სასარგებლო პროექტია.

**გიგა ლორთქიფანიძე, რეჟისორი:**



— რა კარგი ჩანაფიქრი გაქვთ. „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“, ალბათ, კარგი და საინტერესო გამოვა. იმედია, საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს შეარჩევთ და ყველაფერი კარგად იქნება. მინდა, ბევრმა ადამიანმა წაიკითხოს თქვენი პროექტის ტომები და ზოგადად წიგნები. არ დაგვავიწყდეს, რომ წიგნი შეუცვლელია. ჩემთვის წიგნი ამ ცხოვრებაში ყველაფერია. მომავალმა თაობებმა ყველა დიდ პიროვნებაზე უნდა იცოდნენ ყველაფერი თავისი მინუსებითა და პლუსებით.

***— თქვენ ვინ მიგაჩნიათ ყველაზე გამორჩეულად?***

— ჩემთვის კოტე მარჯანიშვილი ნამდვილად არის ადამიანი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო. მიყვარს მისი შემოქმედება, ყველასგან და ყველაფრისგან გამორჩეულია.

**ომარ მხეიძე, სუხიშვილების ყოფილი მოცეკვავე:**

— ჩემთვის წიგნი ბევრ რამეს ნიშნავს. რაღაცნაირად ჩამითრევს ხოლმე და იმ საიდუმლოში ვიძირები, რომელშიც ავტორი მამოგზაურებს. „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“ ნამდვილად კარგი პროექტი გამოვა. არ ვიცი, რამდენი ტომის დაბეჭდვას აპირებთ, მაგრამ ყველა ტომის გამოცემაში დიდ წარმატებასა და ბედნიერებას გისურვებთ. წიგნი ადამიანის განუყოფელი ნაწილია, ამიტომ მისი დავიწყება და კომპიუტერით ჩანაცვლება დანაშაულია.



***— თქვენ ვის შეიყვანდით მსოფლიოს შემცვლელ ადამიანთა სიაში?***

— ჩემთვის სტალინი ყველაფერია. ეს იყო ადამიანი, რომელმაც უმოკლეს დროში შექმნა უძლიერესი იმპერია. არ ვიცი, ცუდი ადამიანი იყო ის თუ კარგი, მაგრამ ფაქტია, რომ მან მსოფლიო რეალურად შეცვალა. ჩემთვის გამორჩეულია ვაჟა-ფშაველაც, რომელმაც ბუნებას გენიალურად უმღერა და მთელი სიდიადით წარმოგვიდგინა იგი. კიდევ, მიკერძოებაში არ ჩამომართვათ, მაგრამ ნინო რამიშვილსა და ილიკო სუხიშვილს შევიყვანდი. მათ ნამდვილად გააოცეს და გააოგნეს მსოფლიო, როცა ქართული ხალხური ცეკვის მარგალიტები შეკრიბეს და მთელი მსოფლიოს წინაშე გაიტანეს. ეს ნამდვილი საოცრება იყო და ამიტომაც ქართულ ხალხურ ცეკვებს უცხოელებმა მსოფლიოს მერვე საოცრება უწოდეს.

**ვახტანგ ტატიშვილი, ანსამბლ „ივერიის“ წევრი:**



— ეს რა კარგი რამე მოგიფიქრებიათ! „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“. სახელწოდებაც კი უკვე ძალზე საინტერესოდ ჟღერს. ნებისმიერი წიგნი, რომელიც საინტერესოდ და კარგად არის დაწერილი, უკვე მოვლენაა. წიგნს ბევრი რამის მოცემა შეუძლია. არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი ისტორია, მიუხედავად იმისა, როგორი იყო იგი — კარგი თუ ცუდი. არ უნდა ვეცადოთ, შევცვალოთ ისტორია, რადგან ის, არც უკვე მოხდა, შეუცვლელია. მომავალმა თაობებმა რაც შეიძლება ბევრი უნდა იკითხონ, რომ განათლებულები იყვნენ და არაფერი შეეშალოთ. ისტორია ისტორიაა, ამიტომ, გინდა ჰიტლერი იყოს, გინდა სტალინი და გინდა გორბაჩოვი, ისინი უკვე ისტორიის საკუთრება არიან და მათზე ყველაფერი უნდა ვიცოდეთ. იმის გარჩევას, ვინ დადებითი პიროვნება იყო და ვინ — უარყოფითი, ახლა აზრი არა აქვს, მაგრამ, ადამიანებს არ უნდა დაგვავიწყდეს — „მთავარია სამი რამე დედამიწაზე: სიყვარული, სიკეთე და სილამაზე!“

***— ხომ ვერ დაგვისახელებდით იმ ადამიანს, რომელმაც, თქვენი აზრით, შეცვალა მსოფლიო?***

— ასეთი ადამიანი, ალბათ, ბევრია, მაგრამ პროექტში „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“ აუცილებლად შევიყვანდი აინშტაინს, რადგან ის უდიდესი მეცნიერი იყო. სწორედ მან დაუდო ბევრ უმნიშვნელოვანეს წამოწყებას სათავე, რომელიც სხვა მეცნიერებმა გააგრძელეს. მეცნიერება ხომ რეალურად ცვლის მსოფლიოს, კულტურას, ხელოვნებას, მთლიანად მსოფლიოს, ამიტომ აინშტაინი ამ პროექტში ნამდვილად შესაყვანია.

## სახალხო კრებამ წინააღმდეგობის კომიტეტები სამტრედიასა და აბაშაში დააფუძნა

სახალხო კრებამ წინააღმდეგობის კომიტეტები სამტრედიასა და აბაშაში დააფუძნა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სახალხო კრების პრესსამსახურიდან აცნობეს, ღონისძიებას სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრები, ნონა გაფრინდაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, თემურ შაშიაშვილი და სათათბირო დარბაზის წევრი გურამ ფირცხალავა ესწრებოდნენ.

საქართველოს მასშტაბით უკვე წინააღმდეგობის 50-მდე კომიტეტი ფუნქციონირებს, რომელთა მიზანიც საზოგადოების საერთოსახალხო დაუმორჩილებლობისთვის მომზადებაა.

**ინტერპრესნიუსი**

## ახლად ნამშობიარევი ქალი, შესაძლოა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ

შაბათს დედამ შვილი სახლში გააჩინა შემდეგ კი ეზოში დამარხა. შემთხვევა თბილისში, ივანოვის ქუჩის 29 ნომერში მოხდა. 34 წლის შვიდი თვის ორსულმა სოფიო ბუთიაშვილმა მშობიარობა ხელოვნურად გამოიწვია, შემდეგ კი ჩვილი მეგობარ მამაკაცთან ერთად მიწაში დამარხა.

შემთხვევის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც სოფიო ბუთიაშვილი გართულებული მდგომარეობის გამო სასწრაფო დახმარების ბრიგადამ მეხუთე სამშობიაროში გადაიყვანა.

ექიმების თქმით, პაციენტს სამშობიაროში შესვლისას სისხლდენა აღენიშნებოდა. თავდაპირველად პაციენტმა ექიმებს უთხრა, რომ ორი თვის ორსულს მუცელი მოეშალა, თუმცა სამედიცინო გამოკლევის შემდეგ დადგინდა, რომ პაციენტი ახლად ნამშობიარები იყო. ბუთიაშვილმა სწორედ ამის შემდეგ აღიარა სიმართლე.

ბუთიაშვილს კლინიკაში მიყვანისას მეგობარი მამაკაცი ახლდა, რომელმაც სამართალდამცავებთან ჩადენილი დანაშაული აღიარა და მათ ის ადგილიც აჩვენა, სადაც ჩვილი დამარხა.

მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. სამართალდამცველებმა საქმის გამოძიება უკვე დაიწყეს. პოლიციისთვის მიცემულ ჩვენებაში ბუთიაშვილი ამბობს, რომ მან მკვდარი ბავშვი დაბადა. ბავშვის ცხედარს ექსპერტიზა ჩაუტარდება და დადგინდება, იყო თუ არა დამარხვამდე ჩვილი ცოცხალი.

სოფიო ბუთიაშვილის პალატას ბადრაგი იცავს. მას სამშობიაროდან გაწერისთანავე, სავარაუდოდ, წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანენ.

**მედიანიუსი**

## ტუბერკულოზის დიაგნოზით კიდევ ერთი პატიმარი გარდაიცვალა

გუშინ ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში ტუბერკულოზის დიაგნოზით პატიმარი თენგიზ თაბუნიძე გარდაიცვალა.

როგორც „მედიანიუსს“ წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენელმა ირმა ინაშვილმა აცნობა, მოძრაობის ომბუდსმებმა პატიმრის საავადმყოფოში მოთავსების შესახებ გუშინ შეიტყვეს.



— გუშინწინ პატიმარი უკვე უგონო მდგომარეობაში იყო. რა თქმა უნდა, ჩვენ არ მოგვცეს საშუალება კადრები შიგნით, საავადმყოფოში გადაგველო. დღეს კიდევ ავიდნენ წინააღმდეგობის მოძრაობის ომბუდსმენები ე.წ ხუდადოვის კლინიკაში ავადმყოფის მდგომარეობის გასარკვევად, მაგრამ დღეს გვითხრეს, რომ ის გარდაიცვალა და გადაყვანილია სახლში, რომლის მისამართსაც არ გვეუბნებიან, — განაცხადა ირმა ინაშვილმა.

მისი თქმით, ჩვენი წყაროს ცნობით, ეს პატიმარი არის სასტიკად ნაცემი, ამიტომაც არ მისცეს წინააღმდეგობის მოძრაობის ომბუდსმენებს თენგიზ თაბუნიძის ნახვის უფლება. საავადმყოფოს ექიმმა თავდაცვის მიზნით ასეთი კომენტარი გააკეთა, რომ თითქოს პატიმარი საწოლიდან გადმოვარდა, რაც აბსურდია.

ირმა ინაშვილის განმარტებით, ხვალ „კინოს სახლში“ მედიაკავშირ „ობიექტივში“ წინააღმდეგობის მოძრაობა საგანგებო ბრიფინგს გამართავს, სადაც წინააღმდეგობის მოძრაობის ომბუდსმენების მიერ პატიმართა შესახებ დაფიქსირებული სხვა ფაქტებიც გახდება ცნობილი.

**მედიანიუსი**

# ამ ხელისუფლებას ორი გზა აქვს ციხე ან ქვეყნიდან გაქცევა

ნათია ხურცილავა

### ინტერვიუ ექსპერტ ირაკლი სესიაშვილთან

***— ბატონო ირაკლი, გაზაფხულდა და ოპოზიციის ნაწილმა ისევ დაიწყო რევოლუციის დაანონსება. რამდენად რეალურია მოვლენების ასე განვითარება?***

— ზოგადად, დაანონსებული რევოლუცია არასერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში საქართველოში მორიგ რევოლუციას აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური საფუძვლები.

***— რა არის ბუნებრივი და რა — ხელოვნური?***

— ბუნებრივი საფუძველი არის ის, რომ ხელისუფლების მიმართ პროტესტი საზოგადოებაში მატულობს. უკმაყოფილება მატულობს. თუკი აქამდე საზოგადოება უკმაყოფილო იყო ხელისუფლების ძირითადად არადემოკრატიულობით, არადემოკრატიული ნაბიჯებით, არასწორი პოლიტიკით. ბოლო პერიოდში ამ ყველაფერს დაემატა სოციალური უკმაყოფილება, რომელიც ხალხშია და ეს სრულიად დაუფარავად არის. დაემატა ის, რომ ყველაფერი კატასტროფულად გაძვირდა. ამ გაძვირების პროცესში ხელისუფლებამ არათუ ადეკვატური პოლიტიკა გაატარა, არამედ კიდევ უფრო მომხვეჭელი გახდა, თუ შეიძლება, ასე ითქვას, როდესაც გზა გაუხსნა კვლავაც საკუთარი პარტიის მხარდამჭერ ბიზნესმენებს და ხელი შეუწყო მონოპოლიური ბიზნესის განვითარებას. მონოპოლისტები დღეს საქართველოში მკაფიოდ ჩანან. ასეთ პირობებში, ცხადია, არ არსებობს არანაირი ჯანსაღი კონკურენცია და მოსახლეობა იძულებულია, გადაიხადოს ის, რასაც დაუწესებენ. ქვეყანაში, სადაც ფასების დაწესება ხდება, ცხადია, უკმაყოფილება დიდი იქნება, მით უმეტეს ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, რომელსაც, ფაქტიურად, საკუთარი ეკონომიკა აღარ გააჩნია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ხელისუფლების მიერ წლების მანძილზე წარმოებულმა არასწორმა პოლიტიკამ ბიზნესმენები გააქრო ქვეყანაში. თუ ბოლო პერიოდს გადახედავთ, ნახავთ, რომ რეალურად ბიზნესმენები, რომლებსაც უნდა შეექმნათ ქვეყანაში კონკურენცია და ეს სექტორი განევითარებინათ, ერთი მხრივ, ან ციხეში აღმოჩნდნენ, ან ხელისუფლების კონტროლის ქვეშ.

***— თუმცა, მიუხედავად ამ ყველაფრისა, ხალხის პროესტი არ არის...***

— ამიტომ ვამბობ, რომ მორიგ რევოლუციას საფუძვლად უდევს ბუნებრივი და ხელოვნური ფაქტორები. ბუნებრივი არის ის, რომ ხელისუფლებას წინა საპროტესტო აქციების შემდეგ არაფერი შეუცვლია პოზიტიური კუთხით. ის, რასაც ხალხი ითხოვდა, რომ ქვეყანაში გატარებულიყო ლიბერალური პოლიტიკა, გადაწყვეტილიყო პოლიტპატიმრების საკითხი, გადაწყვეტილიყო მედიისა და სასამართლოს თავისუფლება, საარჩევნო გარემოს კუთხით გადადგმულიყო რეალური ნაბიჯები, ხელისუფლებამ ამ კუთხით არათუ ნაბიჯი გადადგა, არამედ, პირიქით, შემოაგდო მაცდური თემა — ახალი კონსტიტუცია. ახალი კონსტიტუციის საბაბით არათუ ახალი და ღირებული სისტემა მოუტანა ქვეყანას, არამედ, პირიქით. ფაქტობრივად, გაფორმდა სააკაშვილის დიქტატორუ-



ლი მმართველობის სურვილი. რაც შეეხება ხელოვნურ ფაქტორებს, ხელოვნურია ის, როდესაც სხვადასხვა ჯგუფი თუ პოლიტიკური მოძრაობა ემზადებიან და ორგანიზატორობენ რევოლუციას. რევოლუციას, ცხადია, გარკვეული ორგანიზატორები სჭირდება. რასაკვირველია, ამ სიტუაციას გარკვეული მართვა და კონტროლი უნდა. ქაოტური რევოლუციების დროს, როგორც წესი, ძირითადი ძალა ხელთ უპყრია ხალხთ და გარკვეული ლიდერები რიგ შემთხვევაში ამოტივტივდებიან ხოლმე და რევოლუციას სათავეში უდგებიან. ჩვენთან, როგორც დღევანდელი გადმოსახედიდან ჩანს, არის საპროტესტო ელექტორატი და არიან რევოლუციის ორგანიზატორები, სხვადასხვა ჯგუფები. მათ შორის არაერთია, რომლებიც აპირებენ რევოლუციისკენ წასვლას. ხელოვნური ფაქტორი, თავისთავად, ძალიან გამოკვეთილია და ამას თავისი საფუძვლები აქვს. როდესაც საზოგადოების ზოგიერთ წრეში რევოლუციის დაანონსება ხდება, ეს გამოწვეულია არა იმით, რომ ვიღაცას ამის სურვილი აქვს, არამედ, უფრო მეტად იმით, რომ ხელისუფლებამ ფაქტიურად ყველა ალტერნატივა გააქრო, საზოგადოებასა და პოლიტიკურ ძალებს უბიძგა, ეფიქრათ მხოლოდ რევოლუციაზე.

***— თუმცა, ოპოზიციის მეორე ფრთა ალტერნატივად მიიჩნევს წინასაარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას, რომ საარჩევნო კანონმდებლობა შეცვალონ...***

— მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის გარკვეული ფრთა საუბრობს იმაზე, რომ ისინი წინააღმდეგნი არიან რევოლუციის, მე მეჩვენება, რომ მათაც ამოძრავებთ რევოლუციის სურვილი. უბრალოდ, საკითხი დგას ასე: არჩევნებამდე თუ არჩევნების შემდეგ.

***— რას გულისხმობთ?***

— რევოლუცია, როგორც საბაბი გაყალბებული არჩევნებისა. ეს არის მათ შორის განსხვავება. ხელისუფლებამ არჩევანის საშუალება არ დაუტოვა არა მხოლოდ იმ ძალებს, რომლებიც დღეს რევოლუციას ქადაგებენ, არამედ სხვა დანარჩენსაც. კონსტრუქციული ოპოზიცია თვლის, რომ როგორმე უნდა მივაღწიოთ არჩევნებამდე და, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, რისი ალბათობაც ძალიან მაღალია, მოგვეცემა სრული ლეგიტიმაცია საერთაშორისო საზოგადოების თვალში, რომ რევოლუციის გზით შეიცვალოს ხელისუფლება. თუმცა, ყველა რევოლუციას ვერ ვუწოდებთ რევოლუციას. არ შეიძლება, არაბულ სამყაროში განვითარებული რევოლუცია შევადაროთ ჩვენს ქვეყანაში მომხდარ ან მოსალოდნელ რევოლუციას და ვთქვათ, რომ ისეთივე ფორმებით განვითარდება. მე არ ვთვლი ასე. ყველა ქვეყანას აქვს თავისი განვითარების ეტაპები. ეს ეტაპები, რასაკვირველია, განსხვავდება. ის, რაც მოხდა ეგვიპტეში, მე ვფიქრობ, რომ ეს ეტაპი ჩვენ დიდი ხანია გავლილი გვაქვს და ვართ ბევრად უკეთეს ეტაპზე, სადაც ჩვენ ვითხოვთ არა დიქტატორული რეჟიმის შეცვლას, არამედ ვიცით, რა გვინდა და საით გვინდა წავიდეთ. ჩვენ გვინდა დემოკრატია და დემოკრატიული ქვეყანა. ჩვენ გვინდა ლიბერალური სახელმწიფო, ჩვენ გვინდა, ვიყოთ მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილი, ისეთივე, როგორიც არის, მაგალითად, საფრანგეთი. ჩვენი ხელისუფლება ისევე სცემდეს დემოკრატიულ ღირებულებებს პატივს, როგორც იტალიაში, გერმანიაში, საფრანგეთში და ა.შ. არაბულ სამყაროში სულ სხვა ტიპის რევოლუციები განვითარდა. მათ ყელში ამოუვიდათ დაბერებული დიქტატორები და ამ ეტაპზე მთავარი ამოცანაა მათი მოცილება და რეალური არჩევნების ჩატარება. რა იქნება ამის მერე, ბევრმა არც იცის. ჩვენს სიტუაციაში რა არის გამოსავალი? ვფიქრობ, რომ რაც არის განსხვავება არაბულ რევოლუციებსა და ქართულ მოსალოდნელ რევოლუციას შორის, უნდა იყოს ის, რომ რევოლუცია დღეს საქართველოს ქუჩებში კი არ უნდა მოხდეს, არამედ ხელისუფლებაში. ერთადერთი, უფრო ზუსტად, კარგი გამოსავალი იქნება, რომ ხელისუფლებამ თავად დაიწყოს რევოლუცია. თუ მოვლენები განვითარდება ისე, რომ ხელისუფლება დემოკრატიული გზით არ შეიცვლება, ჩვენ 5-10 წლის შემდეგ მივიღებთ ისეთივე მუბარაქს, ისეთივე კადაფს, როგორებიც დღეს არიან არაბულ სამყაროში. ჩვენს ვითარებაში ხელისუფლებას შანსი აქვს, გადარჩეს და სახელმწიფოს ინტერესები დაიცვას.

***— თუ მისი სურვილი იქნება...***

— დიახ. ხელისუფლება, სამწუხაროდ, ფიქრობს, რომ კოკა ყოველთვის მოიტანს წყალს, ყოველთვის ის დარჩება გამარჯვებული, მაგრამ, იმას ვერ ხვდება, რომ ამ გზით სვლა მას მიიყვანს მხოლოდ ერთ არჩევანამდე — ეს არის ან ციხე, ან ქვეყნიდან გაქცევა. ამ ვითარებაში არსებობს გამოსავალი და, ვიმეორებ, ეს არის ის, რომ ხელისუფლებამ თავად დაიწყოს რევოლუცია, პირველ რიგში, აღიაროს თავისი არადემოკრატიული მმართველობა და დაიწყოს პირდაპირი დემოკრატია. დემოკრატიული რეფორმების განხორციელება არა დამოუკიდებლად, არამედ სხვა პოლიტიკურ ძალებთან ერთად. რეალურად თუ მოხდება ხელისუფლებაში ძალთა გადანაწილება, ძალთა ბალანსი. თუ რეალურად ჩატარდება დემოკრატიული არჩევნები, სადაც ყველა ხმას ექნება თავისი დანიშნულება, მაშინ ეს იქნება ხელისუფლების სურვილი, რომ არსებული რეალობა შეცვალოს.

# სააკაშვილმა ქვეყანა სამ ნაწილად გახლიჩა

**დასაწყისი მე-3 გვერდზე**

ბატონს აქვს. მთელი მსოფლიო პატივს სცემს და ვიღაც პაჭანიკი, მანდატური ნონა გაფრინდაშვილს სკოლის შენობაში არ უშვებს! აი, რა სამარცხვილნ ქვეყანა შექმნა ამ სააკაშვილმა. თურმე, დირექტორისთვის დიმიტრი შაშკინს დაუბარებია, გაფრინდაშვილის შვილიშვილი სკოლაში არ მიიღოთო, გესმით?! აბა, ბავშვი სად უნდა წაიყვანოს? ამას რომ ბედავს სააკაშვილი და მისი ბანდა, მითხარით, ასეთ ქვეყანაში ვინმე ნორმალურ ადამიანს შეიძლება ცხოვრება მოუნდეს?

***— ასეთი ნაბიჯებით და იმ პოლიტიკით, რომელსაც ეს ხელისუფლება ქვეყანაში ატარებს, სააკაშვილი რეალურად მოსახლეობას რევოლუციისკენ უბიძგებს?***

— რა თქმა უნდა. რევოლუცია რომ მოხდება, ამაში ეჭვი გეპარებათ? ხომ ხედავთ, სომხეთში რა პროცესებია. მე პირადად, ქუჩაში რომ გავდივარ, ხალხი მეხვეწება, მომატყუე მაინც, როდის დაიწყება ეს ყველაფერიო. აქ შეიძლება ისეთი რაღაც მოხდეს, უმართავი პროცესი დაიწყოს. ხომ ნახეთ, „თელასის“ თანამშრომლებს, რომლებიც თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ და დენის ჩაჭრა დაიწყეს, ხალხმა როგორ სცემეს? ნახავთ, ამ ყველაფერს რა მოყვება. ისეა ხალხი გამწარებული უფულობით და იმით, რომ შვილებს ვეღარ კვებავს, რომ ყველაფერზე წავა. ხალხი გაჭირვების გამო თავს იკლავს, ხიდიდან ხტება, ზოგი — კორპუსიდან. ერთმანეთს ხოცავენ. ხალხი შეშალეს. ამ ზომამდე მიიყვანეს. როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს მოითმენს ამას ხალხი? ხალხი იტყვის: თუ მაინც ვკვდები, წინ სააკაშვილს და მის ხროვას წავიყოლიებო. იქ უამრავი სხვაც მოჰყვება, ვისაც დანაშაული აქვს. ეს ხალხი ქუჩაში ვერც უნდა გამოდიოდეს იმ უბედურების გამო, რაც ქვეყანას დაატეხეს. დღეს სამარცხვინოდ წერია, გიგა ბოკერიას ირჩევს ქართველი ერიო, ამერიკელები წერენ თავიანთ კვლევაში. თუ გინახავთ ადამიანი, ვისაც ბოკერიას მიმართ დადებითი სიტყვა უთქვამს.

***— ანუ ამერიკელები ფსონს გიგა ბოკერიაზე დებენ?***

— ასე გამოდის. რას მელაპარაკებით, ბოკერიას ლიდერობა უნდა ქვეყანას? ამას, რა თქმა უნდა, რევოლუცია მოჰყვება. რევოლუცია კი არა, ბოკერიას თავის დედიან-ბუდიანად და თავისი მიშა სააკაშვილიანად ცოცხლად შეჭამს ქართველი ხალხი. ამათ სახრჩობელაზე დაკიდებს. ყოველთვის ძალადობის წინააღმდეგი ვიყავი და ღიად ვამბობ, რომ ვერ ვხედავ გამოსავალს, რომ ასეთი საშინელება არ დატრიალდეს. ამათ სხვა ენაზე ლაპარაკი არ ესმით. თვითონ ძალადობით, ჩხუბით, უბედურებით და ბოროტებით მოვიდნენ. თუ ბოროტებას ბოროტება არ დავუპირისპირეთ, როგორც ჩანს, არაფერი გამოვა. სარწმუნოება კი გვეუბნება — ლოყა მიუშვირეთო, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენ ამისთვის მზად არ ვართ. სააკაშვილს და მის გუნდს ზუსტად ისე უნდა უპასუხოს ქართველმა ხალხმა, როგორც თავად იქცევიან. ესენი არ უნდა ჭაჭანებდნენ ამ ქვეყანაზე. სამარცხვინო უნდა იყოს ის ადამიანი, ვინც ნაციონალური მოძრაობის დუდუკზე ცეკვავდა და ლიდერების დავალებებს ასრულებდა.

***— სახელისუფლებო ექსპერტებიც და თავად ხელისუფლებაც აცხადებს, რომ საქართველოს მოსახლეობა რევოლუციისთვის მზად არ არის.***

— თუ არ გამოვა, თვენახევარში ნახავენ. ამ დენის და გაზის ჩაჭრებით ხელისუფლებამ თავის დასაკლავი დანა გაიმზადა. ხალხი უკიდურესად გამწარებულია.

***— კი მაგრამ, ხალხი თავს იკავებს, რადგან უამრავი ადამიანი დაიჭირეს აქციების დროს. მაინც გამოვა ხალხი?***

— რა თქმა უნდა. ჩემი შვილიც იყო დაპატიმრებული 7 თვე. მერე რა, ამით რა შეიცვალა? თუ მოვკვდები, ჩემი სამშობლოსთვის მაინც მოვკვდე, ვიდრე ამ მათხოვრების უღლის ქვეშ ვიყო. როცა ადამიანი სიკვდილისთვის მზად არის, ის სააკაშვილის შიშით არ ივლის საქართველოში. იმ აქციების დროსაც, როცა ოპოზიციამ ხალხს იმედები გაუცრუა, ხალხი მაშინაც მზად იყო ყველაფრისთვის.

# რკინიგზის ფულის ბეჟუაშვილის ჯიბეში მიდის

## ეზუგბაია სადაზღვევო კომპანიასთან პირდაპირ კორუფციულ გარიგებაშია შესული



ქეთი ხომერიკი

**„თავისუფალი საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრი, გია ყრუაშვილი ირწმუნება, რომ საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტში კორუფცია მძვინვარებს. ყრუაშვილი რკინიგზის დეპარტამენტის უფროსს, ირაკლი ეზუგბაიას დიდი ფულის მითვისებაში ადანაშაულებს. „ეზუგბაია პირდაპირ კორუფციულ გარიგებაშია შესული სადაზღვევო კომპანია „სტანდარტ დაზღვევა საქართველოსთან“ და ამით ისინი დიდ ფულს შოულობენ“, — აცხადებს, ყრუაშვილი. ბატონი გია „ახალ თაობას“ ამ საკითხზე ესაუბრა.**

**— რკინიგზის ლიანდაგის მოვლა და განახლება ერთადერთი ძირითადი მასალით, ქვის ნამტვრევით (ღორღით) ხდება. ღორღი ინახავს ლიანდაგის ხარისხს და ამორტიზაციასა და მდგრადობას უნარჩუნებს მას. საქართველოს რკინიგზის ლიანდაგის ქსელს ყოველთვიურად 10 ათასი კუბური მეტრი ღორღი სჭირდება. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველოს რკინიგზის უფროსი აკაკი ჩხაიძე იყო, შპს რკინიგზამ სოფელ დურნუკში ღორღის ქარხანა მოაწყო. გარკვეული პერიოდის განმავლობაში საქართველოს რკინიგზა საკუთარ პროდუქციას, ღორღს მინიმალური დანახარჯებით მოიხმარდა. იმ დროისთვის 1 კუბური მეტრი ღორღის ღირებულება 9 ლარი იყო, ქარხნის წარმადობა კი თვეში 6-7 ათას ტონას შეადგენდა. ხელოვნურად გაკოტრების გზით დღის წესრიგში დადგა ამ ქარხნის გაყიდვა და გაიყიდა კიდეც. და არ გაინტერესებთ, ვინ იყიდა? ვინ და ბატონმა ბეჟუაშვილმა.**

**— როდის გაიყიდა ეს ქარხანა, ბატონო გია, და რა იცით, რომ ბეჟუაშვილმა იყიდა?**

— ჩემი ინფორმაციით, საქართველოს რკინიგზამ ეს ქარხანა ბეჟუაშვილს 2006 წელს მიჰყიდა და ამის შემდეგ რკინიგზამ 1 მეტრი ღორღის შესყიდვა მარნეულის ქარხნიდან დაიწყო 24 ლარად. წარმოიდგინეთ, რკინიგზის დეპარტამენტი ღორღს ახლა, 24 ლარად მარნეულის ქარხნიდან ყიდულობს, მაშინ, როდესაც თავისივე მოწყობილი ქარხნიდან სულ რაღაც 9 ლარი უჯდებოდა. მარნეულის ქარხანა კი ირიბად დაკავშირებული იყო და ახლაც დაკავშირებულია ბეჟუაშვილებთან.

***— ანუ ბეჟუაშვილი გაძვირებული სახით აწვდის რკინიგზას პროდუქციას? და რატომ მიჰყიდა საქართველოს რკინიგზამ ქარხანა ბეჟუაშვილებს და დაიწყო ღორღის შეძენა თითქმის სამჯერ მეტ ფასად, მაშინ, როდესაც 9 ლარად მოიხმარდა საკუთარ პროდუქციას? ეს ყველაფერი ბეჟუაშვილების გასამდიდრებლად გაკეთდა? ბეჟუაშვილები სახელმწიფოს ხარჯზე მდიდრდებიან?***

— დიახ, სწორედაც რომ ასეა. აი, ასე, სახელმწიფოს და გალატაკებული ხალხის ხარჯზე მდიდრდებიან ხელისუფლებაში არსებული გარკვეული ჯგუფები, ამ შემთხვევაში, ბეჟუაშვილები და ძმანი მისნი. წარმოიდგინეთ, რკინიგზისთვის ჰაერივით საჭირო ობიექტი გასხვისდა. იცით, დღეისთვის, ყოველთვიურად საჭირო ღორღის ნაცვლად, რკინიგზას ბევრად უფრო ნაკლები ღორღი მიეწოდება და დოკუმენტებით კი ფორმდება მიწოდებულთან შედარებით 3-4 ჯერ მეტი. მოკლედ, იძენენ ნაკლებ ღორღს, დოკუმენტებში კი აფორმებენ, რომ შეიძინეს საჭირო რაოდენობის ღორღი და ფულს ჯიბეში იდებენ.

***— და რკინიგზის დეპარტამენტის უფროსის, ეზუგბაიას ჯიბეში მიდის ეს თანხები?***

— რა თქმა უნდა, ეზუგბაიასა და მარნეულის ქარხნის მეპატრონის ჯიბეში. მოკლედ, ტეხავენ ფულებს ბიჭები. გარდა იმისა, რომ აღნიშნული ქმედება არის ეკონომიკური დანაშაული, ანუ კორუფცია, პარალელურად ლიანდაგი განიცდის ამორტიზაციას და დაძველებას. ასევე, ეს ვაჟბატონები 60 ტონა ვაგონში ყრიან 35-40 ტონას და აფორმებენ 60 ტონად.

***— არადა, ხელისუფლება ირწმუნება, ქვეყანაში კორუფცია არ არისო და ამ დროს კი საქართველოს რკინიგზაში კორუფცია ყვავის?***

— ყვავის კი არა მძვინვარებს. სასაცილოა, ის ფაქტიც, რომ იმ ფონზე, როდესაც ეზუგბაია 4 ათასი რკინიგზელის შემცირებას აპირებს და მემანქანეებს, რომლებსაც თავისი გაუსაძლისი მუშაობის პირობებში რკინიგზაში დიდძალი შემოსავალი შემოაქვთ ხელფასებს უმცირებს, თავად 18.000 ლარი აქვს ხელფასი და პრემიას პრემიაზე იწერს. იცით, ეზუგბაიას ბანკიდან გამოაქვს სესხი და თანამშრომლებს ხელფასებს ისე ურიგებს ხოლმე, ბოლოს 8 მილიონიც კი გამოიტანა. და ამ ფონზე 35 ათასი ადამიანი ჰყავს დაზღვეული. რკინიგზაში სულ 15 ათასი ადამიანი მუშაობს, დაზღვეული კი 35 ათასი ადამიანი ჰყავს, ანუ რკინიგზის თანამშრომლების ოჯახის წევრები, ხედავთ რა მზრუნველია ბატონი ეზუგბაია. დაზღვევა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ეს ხალხზე არ არის გათვლილი. იცით, აქ რეალურად რაშია საქმე? ეზუგბაია ამ ხალხზე კი არ ზრუნავს, არამედ იმიტომ ჰყავს ეს ადამიანები დაზღვეული, რომ თავად და ამ სადაზღვევო კომპანიამ მოიხმაროს ეს თანხები, ეზუგბაია და სადაზღვევო კომპანია იყოფენ დაზღვევის თანხებს. ჩემი ინფორმაციით, ეზუგბაია პირდაპირ კორუფციულ გარიგებაშია შესული სადაზღვევო კომპანიასთან და ამით ისინი დიდ ფულს შოულობენ.

***— რომელ სადაზღვევო კომპანიასთან და როგორ არის რკინიგზა ჩაფლული ამ კორუფციაში, დარწმუნებული ხართ, რომ ეს ასეა და ეზუგბაიას ჯიბეში ილექება დაზღვევის თანხები?***

— დიახ, დარწმუნებული ვარ. ვიმეორებ, ეს არის ეზუგბაიას ერთ-ერთი ფინანსური შემოსავალი. ამ კონკრეტული პირების ჯიბეებში ილექება სადაზღვევო თანხები. „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“ აი, ამ სადაზღვევო კომპანიის სახელი. ამ კომპანიაში თუ ხარ დაზღვეული, მაინცდამაინც, ქავთარაძეზე არსებულ ლეჩკომბინატის შენობაში უნდა მიხვიდე, სხვაგან მისი დაზღვევა არ ვრცელდება. ამას



წინათ, რკინიგზის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელიც ბათუმში ცხოვრობს, მითხრა (სახელს და გვარს მისივე თხოვნით ვერ დაგისახელებთ) სამედიცინო დახმარება დამჭირდა და ბათუმიდან თბილისში ჩამოსვლა დამეზარა და საკუთარი ფინანსებით მივხედე თავსო. მეტსაც გეტყვით, მაშინ, როდესაც ციხეები უდანაშაულო ხალხითაა გავსებული და ზოგიერთი ადამიანი 30 ლარის მითვისებისთვის წლების განმავლობაში საპატიმროშია გამოკეტილი, საქართველოს რკინიგზაში, სარევიზიო აპარატში მუშაობს ვინმე ანზორ ბაბუნაშვილი, რომელიც დღესაც კი ციხეში უნდა იყოს გამოკეტილი და იხდიდეს სასჯელს ჩადენილი დანაშაულისთვის.

***— რატომ, რა დანაშაულისთვის?***

— ეს ადამიანი 2007 წელს რკინიგზაში მოძრაობის სამსახურის უფროსი იყო. მისივე თანამშრომელმა ილო ტაბიძემ, რომელსაც თვითონ ეჭირა თვალი ბაბუნაშვილის „სკამზე“იცოდა ბაბუნაშვილი რა დანაშაულსაც სჩადიოდა და ფინანსური პოლიცია დააყენა მას თავზე. ფინანსურმა პოლიციამ ბაბუნაშვილს აღმოუჩინა დარღვევა 200.000 ლარის, შეადგინა აქტი და კაბინეტიც დაულუქა.

***— რა სახის დარღვევა აღმოუჩინეს, დააკონკრეტეთ?***

— ვაგონსისტემების არასწორად განაწილება და დახარისხება. ბაბუნაშვილმა მოახერხა და საქმე ჩააწყო მაშინდელი ფინანსური პოლიციის საგამოძიებოს უფროს, ვინმე გელოვანთან და დიდი ფულის გადახდის შემდეგ ბაბუნაშვილი არათუ დაიჭირეს, არამედ მას დალუქული კაბინეტის კარები გაუღეს და დღესაც მშვენივრად აგრძელებს თანამდებობებზე მუშაობას. მოკლედ, იმის მაგივრად, რომ ეს ადამიანი ჩადენილი დანაშაულისთვის საპატიმროში იხდიდეს სასჯელს საქართველოს რკინიგზაში თბილად არის მოკალათებული. დარწმუნებული ვარ, კვლავ ათასნაირ კანონდარღვევას სჩადის, გამკითხავი კი არავინაა.

# ხელისუფლებას არჩევნების გზით შევცვლით!

შორენა კოწოწაშვილი

**„ახალი მემარჯვენეების“ წევრ მანანა ნაჭყებიას დასავლეთის ზეწოლის იმედი აქვს და აცხადებს, რომ საქართველოში ხელისუფლება აუცილებლად არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს. რაც შეეხება ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას, რაზეც ოქრუაშვილის თანაგუნდელები მიანიშნებენ, ოპოზიციური რვიანის წარმომადგენელი ამას გამორიცხავს. რა ხდება არჩევნების გარემოს გასაუმჯობესებლად შეკრებილთა ფორმატში და შეინარჩუნებს თუ არა სააკაშვილი ხელისუფლებას? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს მანანა ნაჭყებიასთან.**

***— ქალბატონო მანანა, ითქვა, რომ ოპოზიციურმა რვიანმა, რომელიც ხელისუფლებასთან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე საუბრობს, აღიარა მოლაპარაკებების უშედეგობა. რა ეტაპზეა ეს მოლაპარაკებები და ხომ არ თვლით „ახალი მემარჯვენეები“, რომ რეალურად დროის ფუჭი ხარჯვა გამოდგა ხელისუფლებასთან ეს კონსულტაციები?***

— არა. ჩვენ, „ახალი მემარჯვენეები“, ყოველთვის ვახერხებდით, ხელისუფლებაზე რაღაცნაირად ზეწოლა მოგვეხდინა და ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც მოლაპარაკებით შეიძლება, სწორედ მოლაპარაკების გზით გადაგვეწყვიტა. რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ილუზიას არავინ იქმნის ამ მოლაპარაკებებზე, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს არის ის აუცილებელი პროცესი, რომელმაც, როგორც შიგნით მოსახლეობის მხრიდან, ასევე ქვეყნის გარეთ დემოკრატიული ძალების ზეწოლით ხელისუფლება უნდა აიძულოს, ერთხელ მაინც ჩაატაროს ქვეყანაში სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, ახლაა სწორედ მოლაპარაკების ეტაპი, როდესაც ხელისუფლებას უკანდასახევი გზა აღარ ექნება. თვითონ ხელისუფლება ძალიან კარგად აცნობიერებს, რომ ის წინადადებები, რომლებიც წარმოადგინა ჩვენი წინადადებების სანაცვლოდ, მოთხოვნების ადეკვატური არ არის. ვნახოთ, არ არის გამორიცხული, ხელისუფლებამ კარგად გააცნობიეროს ამ პროცესის აუცილებლობა, განსაკუთრებით მსოფლიოში ბოლო დროს მიმდინარე მოვლენების ფონზე.

***— იმედი გაქვთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას გარკვეულ დათმობებზე წაიყვანთ?***

— ამას ვერ დავარქმევდი, რომ იმედი გვაქვს, უნდა წავიყვანოთ. „ახალი მემარჯვენეები“ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ წავიყვანოთ. ბოლომდე ვიბრძოლებთ, სანამ ოდნავ მაინც შანსი დარჩება იმისა, რომ ხელისუფლებამ გააცნობიეროს, რასთან აქვს საქმე ამ მოლაპარაკების სახით. თუმცაღა, რა თქმა უნდა, თუ თავს ზემოთ ძალა არ იქნება და პროცესი მართლა დაემსგავსება ბუტაფორიულ პროცესს ან რაღაც დეკორაციას ხელისუფლებისთვის, მაშინ მას აზრი არ ექნება. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზეწოლის შანსი ჯერ კიდევ არის. ვეცდებით, ეს ზეწოლა განვახორციელოთ.

***— ზეწოლაში მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურობასა და ამ გზით ხელისუფლებისთვის საარჩევნო გარემოს დათმობის იძულებას გულისხმობთ თუ საპროტესტო გამოსვლებსაც განიხილავთ?***

— რა თქმა უნდა, პირველ რიგში, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით. თუმცა, ზოგა-



დად, პოლიტიკური ბრძოლის არსენალში რაც შეიძლება იყოს გამოყენებული, ყველაფერს გამოვიყენებთ. რა თქმა უნდა, წინასწარ არავის შეუძლია განსაზღვროს, რას გამოიყენებს. რაც საჭირო იქნება, იმას გავაკეთებთ. თუმცა, ახლა ვხედავთ, რომ ძალიან აქტიურად არიან ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციები და გვინდა, მათ კარგად დაინახონ, ამ პროცესში ვინ არის მართალი, ვინ არის პასუხისმგებლობით გამსჭვალული თავისი ქვეყნის მომავლის მიმართ და ვინ — არა. ხანდახან გვეუბნებიან ხოლმე, რომ ეს არ არის მნიშვნელოვანი. მე ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, ამაში განსაკუთრებით დავრწმუნდი ჩვენი დასავლელი მეგობრების ბოლოდროინდელი განცხადებებით. კონკრეტულად შეიძლება ვისაუბროთ საფრანგეთის ელჩის რეაქციაზე ე.წ. ჩრდილოვან ანგარიშთან დაკავშირებით სამეზობლო პოლიტიკაში საქართველოს საქმიანობის შესახებ. იცით, რომ ასეთი ანგარიში გააკეთა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ საქართველოში. მე ვფიქრობ, სწორედ ასეთი მეთოდებით შეიძლება ჩვენი დასავლელი მეგობრები დავარწმუნოთ, რომ მიხეილ სააკაშვილი და მისი რეჟიმი, თუ რაღაც ზეწოლა არ მოხდა მათი მხრიდანაც, არ აპირებენ, ამ ქვეყანაში ოდესმე დემოკრატიული არჩევნები ჩაატარონ.

***— „ახალი მემარჯვენეები“ მაინც ფიქრობთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება არჩევნების გზით წავა? ოპოზიციის ნაწილი ერთადერთ გზად რევოლუციას განიხილავს.***

— ჩვენ ვფიქრობთ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მიხეილ სააკაშვილი არჩევნების გზით წავიყვანოთ. ძალიან ადვილია დღეს საუბარი იმაზე, რომ რევოლუციას მოვაწყობთ და ეს მხოლოდ დეკლარირების დონეზე გააკეთო, იმიტომ რომ რევოლუციის მოწყობას რაღაც სხვა წინაპირობებიც უნდა. რევოლუციია ზოგადად მიუღებელია „ახალი მემარჯვენეებისთვის“ და მე ვფიქრობ, რომ თუ ყველა პოლიტიკური ძალა გააცნობიერებს რევოლუციის ძალიან ნეგატიურ გავლენას ქვეყნის მომავალზე, კარგი იქნება. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ: საზოგადოებას, რა თქმა უნდა, აქვს აჯანყების უფლება. ამის უფლებას მას არავინ წაართმევს, მაგრამ, პოლიტიკოსების მოვალეობაა, მოვლენები გონივრულად წარმართონ და კალაპოტში მოაქციონ.

***— „ქართული პარტია“ და ზოგიერთი სხვა პოლიტიკოსი ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას არ გამორიცხავს. სააკაშვილის ნაბიჯებში არჩევნებისთვის მზადება იკვეთება?***

— მე ასე არ ვფიქრობ. არა მგონია, ხელისუფლების ეს ჰიპერაქტიური პიარი ნიშნავდეს იმას, რომ ის არჩევნებს აპირებს. ხელისუფლება, თუ არა პიარი, სხვა ვერანაირ ნაბიჯს ვერ დგამს. ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის, ინფლაციის დაძლევისთვის, სამწუხაროდ, ხელისუფლებას ან არ შეუძლია, ან ვერ აცნობიერებს, რომ სწორედ ეს ნაბიჯები უნდა გადადგას. ამიტომ მას მხოლოდდამხოლოდ პიარი დარჩენია და შეუძლია, ამ პიარით შეინარჩუნოს რაღაც გავლენა არაინფორმირებული მოსახლეობის ნაწილზე. აქედან გამომდინარე აქვს ჰიპერაქტივობა და არა იმით, რომ სააკაშვილის გუნდი შემოდგომაზე არჩევნებისთვის ემზადება.

***— რა პოზიციას დაიკავებთ „ახალი მემარჯვენეები“ სახალხო კრების მიერ აქციების წამოწყების დროისთვის, ჩაერთვებით ამ აქციებში?***

— ყველას თავისი გზა აქვს. ჩვენ ჩვენი გზებით ვიბრძოდით და ვიბრძვით. ის, რასაც ახლა აკეთებენ ახლები თუნდაც რვიანი ფორმატში, ესეც მნიშვნელოვანია და პოლიტიკური აქტივობაა. თუ ვინმე თვლის, რომ ამ ეტაპზე საზოგადოება მზად არის ქუჩაში გამოსასვლელად და პროტესტის ხმამაღლა გამოსახატავად, ბურთიც მისია და მოედანიც. მათ შეუძლიათ, ასეთი ტიპის აქტივობები გააგრძელონ. ჩვენ ამ ეტაპზე ვმოქმედებთ იმ გზებითა და მეთოდებით, რომლითაც ვთვლით, რომ დღევანდელ გამოწვევას უნდა ვუპასუხოთ. ჩვენი პოზიცია — არა რევოლუციის გზით, არჩევნები ძალაშია — ის იყო ძალაში თავიდანვე. ახლები პოზიციებს არასოდეს ვიცვლით.

## გარდაიცვალა დეპუტატი ვიქტორ ილიუხინი

მოსკოვში გარდაიცვალა დეპუტატი ვიქტორ ილიუხინი.ილიუხინი დუმის დეპუტატი რუსეთის კომუნისტური პარტიიდან იყო.

19 მარტს, საღამოს ილიუხინმა მოულოდნელად თავი ცუდად იგრძნო. გამოუძახეს სასწრაფო დახმარება, მაგრამ მის მოსვლამდე დეპუტატი გარდაიცვალა.ვიქტორ ილიუხინი 63 წლის იყო. ის დუმაში საკონსტიტუციო კანონმდებლობის და სახელმწიფო მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო.ეს იყო ადამიანი, რომელიც საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო ორი□სამი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა საგამოძიებო კომისიებს მთიან ყარაბაღთან, საქართველოსთან და სხვა ადგილებთან დაკავშირებით, სადაც უკვე აღმოცენდა ეთნიკური კონფლიქტები და დაიწყო სსრკ-ს დანგრევა.

თავისი მოღვაწეობის მანძილზე ის არასდროს გამოირჩეოდა საქართველოსთან კარგი დამოკიდებულებით.

დეპუტატ ვიქტორ ილიუხინის სკკვდილი მისი თანაპარტიელებისთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა.

ზიუგანოვის თქმით, პარტიაში შოკირებული არიან ილიუხინის სიკვდილით, რადგან მას გული არასროს აწუხებდა.

— პარასკევს ილიუხინი სრულიად ჯანმრთელი იყო. ჩვენ მოვითხოვთ მისი სიკვდილის მიზეზების საფუძვლიან გამოკვლევას, — თქვა ზიუგანოვმა.

ამ ეტაპზე ილიუხინის სიკვდილის მიზეზებს ცენტრალურ კლინიკუს საავადმყოფოში იკვლევენ. კომუნისტები აპირებენ ამ საქმესი სხვა სამედიცინო სტრუქტურების ჩართვასაც.

**ატბ-ნიუსი**

## ბოკერია და მერაბიშვილი სააკაშვილის წინააღმდეგ გაერთიანდებიან?!

დასაწყისი მე-2 გვერდზე

იყოს ეს საპროტესტო ცენტრები გახსნილი და საპროტესტო მუხტი ყველგან ერთდროულად უნდა იყოს რაც შეიძლება მაღალ დონეზე აყვანილი, იმიტომ რომ მხოლოდ თბილისის აქტიურობა არ კმარა სააკაშვილის ხელისუფლების გასაშვებად.

***— გამოიკვეთა, რომ ხელისუფლების შიგნით ბოკერიას აქვს პირველობის სურვილი პოსტსააკაშვილისეულ პერიოდში. თქვენი აზრით, რა თამაშს თამაშობს ბოკერია და რას ნიშნავს საერთაშორისო ორგანიზაციებზე დაყრდნობით ინტერნეტსივრცეში გავრცელებული ინფორმაცია — ქართველი ხალხი გიგა ბოკერიას ირჩევს?***

— გიგა ბოკერიას რომ ეს ამბიცია ჰქონდეს, სულ არ გამიკვირდება. ბოკერია მთელი თავით მაღლა დგას დანარჩენ იმ ე.წ. პოლიტიკოსებზე, რომლებიც დღეს მმართველ გუნდში არიან. დღეს გიგა ბოკერია რეალურად ძალიან ბევრ რამეს განსაზღვრავს ამ გუნდის პოლიტიკაში. აქედან გამომდინარე, მას რომ პირველობა უნდოდეს, სულ არ გამიკვირდება. ამის მონაცემები აქვს. მაგრამ მეორეა, რამდენად შეძლებს ბოკერია, გათავისუფლდეს იმ ტვირთისგან, რაც ამ ხელისუფლებამ აჰკიდა ან თვითონ აიკიდა ხელისუფლებაში ყოფნის დროს, იმიტომ რომ ყველაფერი, რაც ხელისუფლებამ გააფუჭა, მისი თანამონაწილე ბოკერიაც იყო და, ბუნებრივია, მასაც ბრალდება. თუ ბოკერია შეძლებს ხელისუფლების გასვრილი გუნდიდან რაღაცნაირად სუფთად გამოსვლას, ამის მცდელობა არ გამიკვირდება. ბოკერიას მონაცემებიდან გამომდინარე, მთლად უპერსპექტივოდ ეს საქმე არ მეჩვენება.

***— ითქვა, დასავლეთმა საქართველოს მოსახლეობას ბოკერიას კანდიდატურა რომ შემოახვიოს თავს, ამას მართლაც სერიოზული რევოლუცია და გამოსვლები მოჰყვებაო.***

— ბოკერია არ იქნება ფასადური ფიგურა, როგორიც დღეს სააკაშვილია და მის უკან მდგომი 3-4 პიროვნება წყვეტს ყველაფერს. თუ ბოკერია პირველი ფიგურა იქნება, ის იქნება რეალურად პირველი ფიგურა ქვეყანაში. მაგრამ, მეც ძალიან მეპარება ეჭვი, რომ ასეთ მოკლე პერიოდში მან შეძლოს სააკაშვილისგან დისტანცირება, მით უმეტეს, რომ ავადმყოფურად ებღაუჭება ხელისუფლებას და რომელიც ყველანაირად შეეცდება, ხელისუფლებაში ნებისმიერ თანამდებობაზე დარჩეს, ოღონდ რეალური ძალაუფლებით. რამდენად შეძლებენ სააკაშვილის ჩამოცილებასა და მისი ამბიციების დაოკებას, არ ვიცი. შეიძლება, დასავლეთი ან თვითონ ბოკერია და რაღაც ჯგუფი შეჰპირდეს, არ გასამართლდები და პასუხს არ აგებ ბევრი რამის გამო იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაშიო. სააკაშვილი შეიძლება ამაზე დათანხმდეს. პრინციპში, ამ გუნდიდან თუ ვინმე შეიძლება დარჩეს და ვინმეს შეიძლება ჰქონდეს დარჩენის შანსი, გამომდინარე იქიდან, რომ დასავლეთი მას მხარს უჭერს, ეს არის სწორედ გიგა ბოკერია და მისი დაჯგუფება. მაგრამ ეს ძალიან ძნელი იქნება სწორედ იმ მიზეზის გამო, რომ ქართველი ხალხი ასევე ანტიპათიურად არის განწყობილი ბოკერიას მიმართ, ვიდრე სააკაშვილის და ამ ჯგუფის ნებისმიერი წარმომადგენლის მიმართ. მე არ ვიცი ის მექანიზმი, რომლითაც შეიძლება, მათი ხელისუფლებაში მოსვლა განხორციელდეს. მე, ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით ამას ვერ ვხედავ.

***— თუკი ბოკერია სერიოზულად იმუშავებს სააკაშვილის ჩანაცვლებაზე, რა ნაბიჯებს უნდა ველოდეთ სააკაშვილის ხელისუფლების ხერხემლის, ვანო მერაბიშვილისაგან, შიდა სახელისუფლებო მოძრაობები იკვეთება?***

— ჯერ ეს გარეგნულად არ იკვეთება, მაგრამ მერაბიშვილი, გამომდინარე იმ შესაძლებლობიდან, რაც მან ხელისუფლებაში ყოფნის დროს გამოამჟღავნა, ალბათ, მაინც საბოლოოდ იმის სასარგებლოდ დაიკავებს პოზიციას, ვის მხარესაც ძალა გადაიხრება. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, უფრო პერსპექტიული გიგა ბოკერია იქნებოდა. არადა, ძალოვანი უწყებების მხარდაჭერის გარეშე ბოკერიას და ნებისმიერ სხვასაც გაუჭირდება ხელისუფლების შენარჩუნება. აქედან გამომდინარე, ძალიან ძნელია ახლა იმის თქმა, როგორ განვითარდება შიდა პროცესები.

***— ანუ სააკაშვილი პრეზიდენტის პოსტზე მყარად არ უნდა გრძნობდეს თავს უკვე ამ პერიოდიდან?***

— რეალურად არ უნდა გრძნობდეს მყარად, მით უმეტეს, რომ დასავლეთში მას პირდაპირ ეუბნებიან — მისი ხელისუფლებაში დარჩენის მომხრეები არ არიან. რაც შეეხება ბოკერიას შესაძლოა გაპირველკაცებას, როგორ გითხრათ, როცა მე ბოკერიას ვიცნობდი და მასთან ვმეგობრობდი, მაშინ მასზე მხოლოდ დადებითი წარმოდგენა მქონდა, მის შესაძლებლობებზე, თუნდაც მის პოლიტიკურ ორიენტაციაზე. მაშინ ის იყო კარგი უფლებადამცველი. შემდგომში, როცა პოლიტიკაში გადავიდა, საერთოდ 180 გრადუსით შეცვალა პოზიცია და ფაქტობრივად გახდა შეიძლება კარგი პოლიტიკოსი, მაგრამ ცუდი უფლებადამცველი და, საერთოდ, უფლებადაცვითი საქმიანობა მეასე ფლანგზე გადაიტანა. ის გახდა ერთ-ერთი სასტიკი პოლიტიკის გამტარებელი პოლიტიკოსი.

***— ბოკერიასთან დაახლოებული ადამიანები ამბობენ, რომ დღეს მას უფრო მეტი გავლენა აქვს, ვიდრე ვანო მერაბიშვილს და რომ ის უფრო საშიშია. ასეა?***

— მას რომ უფრო მეტი გავლენა აქვს დღეს, მჯერა. უშიშროების საბჭოს მდივნობა შემთხვევითი თანამდებობა არ არის. ნუგზარ საჯაიას შემდეგ ეს თანამდებობა ფორმალური იყო და საჯაია თავის დროზე ნომერ პირველი გავლენის მქონე იყო. რეალურად დღეს ასეც არის. რაც შეეხება ვერაგობას, რა გითხრათ, ვერაგობის საზომი ძნელია. მაგრამ, არც ვანო მერაბიშვილსა და არც გიგა ბოკერიას არ დაუკლიათ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამის გამომჟღავნება. თუმცა, გარედან ჩვენთვის ძნელია იმაზე მსჯელობა, კონკრეტული გადაწყვეტილებები იქნებოდა ეს ციხის ბუნტი თუ იარაღის გამოყენება ქუჩაში ხალხის ჩახოცვის დროს, ხალხის ცემა და ზონდერების გამოყენება, ჩვენთვის ძნელია ამის მტკიცება, კონკრეტულად ეს ბოკერიასგან მოდიოდა, მერაბიშვილისგან, ორივესგან თუ კიდევ სხვაც იყო ბრძანების გამცემი. პირადად მე ვფიქრობ, რომ არც ერთი და არც მეორე ამაზე უარს არ იტყოდა. არ გამოვრიცხავ, ეს იდეები სწორედ მათგან წამოსულიყო.

# დარწმუნებული ვარ, 2013 წელს სააკაშვილი არც პრეზიდენტი იქნება და არც — პრემიერი

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ კონსერვატიული პარტიის ლიდერ ზვიად ძიძიგურთან



***— ბატონო ზვიად, სახალხო კრებამ უკვე ღიად განაცხადა თავისი გეგმების შესახებ, რომ ისინი აღდგომის შემდეგ სერიოზული პროცესების დასაწყებად ემზადებიან, თუმცა, მეორე ნაწილი სკეპტიკურად უყურებს მათ განცხადებებს და მიაჩნია, რომ საზოგადოება რევოლუციური ცვლილებებისთვის მზად არ არის. თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?***

— ჩვენ სახალხო კრების საქმიანობას ყველანი ვადევნებთ თვალყურს ამდენი თვის განმავლობაში. მე უბრალოდ მინდა ვთქვა, რომ ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ ხელისუფლებას ჩვენ უნდა რადიკალური მეთოდებით დავუპირისპირდეთ, არიან ძალიან ბევრნი ქვეყანაში და ამ ადამიანებს აქვთ უფლება, რომ თავიანთი მოსაზრებები, თავიანთი ქმედებები გამოხატონ ისე, როგორც ისინი ამბობენ. მე ამაში ვერაფერს საგანგაშოს ვერ ვხედავ. ხშირად არის ხოლმე, რომ უპირისპირებენ ხოლმე ერთმანეთს იმ ძალებს, რომლებიც არჩევნების გზით ცდილობს სიტუაციის გაუმჯობესებას და იმ პარტიებს, რომლებიც გამორიცხავენ ხელისუფლებასთან რაიმე ტიპის ურთიერთობას. მე ვფიქრობ, ერთიც და მეორეც არის ძალიან ლოგიკური ასახვა იმისი, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება და ამიტომაც არ ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ერთმანეთის ხელისშემშლელი პროცესები იყოს.

***— ფიქრობთ, რომ ნორმალური იქნება, თუ ისინი მაისიდან სერიოზულ საპროტესტო გამოსვლებს დაიწყებენ?***

— არა, მე არ ვამბობ, რომ ეს საკმაოდ ნორმალურია, პირიქით, არანორმალურია, როდესაც ქვეყანაში ძალიან ბევრი ადამიანი ლაპარაკობს, რომ ხელისუფლებასთან დიალოგს აზრი არა აქვს და მასთან მხოლოდ რადიკალური ფორმებით უნდა დავიწყოთ ურთიერთობა, უნდა შევცვალოთ და შემდეგ უნდა დაინიშნოს სამართლიანი არჩევნები, ეს არ არის ნორმალური მდგომარეობა, ეს არის არანორმალური მდგომარეობა და ვისურვებდი, რომ ასეთი მდგომარეობა არ ყოფილიყოს ჩვენს ქვეყანაში, თუმცა, ყველა ვხედავთ, რომ რეალობა სამწუხაროდ ასეთია.

***— საზოგადოებაში რამდენად ხედავთ განწყობას, რომ მზად იყვნენ რევოლუციისთვის?***

— მე ვფიქრობ, რომ საზოგადოების უმეტესი ნაწილი მზად არის ცვლილებები არჩევნების გზით მოხდეს. ეს არის ჩემი არა სუბიექტური აზრი, არამედ დაკვირვების შედეგი, იმ ადამიანებთან ურთიერთობის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნა. მე მიმაჩნია, რომ გზა, რომელსაც ადგას რვა ოპოზიციური პარტია, საარჩევნო გარემოს შეცვლის, სამართლიანი არჩევნების მიღწევისა, არის ერთადერთი და სწორი გზა. ვფიქრობ, რომ აი ეს გზა იქნება მხარდაჭერილი საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მიერ. თუმცა, მე არ განვიკითხავ, არ ვესხმი თავს, არ ვაკრიტიკებ ჩემს კოლეგებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ხელისუფლებასთან ლაპარაკს აზრი არა აქვს.

***— მათი პოზიცია ასეთია, რომ სააკაშვილმა ოპოზიციურ რვიანს ღიად უთხრა, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე წამსვლელი არ არის და ეს უბრალოდ დროის გაწელვაა და სხვა არაფერიო...***

— თუ ვინმეს ეგონა, რომ ჩვენ დავიწყებდით საარჩევნო ვარიანტების წარმოდგენას და ამაზე სააკაშვილი სიხარულით გამოიქცეოდა და ჩახტებოდა იმ ვარიანტში, რომელსაც მას ჩვენ შევთავაზებდით, ასეთი განცდა ჩვენ არ გვქონია და მიგვაჩნდა, რომ რა თქმა უნდა, უარს იტყოდნენ და უარის თქმის შემდეგ უნდა დაიწყოს პოლიტიკური პროცესი, რომელიც სამართლიან არჩევნებამდე მიგვიყვანს. ეს არის პოლიტიკური, სამართლებრივი ბრძოლა და ეს არ არის ერთდღიანი, ჩვენ აქ იოლი წარმატების მოლოდინში არც ვიყავით და არც ახლა არა ვართ. თუმცა, მინდა ვთქვა, რომ ძალიან დიდი არის საერთაშორისო მხარდაჭერა, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით და ეს იმედს გვაძლევს, რომ პროცესი უფრო დიდი შანსია, იყოს წარმატებული, ვიდრე ეს ვინმეს ერთი შეხედვით ჰგონია. დროის გაჭიმვას რაც შეეხება, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ არავისთან არ შეგვითანხმებია, როდესაც ამ პარტიებმა დავინახეთ, რომ ეს გასაკეთებელი იყო, გადავწყვიტეთ, ერთად დაგვეწყო. ის პარტიებმა, რომლებმაც თქვეს, რომ ლაპარაკს აზრი არა აქვს და რევოლუცია უნდა დაეწყოთ ასევე თავის გადაწყვეტილებით მივიდნენ აქამდე და მე მიმაჩნია, რომ ყველა გზა რომში მიდის. იქნება ის სქემა, რომელი სქემითაც ხელისუფლებამ ძალიან იხალისა გასული წლის მიწურულს, როდესაც ოპოზიციურმა პარტიებმა დაიწყეს ერთმანეთში კინკლაობა, ერთმანეთზე ლაფის დასხმა, ერთმანეთის მიმართ მთელი თავიანთი ნიჭისა და გამომგონებლობის გამოყენება ერთმანეთის ჩასაძირად და ამას ძალიან ხალისიანად ადევნებდა თვალს მიხეილ სააკაშვილი და კმაყოფილი ხითხითებდა. მე ვფიქრობ, რომ დღესაც, როდესაც ოპოზიციური პარტიები იწყებენ მსგავსი ტიპის ქმედებას, წყევლა-კრულვას და ლანძღვა-გინების ფრქვევას, ამითი მხოლოდ სააკაშვილი დგება კარგ ხასიათზე.

***— კეთდება ასეთი შეფასებებიც, რომ დღეს ქვეყანაში არეულობა და საპროტესტო გამოსვლებიც სააკაშვილს აწყობს და მის წისქვილზე დაასხამს წყალსო. თქვენ რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებებს?***

— მე ათასჯერ მითქვამს და კიდევ ვიტყვი, თუკი ქვეყანაში დაიწყება საპროტესტო გამოსვლები, საარჩევნო გაუმჯობესებას მხოლოდ ხელს შეუწყობს. მე არ ვიცი, რამდენად იქნება ხელისუფლების შეცვლა საპროტესტო გამოსვლებით და რომელი სქემები წარმოუდგებით ჩემს მეგობრებს ხელისუფლების შესაცვლელად უმოკლეს დროში, მე არ ვიცი ამის შესახებ და ვერაფერს ვერ გეტყვით, მაგრამ ერთი ვიცი, რომ თუკი სახალხო გამოსვლები დაიწყება ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნით, ეს პარტიებს, რომლებიც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის იბრძვიან, მხოლოდ და მხოლოდ შეუმსუბუქებს საქმეს, იმიტომ, რომ ფაქტიურად მთელი მსოფლიოს დასანახად იქნება ხელისუფლების წინაშე ორი ალტერნატივა — ან წავიდეს იმ სცენარით, რომელიც იყო ეგვიპტესა და ტუნისში, ან კეთილი ინებოს და შეცვალოს საარჩევნო სიტუაცია სამართლიანი საარჩევნო სიტუაციით. ამიტომაც მინდა გითხრათ, რომ ვერავითარ საგანგაშოს იმაში, რომ პარტიათა ერთი ნაწილი აქტიურობას აპირებს და პარტიათა მეორე ნაწილი საარჩევნო გარემოსთვის იბრძვის, ვერაფერს ვერ ვხედავ. პირიქით, ეს ბუნებრივი პროცესებია, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს.

***— თქვენ მიგაჩნიათ, რომ საპროტესტო გამოსვლები ამ მოლაპარაკებებს პირიქით ხელს შეუწყობს და წაგადგებათ?***

— რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს, ისევე როგორც ეს მოლაპარაკებები საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით და მოლაპარაკებში თუ გინდათ დროის გაყვანა, რომელსაც ხელისუფლება ცდილობს, რომ განახორციელოს ასევე იმ ოპოზიციური პარტიებისთვის, რომლებიც ქუჩაში გასვლას აპირებენ, ასევე არგუმენტია, რომ რა ვქნათ, როგორ შევცვალოთ ხელისუფლება, ხომ ხედავთ საარჩევნო სიტუაციასთან დაკავშირებით ისინი ნაბიჯს არ დგამენ. ასე რომ, ეს პროცესები ხელის შემშლელად მე არ წარმომიდგენია. ერთი რამე კი მინდა ცალსახად ვთქვა, რომ არც ერთი, არც რევოლუციური, არც დაანარჩენი პარტია არ არის მოწადინებული, რომ ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალოს რადიკალური გზით. მე დარწმუნებული ვარ, რომ პრიორიტეტს ყველა ანიჭებს საარჩევნო გზით ხელისუფლების ცვლილებას და არავის არ უნდა, ყველაზე რადიკალურ პოლიტიკურ ძალასაც კი არ უნდა ამ ქვეყანაში ან სისხლი დაიღვაროს და ისეთი ტიპის არეულობა დაიწყოს, რომელიც მე მინახავს და რომლის თავიდან ნახვის სურვილი არავის არა აქვს.

***— ნინო ბურჯანაძემ ღიად განაცხადა, რომ ჩვენს ქვეყანას რევოლუცია სჭირდებაო...***

— ქალბატონ ნინოს ეს არაერთხელ უთქვამს და ახლაც იმავეს აცხადებს. ეს მისი მოსაზრებაა და მე არ დავიწყებ იმისი მოსაზრებების რევიზირებას, იმიტომ, რომ ყველა ადამიანს აქვს კონსტიტუციური უფლება, ფიქრობდეს და ამბობდეს იმას, როგორც მას ეს წარმოუდგენია და სჯერა.

***— ბატონო ზვიად, როგორ ფიქრობთ, მოახერხებს ოპოზიციური რვიანი ხელისუფლების ჩიხში შეყვანას, როგორც ამის შესახებ ადრე საუბრობდით?***

— რა თქმა უნდა, მე გეტყვით ძალიან მარტივად, ფაქტი არის ასეთი, რომ სამართლებრივ ბრძოლაში, რაც შეეხება კანონპროექტთან, არგუმენტებთან ფინანსებთან, პოლიტიკურ დათვლებთან, საერთაშორისო არბიტრების წინაშე საკითხის გამოტანასთან და გამჭირვალედ გახდომასთან დაკავშირებით, ოპოზიცია უგებს შვიდით ნულს ხელისუფლებას და ეს არის თვალში საცემი. ის, რომ ხელისუფლება პრაქტიკულად ცდილობს, რომ ყველა ჩვენს არგუმენტირებულ წინადადებას გვერდი აუაროს და მხოლოდ რაღაც მცირე ნაწილებზე იწყებს საუბარს, ეს ხელისუფლების სისუსტის დამადასტურებელია. მათ არა აქვთ არგუმენტი, მაგალითად, უპასუხონ იმაზე, თბილისში შეიძლება ბიომეტრიული სიების გაკეთება, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ადამიანები, რომლებიც საქართველოში არ არიან, თბილისში არ არიან და ეს ადამიანები არ მოხვდებიან საარჩევნო სიაში, ეს დანარჩენ საქართველოში რატომ არ უნდა განხორციელდეს? ამას ახსნა სჭირდება. თბილისში რა სხვანაირი მოქალაქეები ცხოვრობენ, სხვა კონსტიტუცია მოქმედებს თბილისში თუ რა. თბილისის მოქალაქეების სია ზუსტი უნდა იყოს და მარნეულის

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ლიბიის პრეცედენტი რუსეთმა შეიძლება საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენოს



**ლიბიაში ვითარება უკიდურესად არის დაძაბული. სამხედრო კოალიციის წევრი სახელმწიფოები შაბათს დილიდან უკვე შეუდგნენ სამხედრო ოპერაციის ჩატარებას. კოალიცია ლიბიაში ოპერაციის ჩატარებას სამ ეტაპად აპირებს.**

**პირველი ეტაპი შაბათს, 19 მარტს დაიწყო, რაც 31 სამიზნე ობიექტისათვის სამხედრო დარტყმის მიყენებას გულისხმობს. კოალიციის ძალები პირველ დარტყმას ლიბიის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის ობიექტებზე განახორციელებენ. სამხედრო ოპერაციის მეორე ეტაპის მიზანი ლიბიის ორი საჰაერო-სამხედრო ბაზა და ტრიპოლში მუამარ კადაფის რეზიდენცია იქნება. დამამთავრებელ მესამე ეტაპზე კოალიცია საბრძოლო დარტყმების მიყენებას ლიბიის შეიარაღებულ ძალებზე გეგმავს.**

**როგორც ამერიკის შეიარაღებული ძალების შტაბის წარმომადგენელმა, ვიცე-ადმირალმა უილიამ გორტნიმ განაცხადა, ლიბიაზე ამერიკულ-ბრიტანული სარაკეტო დარტყმა მხოლოდ პირველი ეტაპია საერთაშორისო ოპერაციისა. აღნიშნული ოპერაცია მრავალეტაპიანი იქნება.**

**ლიბიის ოფიციალური მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობით, კოალიციამ დარტყმები მსხვილ ქალაქებში მშვიდობიან მოქალაქეებზეც განახორციელა, მათ შორის ქალაქ ტრიპოლში და ნავთობმწარმოებელ ქალაქ მისრატში, სადაც სამხედრო ოპერაციის შედეგად ხანძრებიც გაჩნდა.**

**დასავლეთის მხრიდან სამხედრო ოპერაციებზე რეაგირება ლიბიის პარლამენტმაც მოახდინა, სადაც განაცხადეს, რომ დასავლურმა კოალიციამ საშინელი დარტყმები ტრიპოლში მდებარე სამოქალაქო და სამხედრო ობიექტებს მიაყენა, რამაც მრავალრიცხოვანი მსხვერპლი გამოიწვია.**

**ლიბიაში სამხედრო ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილება არ გაუპროტესტებიათ არაბულ ქვეყნებსა და ისლამურ სამყაროს. სამხედრო კოალიციის გადაწყვეტილებას, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოშიც დიდი გამოხმაურება მოჰყვა.**

**სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე კოალიციის გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანს უწოდებს, ამასთან, მიაჩნია, რომ დასავლეთმა საკმაოდ სარისკო გადაწყვეტილება მიიღო. რატომ არის ეს გადაწყვეტილება სარისკო და როგორ შეიძლება, ის რუსეთმა სათავისოდ გამოიყენოს, ამის შესახებ სამხედრო ექსპერტი „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

თეა მარხვაი ე

***— როგორ აფასებთ ლიბიაში სამხედრო კოალიციის მიერ ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილებას?***

— ეს საკმაოდ რისკიანი გადაწყვეტილება იყო. სამხედრო კოალიციაში შემავალმა ქვეყნებმა ძალიან სერიოზული და, შეიძლება ითქვას, სახიფათო ნაბიჯი გადადგეს.

***— რატომ მიგაჩნიათ ეს გადაწყვეტილება რისკიანად? მიგაჩნიათ, რომ ეს ოპერაცია დიდხანს გაგრძელდება?***

— დღევანდელი გადასახედიდან ფაქტიურად არ ჩანს, თუ როგორ უნდა დასრულდეს ეს ყველაფერი. საავიაციო დარტყმები გარკვეულწილად მართლაც შეაფერხებს კადაფის აქტიურობას. საბოლოო ჯამში, კადაფი უკან არ დაიხევს.

***— თუ კადაფი დათმობაზე არ წავა, რა მოხდება მაშინ?***

— ლიბიაში შიდაარეულობა გაგრძელდება, რომელიც არ დასრულდება ერთი რომელიმე მხარის გამარჯვებით. შესაბამისად, კოალიციური ძალები იძულებული გახდებიან, გადაწყვეტილება მიიღონ.

***— რა გადაწყვეტილების მიღება მოუწევთ?***

— თუ არ სურთ, რომ ქვეყანაში მუდმივი არეულობა იყოს, მაშინ მოუწევთ აჯანყებულების დახმარება. კოალიცია მათ ცოცხალი ძალითა და სამხედრო ტექნიკით უნდა დაეხმაროს. ისინი მხოლოდ ასე შეძლებენ კადაფის რეჟიმის დასრულებას.

***— შაბათს დაწყებული ოპერაცია არ არის საკმარისი კადაფის რეჟიმის დასასრულებლად?***

— კადაფი ამბოხებულების წინააღმდეგ ვეღარ განახორციელებს საავიაციო დარტყმებს, მაგრამ მას ეყოფა ძალები, რათა გარკვეული ტერიტორიები შეინარჩუნოს, სადაც მოახერხებს თავისი კონტროლის განხორციელებას. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მას საკმაოდ ძლიერი ფინანსური რესურსები გააჩნია. ამდენად, კადაფს საკმაოდ დიდხანს შეეძლება ასეთი ვითარების შენარჩუნება. ეს კიდევ უფრო მეტად დააზარალებს ლიბიის მოსახლეობას. ქვეყანა გადაიჩეხება დიდი ხნით სამოქალაქო დაპირისპირების ჭაობში. ამ ვითარებაში ძალიან საინტერესოა, რას გეგმავენ კოალიციური ძალები.

***— მათ ხომ უკვე განაცხადეს, რომ ოპერაცია რამდენიმეფაზიანი იქნება...***

— კი ბატონო, გააკეთეს განცხადებები, რომ ეს იქნება რამდენიმეფაზიანი ოპერაცია. მათ ისიც ჩამოთვალეს, თუ რას მოიცავს ეს სამი ფაზა. ეს მოიცავს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის, საავიაციო ბაზების განადგურებასა და გარკვეულ დარტყმებს კადაფის რეზიდენციაზე. ეს ნაკლებად ეფექტური იქნება, მაგრამ კოალიციური ძალები ამას აპირებენ. როგორც თქვეს, მოსალოდნელი იქნება შემდეგი ფაზებიც. ძალიან მნიშვნელოვანია, რა იქნება ეს. საინტერესოა, რა გამოსავალს იპოვიან ამ კრიზისული სიტუაციიდან. ძალიან სარისკო გადაწყვეტილებაა მიღებული. თუმცა, მასაც აქვს დადებითი მომენტი.

***— რა დადებითი მომენტია?***

— პირველად მოხდა, როცა მსოფლიო თანამეგობრობამ კონკრეტულ ქვეყანაში დიქტატურის წინააღმდეგ ოპერაციის ჩატარება გადაწყვიტა. ამ გადაწყვეტილებას ყველამ დაუჭირა მხარი — ლიბიის მეზობელმა ქვეყნებმა და არაბულმა სამყარომაც. კოალიციურმა ძალებმა ავღანეთსა და ერაყშიც ჩაატარეს ერთობლივი ოპერაცია, მაგრამ ასეთი ერთსულოვნება არ ყოფილა. ამჯერად გაერომ მიიღო გადაწყვეტილება იძულებით მშვიდობის დამყარების შესახებ. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ ვეტო არავის გამოუყენებია. ყველამ გაითვალისწინა ლიბიელი ხალხის ნება, რომელსაც აღარ უნდა ამ რეჟიმში ცხოვრება. საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ასეთი გადაწყვეტილება მე არ მახსოვს. თეორიული თვალსაზრისით ასეთ გადაწყვეტილებას გაგრძელებაც უნდა მოჰყვეს.

***— რა გაგრძელება?***

— ამის გაგრძელება უნდა იყოს რაღაც საერთაშორისო ძალების შექმნა.

***— რისთვის?***

— რომლებიც ამა თუ იმ ტერიტორიაზე უზრუნველყოფენ მსოფლიოს თანამეგობრობის გადაწყვეტილების აღსრულებას. თეორიულად ამ ყველაფერს საერთაშორისო ძალების შექმნამდე მივყავართ. ჯერჯერობით ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი გადაიდგა. თეორიულად ამის გაკეთება შესაძლებელია.

***— პრაქტიკულად?***

— პრაქტიკულად ამის გაკეთება, ალბათ, ძალიან ძნელი იქნება. პრინციპულად განსხვავებულ პოზიციებზე დგანან დასავლეთის ქვეყნები და ჩინეთი. იგივე შეიძლება ითქვას რუსეთზეც. უახლოეს ხანებში საერთაშორისო სამხედრო ძალები არ შეიქმნება. ლიბიაში დაწყებული ოპერაცია, ერთი მხრივ, მართლაც კარგი პრეცედენტია. კარგი იქნება, თუ ქვეყნები შეთანხმდებიან. შეზღუდვები უნდა დაწესდეს მმართველობებში. შეიქმნება სტანდარტები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ესა თუ ის მმართველი. უნდა შემუშავდეს გარკვეული მიდგომები, დიქტატორების წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებები, რომელიც მხოლოდ ეკონომიკური სანქციებით არ შემოიფარგლება. ამდენად, შეიძლება ლიბიაში დაწყებული ოპერაცია ძალიან კარგი შედეგის მომტანი იყოს მომავლისთვის.

***— თუმცა, ჯერჯერობით, როგორც თქვენ ამბობთ, ეს ოპერაცია სარისკოა.***

— სარისკოა იმიტომ, რომ არ ვიცით, რა იქნება მომავალში. როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს ნატოს სამხედრო ფლოტი, საბრძოლო მოქმედებებს ამა თუ იმ რეგიონში ყოველთვის მოჰყვება რამდენიმე პრობლემა. მათ შორის იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ამ ოპერაციაში მონაწილეობენ. ამ ქვეყნებში ადგილი აქვს შიდა პოლიტიკურ დაძაბულობას. ამას ემატება ეკონომიკური დანახარჯები, რომელსაც მძიმე ეკონომიკური შედეგები მოსდევს თან ამ სახელმწიფოებისთვის. რაც არ უნდა ძლიერი იყვნენ ევროპის სახელმწიფოები, ისინი ვერ აღკვეთენ ოპერაციის შემდეგ ლტოლვილთა ნაკადს. ჩვენ კარგად ვიცით, რასაც ნიშნავს ეს პრობლემა. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, როცა ევროპას მიაწყდება ასიათასობით ლიბიელი ლტოლვილი. ისინი ევროპის სახელმწიფოებს ძალიან ბევრ პრობლემას შეუქმნიან, თან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ოპერაციაში მონაწილე ძალები სხვა მნიშვნელოვანი საქმეებით არიან დაკავებული.

***— ერაყისა და ავღანეთის ოპერაცია გაქვთ მხედველობაში?***

— ერაყში სერიოზული ოპერაცია ხორციელდება. საკმაოდ რთული მისია ხორციელდება ავღანეთშიც. ამას დაემატა ჩრდილოეთ აფრიკა. თუ ეს ოპერაცია უსწრაფესად არ დასრულდა, ჩრდილოეთ აფრიკა იქცევა სამხედრო დაპირისპირების არენად. ამ არენაზე სხვადასხვა ჯგუფები გამოვლენ. ევროპასა და ამერიკას დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ, რომ ეს სამივე დიდი პრობლემა ერთდროულად მოაგვარონ. ეს მართლაც სარისკო გადაწყვეტილება იყო.

***— არის თუ არა იმის ალბათობა, რომ ასეთივე ოპერაცია რუსეთმა თავის მეზობელ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც განახორციელოს?***

— რუსეთისგან ყველაფერი მოსალოდნელია. ეს ქვეყანა დაკავებულია მიბაძვით. აკეთებს იმას, რასაც ამერიკა, დაწყებული შენობებითა და სახელებით. კოსოვოს საკითხიც კი გამოიყენა აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარებისთვის. არადა, აფხაზეთსა და ცხინვალს საერთო არაფერი აქვთ კოსოვოს პრეცედენტთან. რუსეთისგან მართლაც ყველაფერია მოსალოდნელი. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, საქართველოში მძიმე სოციალური ფონია. ხელისუფლება უუნაროა, განახორციელოს რაიმე ტიპის ღონისძიებები ეკონომიკის ფეხზე დაყენებისთვის. დღეს ჩვენთან ბიზნესი მხოლოდ კლანების ხელშია. ფული კეთდება დოლარისა და ლარის კურსის ხელოვნურ მერყეობაზე და ამა თუ იმ საქონელზე სპეკულაციური ფასების დაწესებით. არანაირი ანტიმონოპოლიური ღონისძიებები არ ტარდება. აქედან გამომდინარე, ხელისუფლება ვერ უმკლავდება შიდაეკონომიკურ ვითარებას. არსებული სიტუაციით უკმაყოფილო ადამიანების მასა საკმაოდ დიდია. შესაბამისად, აუცილებლად იქნება ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლება, რომლითაც ისარგებლებენ ყველაზე კარგად ორგანიზებული ჯგუფები. სიტუაციას თუ გადავხედავთ, ორგანიზაციები საკმაოდ დიდ მოცულობით სამუშაოს ატარებენ, რათა უზრუნველყონ უკმაყოფილო ადამიანების მართვა. სამომავლოდ რუსეთიც ემზადება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში სამხედრო ინფრასტრუქტურის გასაძლიერებლად ამდენ ფულს არ დახარჯავდა.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ აქ რაღაცების მოსაწყობად აძლიერებს რუსეთი სამხედრო ინფრასტრუქტურას ოკუპირებულ რეგიონებში?***

— რაღაცას რომ არ აპირებდეს, ასე არ მოიქცეოდა. ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთი ღია აგრესიაზე გადმოვა. მოსკოვი შეეცდება, ჯერ პოლიტიკური ზეწოლა მოახდინოს. იქნება პროვოკაციული ქმედებებიც, ამასთან, დააფინანსებს ამა თუ იმ ძალებს. ყველაფერს გააკეთებს, აქ სიტუაცია რომ აირიოს. ამ არეულობაში ოდნავადაც რომ ვინმე დაზარალდეს, რუსეთი ჩაერევა, ისევე, როგორც კოალიციური სამხედრო ძალები ჩაერივნენ ლიბიაში. რუსეთიც გამოვა და იტყვის, რომ ძალის გამოყენებით ამყარებს მშვიდობას. ეს რეალობისგან საკმაოდ შორს იქნება. ასე რომ, ლიბიის პრეცედენტი ჩვენთვის საკმაოდ მძიმე ფონს ქმნის. საქართველოში რომ იყოს დემოკრატია და ადამიანები ნორმალურად ცხოვრობდნენ, რუსებს პროვოკაციის მოწყობის შანსი ნაკლებად ექნებოდათ.

***— ახლა ეს შანსები დიდია?***

— ახლა პროვოკაციის მოსაწყობად ძალიან ნიყიერი ნიადაგია. ხალხი ძალიან მძიმე დღეშია, მაგრამ მე ქართველი ერის იმედი მაქვს.

***— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ქართველი ხალხი რუსულ პროვოკაციას არ აჰყვება?***

— მე მჯერა, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას ქართველი ხალხი ემოციებით არ იმოქმედებს. ჩვენი ხალხი ყოველთვის ითვალისწინებდა სახელმწიფოს ინტერესებს. მჯერა, რომ ახლაც ასე იქნება. უნდა შევეცადოთ, აქ ისეთი არაფერი მოხდეს, თორემ რუსეთი მღვრიე წყალში თევზის დაჭერას ყოველთვის შეეცდება.

## ეროსი კიწმარიშვილი ჯანსაღ პოლიტიკურ ძალებს გაერთიანებისკენ მოუწოდებს



„ქართული პარტიის“ პოლიტიკური მდივანი ეროსი კიწმარიშვილი ყველა ჯანსაღ პოლიტიკურ ძალას გაერთიანებისკენ მოუწოდებს.

— ჩვენ, პარტიის ლიდერებმა პირადი წყენა დავივიწყეთ და ერთმანეთის გვერდით დავდექით ქვეყნის გადასარჩენად. ჩვენ კარგ და მშვიდ ცხოვრებაზე შეგნებულად ვთქვით უარი და ხელისუფლებასთან ბრძოლაში ჩავებით. ყველა ჯანსაღი ძალა ერთად თუ დავდგებით, ამ უზნეო ხელისუფლებას მალე მოვიშორებთ, — განაცხადა კიწმარიშვილმა გუშინ, პარტიის საჩხერის რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციაზე.

მისი თქმით, უგუნურებაა, როდესაც ხელისუფლება ვერ ხედავს რა სჭირდება ხალხს და პირველ რიგში, რომელი საკითხები უნდა მოაგვაროს.

— დღეს ადამიანებს ყველაზე მეტად გაურკვევლობა აწუხებთ. მათ ხვალინდელი დღის შიში აქვთ. გამონაკლისი არც საჩხერის რაიონია, — დასძინა კიწმარიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## თბილისში აშშ-ის დაფინანსებული ბიოლოგიური ლაბორატორია გაიხსნა



საქართველოს და აშშ ს ხელისუფლების წარმომადგენლებმა თბილისში ამერიკის მთავრობის დაფინანსებით შექმნილი ბიოლოგიური კვლევების ლაბორატორია გახსნეს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია, რომელიც 100 მილიონი დოლარი დაჯდა, მოსახლეობასა და ცხოველებში განსაკუთრებით საშიში ინფექციების აღმოსაჩენად, აგრეთვე ეპიდემიური ზედამხედველობისა და სამეცნიერო კვლევებისთვისაა განკუთვნილი.

ოფიციალური პირების განცხადებით, ლაბორატორია არ იქნება გამოყენებული ბიოლოგიური იარაღის კვლევისთვის.

აშშ ის საელჩოს ინფორმაციით, ულტრათანამედროვე ერთობლივი ამერიკულ ქართული ლაბორატორია აქტიურად ითანამშრომლებს ტაილანდში ბანგკოკისა და კენიაში ნაირობის მსგავს ლაბორატორიებთან. ეს ლაბორატორიები, რომლებიც ერთმანეთის პარტნიორები იქნებიან, თავიანთ რეგიონებში საზოგადოებრივი ჯანდაცვის გაუმჯობესებას ემსახურებიან. კავკასიის რეგიონში ამ ფუნქციას თბილისში არსებული ლაბორატორია იტვირთებს.

თუ რა ტიპის კვლევები ჩატარდება ლაბორატორიაში, ამის შესახებ გადაწყვეტილებას ცენტრის მმართველი საბჭო მიიღებს, რომლის შემადგენლობაში შევლენ წარმომადგენლები საქართველოს მთავრობიდან, აშშ-დან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

— რის გაკეთებასაც ვცდილობთ არის ის, რომ შევავსოთ მსოფლიოში არსებული ხვრელები, რაც მოგვცემს საშუალებას, უკეთესად დავინახოთ საფრთხის შემცველი დაავადებების წარმოშობის ტენდენციები, — განაცხადა აშშ-ის ელჩმა ჯონ ბასმა.

ბიოლოგიურ კვლევით ობიექტი მთლიანობაში 8 000 კვადრატულ მეტრზეა განთავსებული, საიდანაც 2 500 კვადრატული მეტრი უშუალოდ ლაბორატორიებს ეთმობა. ცენტრი დაკომპლექტებულია ქართველი და ამერიკელი პერსონალით.

ლაბორატორიის დირექტორია ანა ჟვანია. მას საქართველოს მთავრობაში სხვადასხვა მაღალი თანამდებობები ეკავა, ხოლო 2008 წლის თებერვლამდე, 16 თვის მანძილზე დაზვერვის სამსახურს ხელმძღვანელობდა. კახეთის გზატკეცილზე მდებარე ლაბორატორიის გახსნას, აშშ-ის თავდაცვის მდივნის მოადგილე ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური თავდაცვის საკითხებში ენდრიუ ვებერი, საქართველოს პრემიერ მინისტრი ნიკა გილაური და აშშ ის ელჩი ჯონ ბასი დაესწრნენ.

**მედიანიუსი**

## საქართველო ზემო ლარსის გზის რეაბილიტაციას განახორციელებს

ქართული მხარე ზემო ლარსის საავტომობილო გზის აღდგენას გეგმავს. აღნიშნულის შესახებ სომხეთში სამუშაო ვიზიტით მყოფმა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების მინისტრმა რამაზ ნიკოლაიშვილმა განაცხადა.

— საქართველო ზემო ლარის გზის რეაბილიტაციას გეგმავს, რადგან ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გზა როგორც სომხეთისათვის, ასევე საქართველოსათვის„, — განაცხადა ნიკოლაიშვილმა.

როგორც ნიკოლაიშვილმა აღნიშნა, ლარსის რაიონში ძალიან მკაცრი კლიმატური პირობებია და სწორედ ამიტომ აუცილებელია ამ ნაწილში ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფა.

რამაზ ნიკოლაიშვილის თქმით, ლარსზე არსებული სიტუაციის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია სომხურ მხარეს გადაეცემა, რაც მათ საშუალებას მისცემს წინასწარ განსაზღვროს თავიანთი ტვირთების გადაადგილება.

**მედიანიუსი**

# მთავრობას ოპოზიციისგან უმრავლესობა დაიცავს

## რომელ მინისტრთან აქვს უმცირესობას ყველაზე მეტი პრეტენზიები



**საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების" ლიდერი გიორგი ახვლედიანი აცხადებს, რომ ოპოზიციის ტონი „მინისტრთა კვირეულის" დროს საკმაოდ მწვავე იქნება. უმცირესობის წევრებს 9 მინისტრის მიმართ „დამრტყმელი" შეკითხვები უკვე მომზადებული აქვთ. გამორიცხული არ არის, ოპოზიციამ რომელიმე მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი პირდაპირ სხდომათა დარბაზში დასვას.**

ნანა მიშელაშვილი

### „ახალი თაობა" გიორგი ახვლედიანს ესაუბრა:

— *ქრისტიან-დემოკრატები წინასწარ აცხადებთ, რომ მინისტრების მიმართ მწვავე შეკითხვები გექნებათ, რაში გამოიხატება მწვავე ტონი?*

— მწვავე ტონი იმ მწვავე კითხვებში გამოიხატება, რომელიც პრობლემატურია სწორედ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლების გამო.

— *მწვავე შეკითხვები ძირითადად რომელი მინისტრების მიმართ გექნებათ?*

— ძალიან რთულია, სიმწვავის მხრივ რომელიმე გამოყო, რადგან არც ერთი დარგი არ არის, სადაც პრობლემები არ არის. პრემიერ-მინისტრის ჩათვლით 9 მინისტრი გამოვა პარლამენტში და მოხსენებას გააკეთებს. ძალიან რთულია, გამოყო რომელიმე სამინისტრო, რომელსაც შეიძლება წარმატებული უწოდო.

— *კითხვებზე პასუხის გაცემის ძირითად „დარტყმას", ალბათ, პრემიერი ნიკა გილაური აიღებს საკუთარ თავზე?*

— რა თქმა უნდა, გამომდინარე იქიდან, რომ პრემიერს 25 მარტს შემაჯამაბელი სიტყვა ექნება. თანაც ნიკა გილაური მთელი მინისტრთა კაბინეტის მუშაობაზეა პასუხისმგებელი, მას ყველაფერზე მოუწევს პასუხის გაცემა.

— *რომელიმე მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას თუ აპირებთ ქრისტიან-დემოკრატები?*

— წინასწარ არ დავაანონსებ, თუმცა, არაფერს არ გამოვრიცხავ. ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, მივიღებთ თუ არა კონკრეტულ, ადეკვატურ, შინაარსიან და ლოგიკურ პასუხებს მინისტრებისგან.

— *მინისტრებისგან ლოგიკურ, შინაარსიან და ადეკვატურ პასუხებს ელით?*

— ნამდვილად არ მაწუხებს ილუზიები რამდენიმე მინისტრთან დაკავშირებით, რადგან მათგან აქამდე არ მოგვისმენია რაიმე ლოგიკური, კონკრეტული და შინაარსიანი.

— *ვისგან არ მოგისმენიათ კონკრეტული, ლოგიკური და შინაარსიანი პასუხები?*

— მაგალითად, ლტოლვილთა მინისტრისგან და სოფლის მეურნეობის მინისტრისგან. ეჭვი მეპარება, რომ ჯანდაცვის მინისტრისგან რაიმე ახალი და საინტერესო მოვისმინოთ. ვნახოთ, რამდენად კონკრეტული და ადეკვატური იქნება ინფრასტრუქტურის მინისტრის, ეკონომიკის მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის პასუხები. თუ მწვავე კითხებზე ადეკვატურ პასუხებს არ მივიღებთ, ბუნებრივია, არავის თავზე ხელს არ გადავუსვამთ.

— *თუმცა, უმრავლესობას იმხელმა ბერკეტები აქვს, რომ მინისტრები დაიცვას და ოპოზიციის მწვავე შეკითხვები გაანეიტრალოს, ხომ ასეა?*

— რა თქმა უნდა, უმრავლესობა შეეცდება თავის მინისტრები დაიცვას. ერთია მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დასმა და მეორეა მისი რეალურად განხორციელება. სამწუხაროდ, ოპოზიციას მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არა აქვს იმის საშუალება, რომ მინისტრი თანამდებობიდან გაადაყენოს.

— *არასაპარლამენტო ოპოზიცია აცხადებს, რომ საპარლამენტო ოპოზიცია მწვავე არ იქნება და მხოლოდ მოჩვენებითი, ვითომ მწვავე შეკითხვები დაისმება, რომელიც წინასწარ შეთანხმებული იქნება?*

— სიმართლე გითხრათ, ნაკლებად მაინტერესებს იმ ადამიანების აზრი, რომელთაც მუდმივად უნდა უმტკიცო, რომ რქები არა გაქვს და კუდი არ გაბია. არანაირად ამის მტკიცებას აზრი არა აქვს და დროის კარგვა საჭიროდ არ მიმაჩნია. ჩვენთვის მთავარია, რომ თითოეულმა მოქალაქემ, რომელსაც უამრავი ტკივილი და პრობლემა აქვს დაგროვილი, მოისმინოს ჩვენ მიერ დასმულ კითხვებზე პასუხები. საზოგადოებამ იგრძნოს, რომ მათ მაგივრად ჩვენ ვეკითხებით და ჩვენ ვითხოვთ ხელისუფლებისგან კონკრეტული პროგრამებისა და მიმართულების შეცვლას, ადამიანებზე ორიენტირის გაკეთებას და არა მხოლოდ პიარ-ტყუილებზე აქცენტის გაკეთებას.

— *უმრავლესობის რომელიმე წევრის მიერ შესაძლოა, რომ მინისტრების მისამართით მწვავე შეკითხვები დაისვას?*

— სიმართლე გითხრათ, ამ პარლამენტში მაგ კუთხით დიდი ტრადიცია არ არის ჩამოყალიბებული. თუ უმრავლესობის რომელიმე წარმომადგენელი მინისტრთან კონკრეტულ საკითხებს დასვამს, ჩვენ ამას მხოლოდ და მხოლოდ მივესალმებით. მაგალითად, უმრავლესობის წევრების კულუარული საუბრიდან ვიცი, რომ ლტოლვილთა მინისტრს მათ მიერ დასმულ არც ერთ კითხვაზე პასუხი არ გაუცია. წარმოიდგინეთ, როგორი სიტუაციაა, თითქმის ყველა რაიონშია დევნილი მოსახლეობა, მათი უმეტესობა მაჟორიტარებს მიმართავს საკუთარ პრობლემებთან დაკავშირებით, მინისტრისგან კი კონკრეტულ პასუხს ვერ იღებს.

— *თუმცა, არც ერთი მაჟორიტარი ამაზე ხმას არ იღებს?*

— ეს სამწუხაროა, თუმცა, ხანდახან კულუარებში ამის შესახებ მაინც ხდება ცნობილი. თუ ხმას ამოიღებენ, იმ ადამიანებზე გააკეთებენ აქცენტს, ვინც ისინი აირჩია, შესაბამისად, მომავალში უფრო მეტი პერსპექტივა ექნებათ. ბევრ რამეზე ხმის არამოღება პრობლემის დამალვა კი არ არის, უბრალოდ დანაშაულია.

— *სამთავრობო კვირეულის შემდეგ, შესაძლოა, რომ პრეზიდენტმა რომელიმე მინისტრი გაათავისუფლოს, ანუ რომელიმე მინისტრი სამთავრობო კვირეულს გადაჰყვეს?*

— კარგი იქნება, თუ გარკვეულ გადაწყვეტილებებს მიიღებს ბატონი მიხეილ სააკაშვილი. თუ მან არ იცის არსებული რეალობა, რა ხდება გარკვეულ სამინისტროებში და ამას დაინახავს ჩვენი ინიციატივებიდან და დასმული შეკითხვებიდან, ეს ძალიან კარგი იქნება. უამრავი დარგია, სადაც სტაგნაცია 180 გრადუსით შესაცვლელია.

— *ყველაზე ცუდი მდგომარეობა რომელ სფეროშია?*

— ძალიან რთულია რომელიმე სფეროს გამოყოფა. უმძიმესი მდგომარეობაა: დევნილების მდგომარეობასთან დაკავშირებით, კატასტროფული რეალობა გვაქვს სოფლის მეურნეობის მიმართულებით, რთული პრობლემებია განათლების სფეროში, პრობლემებია სოფლის ინფრასტრუქტურის საკითხებთან დაკავშირებით. სერიოზული არგუმენტებით გვექნება საუბარი სოფლის პროგრამაზე, როგორ არასწორად გაიხარჯა 40 მილიონი ლარი, რომელიც ჩვენი ბრძოლის შედეგად 20 მილიონიდან გაორმაგდა. ყოველდღიურ რეჟიმში ახალ-ახალ პრობლემებს ვაწყდებით ჯანდაცვის სფეროში. ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაა ფინანსთა მინისტრთან, თუნდაც ამდენ მილიონთან დაკავშირებით რომელიც გამოიყო, მაგალითად, 150 მილიონი ლარი — სოფლის მეურნეობისთვის, 50 მილიონი ლარი — ვაუჩერებისთვის, პენსიების ზრდა რა თანხებით არის აკუმულირებული. ეს ყველაფერი ბიუჯეტის განხილვის დროს ჩადებული არ იყო, საიდან მოგვაქვს ეს თანხები? ამას კონკრეტული ანგარიში სჭირდება. სად დაიხარჯა 4,5 მილიარდი, რომელიც ომის შემდეგ დონორი ორგანიზაციებიდან იყო საქართველოსთვის გამოყოფილი. ვიცით, გაწერილი სად იყო, მაგრამ სად დაიხარჯა, არ ვიცით და რამდენად ობიექტურად, თითოეულ თეთრზე უნდა იყოს ანგარიშგება. სარეზერვო ფონდების გამჭვირვალობაზე გვექნება საუბარი.

— *ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი ან პრემიერი გილაური პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებთან დაკავშირებით კონკრეტულ ინფორმაციას მოგცემთ?*

— წინასწარ ვიცი, რა პასუხსაც მივიღებთ, გვეტყვიან, რომ ინფორმაცია საიტებზეა განთავსებული. საიტებზე რა ინფორმაციაც არის წარმოდგენილი, ის არავის არ აინტერესებს. რაც საინტერესოა, მას სახელმწიფო საიდუმლოს გრიფი ადევს. ძალიან ბევრი საინტერესო საკითხი დადგება პარასკევს სხვა მინისტრებთანაც, რომლებიც ტრიბუნიდან არ გამოდიან, იგივე ძალოვანი მინისტრები.

— *თქვენმა ფრაქციამ ძალოვანი მინისტრების მოწვევა მოითხოვა?*

— მესამე წელია, რაც ძალოვანი მინისტრები პარლამენტში თავიანთ დამტკიცების დროსაც არ მოდიან.

— *ახლა მოვლენ?*

— არ ვიცი, მათ ხელისუფლების მხრიდან სრული კარტბლანში აქვთ მიცემული, ისინი ხელშეუხებელი მინისტრები არიან.

— *უმრავლესობის წევრები ირწმუნებიან, რომ მთავრობა პარლამენტში სრულად იქნება წარმოდგენილი...*

— ვნახოთ, თუ მთავრობა მთლიანად იქნება წარმოდგენილი, ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს მათ გამოსვლას ან მოხსენების პრეზენტაციას. ჩვენ არ გვაინტერესებს 24 საათის განმავლობაში იმის მოსმენა, როგორ ცუდად იყო ყველაფერი და ახლა ყველაფერი რა ლამაზად არის. ყველა მინისტრი ხომ ამას იტყვის, რომ იყო ბნელი და უკუნი, მოვიდნენ ესენი და განათდა. ჩვენ შევეცდებით, საზოგადოებას დავანახოთ, რომ ეს ასე არ არის. რომელიმე ძალოვანი მინისტრი გამოვა და მოჰყვება, თუ როგორი ბნელი და უკუნი იყო და როგორი ნათელი მოიტანეს, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ მიერ დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცენ.

— *კითხვები ძალოვანი მინისტრების მიმართ გაქვთ?*

— კი, პარასკევს, პრემიერი მინისტრთა კაბინეტთან ერთად მოვა და მთელი მთავრობის სახელით ნიკა გილაური გააკეთებს მოხსენებას, კითხვები იქნება როგორც მის მიმართ, ისე დარბაზში წარმოდგენილი მინისტრების მიმართ. ჩვენ შანსს ხელიდან არ გავუშვებთ და შეკითხვებს დავუსვამთ ძალოვან მინისტრებს, რომლებიც იმედია დაგვაფასებენ და მობრძანდებიან. მე არ მინდა, ყველა კითხვა წინასწარ დავაანონსო და მინისტრებს საქმე გავუიოლო. კითხვები იქნება შინაარსიანი, კონკრეტული და არსებული რეალობიდან გამომდინარე. კიდევ ერთხელ ვამბობ, ილუზია არა მაქვს იმისა, რომ შინაარსიან პასუხებს მივიღებთ.

— *რატომ?*

— იმ ტრადიციებიდან გამომდინარე, არა მაქვს ილუზია, რასაც მიხეილ სააკაშვილი ამკვიდრებს საქართველოში. როდესაც პრეზიდენტს ეუბნები, რომ 100 საავადმყოფოს პროექტი ჩავარდა, ის გამოდის და ამბობს: 100 საავადმყოფოს და უფრო მეტის პროექტი განვახორციელე. როდესაც ეუბნები, რომ 100 საწარმოს პროექტი ჩავარდა და ალიარე, ის გამოდის და იძახის: რას ჰქვია, ჩავარდა, 100 საწარმოს პროექტი წარმატებით განხორციელდა. მას ჰგონია, რომ ასეთ ტყუილს ვინმე დაიჯერებს. ამ ტრადიციის შემდეგ ილუზია არა მაქვს, რომ რომელიმე მინისტრი ჩვენს კითხვებს შინაარსობრივად გაჰყვება და თავიდან ბოლომდე უპასუხებს. ჩვენს დასმულ შეკითხვებზე, რა თქმა უნდა, იტყვიან, რომ არაკვალიფიციურია და დილეტანტურია. კიდევ კარგი, არჩევნები არ არის, თორემ იტყოდნენ, რომ ოპოზიცია არჩევნების გამო აკეთებს ასეთ განცხადებას.

— *დებატების დროს, უმრავლესობის წევრები პარლამენტში მყოფ ოპოზიციას მუდმივად არაკვალიციურობის გამო გსაყვედურობენ. უმრავლესობა ოპოზიციას დემაგოგობაში ახლაც ხომ არ დაგადანაშაულებთ?*

— ახალი იდეა შეიმუშავეს და არაკვალიფიციური გვიწოდეს, რალაც ხომ უნდა მოეფიქრებინათ და ეს მოიფიქრეს. საზოგადოებამ კარგად დაინახა, რომ ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაში არის იმის რესურსი, ცოდნა და გამოცდილება, რომ ეს ხელისუფლება მარტივად ჩაანაცვლოს. ხელისუფლება ცდილობს, საზოგადოებაში ისეთი წარმოდგენა შექმნას, რომ მათ გარეშე ყველაფერი დაინგრევა. თუ სამინისტროების ხელმძღვანელად არ იქნენ კობა სუბელიანი და ბაკურ კვეზერელი, ამ ქვეყანაში ჭკვიანი ადამიანები აღარ არსებობენ და ყველაფერი ჩამოიშლება. ამ მითის შექმნა უნდათ, მაგრამ, ეს შეუძლებელია. საზოგადოება კარგად ხედავს, ვინ რას აკეთებს და ვინ რაშია კვალიფიციური.

— *მოსახლეობას ძირითადად აინტერესებს სოციალური საკითხები, ასევე პროდუქტებზე ფასების მატებასთან და ინფლაციასთან დაკავშირებული საკითხები. ამ კუთხით რას იტყვით?*

— რაც შეეხება ინფლაციასთან დაკავშირებულ საკითხს, ეს არ არის მხოლოდ ერთი სამინისტროს პრობლემა. ეს არ არის მარტო ფინანსთა სამინისტროს ან ეკონომიკის სამინისტროსთან დაკავშირებული საკითხი, ეს არის კომპლექსში განსახილველი თემა. ფასების ზრდა და ინფლაციის პრობლემა, მართალია, მიხეილ სააკაშვილმა ჩინელების მადას და მათ მიერ ჭამის დაწყებას გადააბრალა, მაგრამ ამ შემთხვევაში, ყველაფერი კომპლექსურად არის განსახილველი. თუნდაც ის, რომ გლეხს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოყვანის მოტივაცია არა აქვს, პროდუქტების 80% უცხოეთიდან შემოდის, დაწყებული კარტოფილიდან, ვაშლით დამთავრებული. სოფლის მეურნეობაში კრედიტის გამოტანა პრაქტიკულად წარმოუდგენელია. როდესაც ქვეყანაში ასეთი კრიზისული სიტუაცია გაქვს, იმ ქვეყანას ნაკლებად ეცეკვება და ეთამაშება. 100-მილიონიანი სარეზერვო ფონდებიდან მილიონების ხარჯვა საცეკვაო და სათამაშო მიმართულებით სიგიჟეა და აბსურდი. თუ ვინმეს სამუშაო ოთახში წარწერა აქვს, რომ თუ გინდა ხალხი მართო, ან პური უნდა მისცე, ან სანახაობა, ჯობია „სანახაობა" მოხსნა და ფიქრი დაიწყო, რომ მთავარია ამ ქვეყანას პური მისცე.

---

## დიმიტრი შაშკინი აჭარაში უცხოელ ინგლისური ენის მასწავლებლებს შეხვდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი აჭარის რეგიონში განაწილებულ უცხოელ ინგლისური ენის პედაგოგებს შეხვდა. აჭარაში შაშკინთან ერთად იმყოფებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" (თდპ) წარმომადგენლები.

შეხვედრაზე შაშკინმა პედაგოგებს საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეების, რეფორმები და გამოწვევები გააცნო. ასევე განიხილეს პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" გამოცდილების, ღონისძიებების





ბისა და სამომავლო გეგმები.

მინისტრის მოხსენების შემდეგ გაიმართა სესია, სადაც პროგრამის მონაწილე მოხალისე მასწავლებლებს შესაძლებლობა მიეცათ მათთვის საინტერესო შეკითხვები დაესვათ მინისტრისთვის და ღონისძიების სხვა მონაწილეებისათვის.

„ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" პროგრამის მონაწილე მოხალისე მასწავლებლებთან ანალოგიური შეხვედრები დაგეგმილია და უახლოეს მომავალში საქართველოს ყველა რეგიონში გაიმართება, სადაც მოხალისეები იმყოფებიან.

დიმიტრი შაშკინმა მსგავსი შეხვედრები უკვე გამართა თბილისის, იმერეთის, გურიის, ქვემო ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მოხალისე პედაგოგებთან.

**მედიანიუსი**

---

## საქართველოსა და ყატარს შორის საჰაერო მიმოსვლაზე შეთანხმების რატიფიცირება მოხდება

საქართველოს პარლამენტი უახლოეს პლენარულ სხდომაზე საქართველოსა და ყატარის სახელმწიფოს მთავრობებს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების რატიფი-



ცირებას მოახდენს. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ეს დოკუმენტი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს რატიფიცირებისათვის უკვე წარუდგინა.

დოკუმენტი საშუალებას აძლევს ავიასაწარმოებს, დამოუკიდებლად განსაზღვრონ ტარიფები.

ავიაწარმოების სიხშირე და ტევადობა კი საავიაციო ბაზარზე არსებულ მოთხოვნაზე იქნება დამოკიდებული.

როგორც ერთიან სატრანსპორტო ადმინისტრაციაში განმარტავენ, დოკუმენტის ამოქმედების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ავიაგადაზიდვა, მომსახურება და ტურიზმის განვითარებას ხელი შეეწყობა.

**მედიანიუსი**

## ქუთაისის ტყეში მგლები გამოჩნდნენ

ქუთაისის მახლობლად, მუხრანის ტყე-პარკში მგლები გამოჩნდნენ. ე.წ. აგარაკების დასახლებასთან მტაცებელმა მსხვილფეხა პირუტყვი დაგლიჯა.

ადგილობრივებმა მგელი მხოლოდ მას შემდეგ შენიშნეს, როდესაც პირუტყვი უკვე დაგლეჯილი იყო.

დაზარალებული ბადრი ფორჩხიძის განცხადებით, მისმა მეზობლებმა რამდენიმე ხნის წინ ცხვრებიც იპოვეს დაკბენილი, თუმცა მაშინ ეჭვი მაწამწალა ძაღლებზე ჰქონდათ. ადგილობრივები იმასაც ამბობენ, რომ ადრე ამ ტყეში მგელი არავის უნახავს. მოსახლება დახმარებას ითხოვს.

— ჩვენ ვითხოვთ ოპერატიული ზომების მიღებას შესაბამისი სამსახურის მიერ, რათა ჩვენს ტყეში დაცული იქნეს უსაფრთხოების ისეთი ელემენტარული გარანტიები, რომ ადამიანებმა მაინც იგრძნონ თავი უსაფრთხოდ,— აცხადებს დაზარალებული ბადრი ფორჩხიძემ.

მომხდარის შესახებ გარემოს დაცვის ინსპექცია უკვე ინფორმირებულია. მოსახელობა უწყებისგან რეაგირებას ელოდება.

**მედიანიუსი**

## კადაფი დასავლეთს ხანგრძლივ ომს დაჰპირდა

აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის შეიარაღებულმა ძალებმა ლიბიაში პოლკოვნიკ კადაფის ერთგულ ჯარებზე სარაკეტო იერიში მიიტანეს.

ვებმა შაბათს დაბომბეს. ფრანგი სამხედროების წარმომადგენლების განცხადებით, განადგურებულია რამდენიმე ერთეული სამხედრო ტექნიკა.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯეიმს კემერონმა დაადასტურა, რომ ოპერაციაში დიდი ბრიტანეთის ავიაციამაც მიიღო მონაწილეობა.



პენტაგონის ინფორმაციით, ბრიტანელმა და ამერიკელმა სამხედროებმა ლიბიაში სამხედრო სამიზნეების მისამართით 110 რაკეტა გაუშვეს. საფრანგეთის ავიაცია კი ქვეყნის აღმოსავლეთით, ქალაქ ბენგაზისაკენ მიმავალ სამთავრობო ჯარის ნაწილებს დაესხა თავს.

გავრცელებული ცნობების თანახმად, თავდასხმების სამიზნედ ლიბიის საჰაერო თავდაცვის ობიექტები იქცა. გაეროს უშიშროების საბჭომ ოთხშაბათს მხარი დაუჭირა რეზოლუციას, რომელიც ლიბიის ტერიტორიაზე ფრენების აკრძალვას გულისხმობს.

ლიბიის ლიდერმა მოამარ კადაფიმ განაცხადა, რომ მზად არის გახსნას იარაღის საწყობები და მოსახლეობას ლიბიის დაცვის შესაძლებლობა მისცეს.

სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდეგ იგი ლიბიელი ხალხისადმი მოკლე მიმართვით გამოვიდა, რომელშიც ხალხს წინააღმდეგობისაკენ მოუწოდა.

ლიბიისათვის რაკეტების დაშენას მან „კოლონიალისტების ჯვაროსნული ლაშქრობა“ უწოდა.

გარდა ამისა, კადაფიმ აღნიშნა, რომ ხმელთაშუა ზღვაში და ჰაერში ყველა სამოქალაქო და სამხედრო ობიექტს საფრთხე ემუქრება.

ლიბიელი ლიდერის თქმით, მისი ხალხი მზად არის დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ ხანგრძლივი ომისათვის და რომ დასავლეთს მხოლოდ ლიბიის ნავთობი აინტერესებს.

ლიბიის სახელმწიფო ტელევიზიის განცხადებით, დედაქალაქ ტრიპოლიში, გარდა ამისა, ქალაქ მისრატში ფრთოსანი რაკეტებით სხვადასხვა ობიექტის დაბომბვის შედეგად 48 ადამიანი დაიღუპა, 150-ზე მეტი დაშავდა. ჯერჯერობით ეს ინფორმაცია დამოუკიდებელი წყაროებით არ დადასტურებულა.

ლიბიაში სამხედრო სამიზნეების საფრანგეთის თვითმფრინა-

ერ-მინისტრმა ჯეიმს კემერონმა დაადასტურა, რომ ოპერაციაში დიდი ბრიტანეთის ავიაციამაც მიიღო მონაწილეობა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ განაცხადა, რომ მის ქვეყანას არ შეუძლია განზე დარჩეს მაშინ, როდესაც ლიბიის ტირანი მმართველი აცხადებს, რომ მის საკუთარ ხალხს დანდობის იმედი არ უნდა ჰქონდეს.

ობამამ ასევე დაადასტურა, რომ აშშ-ის ჯარები სახმელეთო ოპერაციაში მონაწილეობას არ მიიღებენ.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ ასევე განაცხადა, რომ პოლკოვნიკი კადაფი გაეროს გადაწყვეტილებას უნდა დაემორჩილოს. მან აღნიშნა, რომ ხუთშაბათს მიღებული რეზოლუცია განხილვას არ ექვემდებარება.

აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, კადაფის ერთგულმა ჯარებმა მეამბოხეების მიერ დაკავებული ქალაქებიდან უკან უნდა დაიხიონ, ხოლო მთავრობამ მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება უნდა უზრუნველყოს.

აშშ-ის ლიდერმა განაცხადა, რომ ლიბიის დიქტატორის წინააღმდეგ ხისტი ზომების მიღების ინიციატივა საერთაშორისო ძალისხმევის შედეგს წარმოადგენს.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საერთაშორისო კოალიციის მიერ ლიბიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყებასთან დაკავშირებით სინანული გამოხატა.

ასევე სინანული გამოხატა რუსეთმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ სამხედრო აქცია გაეროს მიერ ნაჩქარევად მიღებული რეზოლუციის მიხედვით დაიწყო.

როგორც ჩინეთს, ასევე რუსეთს ამ რეზოლუციისათვის ვეტოს დადება შეეძლო, მაგრამ ამის ნაცვლად მათ კენჭისყრის დროს თავის შეკავება ამჯობინეს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## ცაგერის მაჟორიტარი ფალსიფიცირებულმა ღვინომ აღაშფოთა

**ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატი კარლო კოპალიანი პრემიერ-მინისტრსა და სოფლის მეურნეობის მინისტრს სადეპუტატო შეკითხვით მიმართავს. დეპუტატი ნიკა გილაურსა და ბაკურ კვეზერელს შეკითხვებს პარლამენტის სხდომათა დარბაზში დაუსვამს.**



**ნანა მიშელაშვილი**

ამ კვირაში პარლამენტში ნიკა გილაური და მინისტრთა კაბინეტის მთელი შემადგენლობა მივა. სწორედ ამ დროს აპირებს მაჟორიტარი დეპუტატი შეკითხვების დასმას. კარლო კოპალიანს აინტერესებს, რატომ არ ებრძვის მთავრობა ფალსიფიკატორებს და არის თუ არა მათთვის ცნობილი, რომ უნიკალური ჯიშის ღვინის — „უსახელაურის“ ფალსიფიკაცია ხდება?

ცაგერის მაჟორიტარმა დეპუტატმა პარლამენტში ბრიფინგი გამართა და ცაგერელი გლეხების სახელით „თელავის ღვინის მარნის“ მიმართ პრეტენზიები გამოთქვა. დეპუტატი შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს საკითხის შესწავლის თხოვნითაც მიმართავს.

კარლო კოპალიანის განაცხადებით, მას ცაგერელი გლეხები დაუკავშირდნენ, რომლებმაც ქსელში „თელავის ღვინის მარნის“ მიერ გამოშვებული ღვინო „უსახელაური“ აღმოაჩინეს, არადა, „თელავის ღვინის მარანს“ გასულ წელს ცაგერში გლეხებისგან „უსახელაური“ არ შეუძენია. მისივე ინფორმაციით, ერთი ბოთლი „უსახელაურის“ ფასი 170 ლარია.

— 170 ლარად ყიდიან საღებავს, — განაცხადა კარლო კოპალიანმა.

მაჟორიტარმა დეპუტატმა განმარტა, რომ „უსახელაური“ არის უნიკალური ქართული ჯიში, რომელიც მხოლოდ ცაგერის რაიონის სოფლებში: ოყურეშში და ზუბში ხარობს. — ვარდოსნების მოსვლამდე აღნიშნული ჯიშის ყურძნის შესყიდვის ფასი 13-15 ლარი იყო და შესყიდვაც პრობლემა არ იყო. 2007 წლის შემდეგ კი თანდათან იკლო შესყიდვებმა. ძირითადი შემსყიდველი იყო „თელავის ღვინის მარანი“. გასულ წელს, გლეხების თქმით, არც ერთი კგ ყურძენი არ შესყიდულა, — აღნიშნა კარლო კოპალიანმა.

მაჟორიტარი დეპუტატის განცხადებით, ამ ფაქტის გახმაურების შემდეგ გაირკვა, რომ თურმე თელაველ მეღვინეებს კახეთში გაუშენებიათ „უსახელაურის“ ჯიშის ვაზი და იქიდან დაუმზადებიათ ღვინო, რაც აბსურდია. კარლო კოპალიანი განმარტავს, რომ ეს ჯიში მხოლოდ ცაგერის რაიონში ხარობს, არის მცირემოსავლიანი და ნაყოფს მხოლოდ დარგვიდან შვიდ წელში ისხამს.

კოპალიანი განმარტავს, რომ შეუძლებელია „უსახელაურმა“, როგორც ჯიშმა, კახეთში გაიხაროს. „თუ ასეა, რატომ არ მოჰყავთ კახეთში „ხვანჭკარა“ და „ოჯალეში“? — აინტერესებს კარლო კოპალიანს და ვარაუდობს, რომ „ხვანჭკარას“ „პატრონი“ ჰყავს, „უსახელაურს“ კი არა და სწორედ ამიტომ, „გადაუარეს“ ადგილობრივ გლეხებს.

— ყველამ იცის, რომ სერიოზული ლობისტების გარეშე ქვეყანაში არც ერთი ბიზნესი არ არსებობს. შესაბამისმა ორგანოებმა უნდა მოახდინონ საფუძვლიანი მოკვლევა, რა ხდება სინამდვილეში და ვინ დგას ამ აფიორის უკან, — აღნიშნა ბრიფინგზე კარლო კოპალიანმა.

ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატი ფინანსთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს საკითხით დაინტერესებასა და შესწავლას სთხოვს, მანამდე კი, დეპუტატი „უსახელაურთან“ დაკავშირებით პრემიერსა და სოფლის მეურნეობის მინისტრს შეკითხვით მიმართავს.

სავარაუდოდ, მაჟორიტარი დეპუტატი დასმულ შეკითხვებზე პასუხს პრემიერ-მინისტრისგან ან სოფლის მეურნეობის მინისტრისგან მიიღებს.

## დარწმუნებული ვარ, 2013 წელს სააკაშვილი არც პრეზიდენტი იქნება და არც — პრემიერი

**დასაწყისი მე-7 გვერდზე**

მოქალაქეების სია ზუსტი არ უნდა იყოს? ამ ყველაფერს არგუმენტირებული ახსნა სჭირდება და ეს არგუმენტი როდესაც არა გაქვს, სამართლებრივად ჩიხში ხარ. დათვი რომ ხარ და რომ შეგიძლია მომერიო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე შენ ბაბაიას დაგიძახებ, ეს გამორიცხული ამბავია! ამიტომ ამ მიმართულებით ოპოზიციას აქვს თვალში საცემი უპირატესობა. ახლა რაც შეეხება იმას, რა მეთოდებით უნდა იქნეს მიღწეული და როგორ უნდა იქნეს მიღწეული, რომ ეს პროცესი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით უკვე შედეგის მომტანი აღმოჩნდეს, ამასთან დაკავშირებით რვა პარტია თავის მოსაზრებებს, რა თქმა უნდა, ერთობლივად წარმოადგენს. ამას არ იტყვის მარტო არც ზვიად ძიძიგური და არც რომელიმე ერთი ორგანიზაცია, რომელიც არის ამ რვა პარტიის შემადგენლობაში.

***— ოპოზიციას ხელისუფლების შესაცვლელად აუცილებლად დასჭირდება როგორც დასავლეთის, ისე რუსეთის მხარდაჭერა. სააკაშვილიც სწორედ ასე მოვიდა ხელისუფლების სათავეშიო. რას ფიქრობთ ამის შესახებ და რამდენად გაქვთ ეს მხარდაჭერა?***

— პირველ რიგში ოპოზიციას დასჭირდება საკუთარი ხალხის მხარდაჭერა. ეს არის პრიორიტეტი, მოდით, ასე ვთქვათ. საქართველოში, ისეთ ქვეყანაში, რომელიც ძალიან მნიშვნელოვან გეოსტრატეგიულ მდებარეობას იკავებს და რა თქმა უნდა, მეზობელი ქვეყნის გავლენები არსებობს. თუ დავიწყებთ ჩვენ იმის მტკიცებას, რომ ეს არ არსებობს, ეს არის ელემენტარული გულუბრყვილობა და მეტი არაფერი. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს მოსახლეობის აზრის გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს საერთაშორისო მხარდაჭერა. მაგალითად ის, რომ ეროვნული საბჭო ამბობს, რუსულ-ქართული ურთიერთობები უნდა გაუმჯობესდეს და აქედან გამომდინარე გაჩნდება გასაღები ტერიტორიული მთლიანობის, ეკონომიკური განვითარების, იზოლირებული ეკონომიკური სიტუაციიდან ნორმალურ სიტუაციაში გადასვლის თაობაზე, ხალხის მხრიდან არის სერიოზულად მხრდაჭერილი. ჩვენ ამისი ზონდირება განვახორციელეთ ადგილობრივი არჩევნების დროს და ვნახეთ, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ იდეას უჭერს მხარს. რაც შეეხება ეხლა ამერიკის სახელმწიფოს ინტერესებს საქართველოს მიმართ, ასეთი ინტერესიც სერიოზულად არსებობს და არსებობს ევროპის სახელმწიფოების მხრიდან ინტერესი საქართველოზე. ასე რომ, სხვა ქვეყნების ინტერესები ჩვენს ქვეყანაში იკვეთება და ვერ ვიტყვით იმას, რომ ან რუსეთისთვის, ან ამერიკისთვის და ან ევროპისთვის სულერთია, რომელი ძალა მოვა ხელისუფლებაში. მათთვის სულ ერთი არ არის, მაგრამ მე შემიძლია თამამად ვთქვა, რომ უპირატესობა ექნება იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებსაც პირველ რიგში ექნებათ საკუთარი ხალხის მხარდაჭერა.

***— ვრცელდება ინფორმაციები, რომ ხელისუფლების შიგნით დიდი პროცესებია დაწყებული, რომ ისევ ამ გუნდიდან მოხდეს სააკაშვილის ჩანაცვლებაო. ბენდუქიძე მუშაობს რუსეთის მხარდაჭერაზე, ხოლო თავისუფლების ინსტიტუტი — დასავლეთის მხარდაჭერის მოსაპოვებლადო. არის იმის შანსი, რომ მათივე გუნდიდან ჩანაცვლდეს სააკაშვილი?***

— ხელისუფლების შიგნით ის ხდება, რომ 2013-ში ნამდვილად არ იქნება სააკაშვილი ხელისუფლებაში და პრეზიდენტი არ იქნება და არც პრემიერი არ იქნება. მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული და ეს კარგად იციან მისი გუნდის წევრებმაც. ეს იმ სცენარის პირობებში, რომელიც მათ აქვთ დაგეგმილი. მოდი, ნუ ვიკამათებთ იმაზე, 2013 წლამდე იქნება სააკაშვილი თუ არ იქნება. თუკი მოვლენები განვითარდება, დღეს არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაშიც მისი გუნდის წევრებმა იციან, რომ გათენდება ერთი მშვენიერი დღე საქართველოში, როდესაც მათ აღარ ეყოლებათ ე.წ. კრიშა, დამცავი, მათ აღარ ექნებათ სახურავი პრეზიდენტ სააკაშვილის სახით, ამიტომ ისინი ბუნებრივია თვითონვე უნდა დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორი იქნება ხვალ მათი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მდგომარეობა. ბევრ მათგანს ძალიან ბევრი დანაშაული აქვს ჩადენილი, ბევრ მათგანს სჭირდება რაღაცა სხვა ტიპის პოლიტიკური აქტიობები. ამიტომ, რა თქმა უნდა, სააკაშვილის ირგვლივ ახლა არის დაწყებული სერიოზული მოძრაობა, რომელიც ერთი სიტყვით შეიძლება დავახასიათოთ. ასე რომ, იწყება მოძრაობა და ბრძოლა საკუთარი თავის გადარჩენისა და დამკვიდრებისათვის. იმაზე, თუ ვინ იქნება პრეზიდენტი, ვის რა შანსები აქვს და ასე შემდეგ ამაზე შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ვიმკითხაოთ. იმდენჯერ შეიცვლება 2011 და 2012 წლამდე, ამ ერთი წლის განმავლობაში, რომელიც ჩვენ წინა გვაქვს არჩევნებამდე, ბევრი რამე შეიძლება შეიცვალოს და არასერიოზული იქნება დღეს ამ თემებზე პროგნოზები ვაკეთოთ. ერთში კი დარწმუნებული ვარ, რომ თუ ვინმეს მძიმე პერიოდი უდგას ახლა, ეს ნამდვილად არ არის ოპოზიცია, ეს არის სააკაშვილი და მისი სახელისუფლებო გუნდი, რომელსაც სერიოზული პრობლემები აქვს, ამ ერთი წლის განმავლობაში დაალაგოს ისეთი პოლიტიკური სქემა, რომლითაც მას ექნება შანსი, რომ ის ბერკეტები მთლიანად შეინარჩუნოს, რომელიც დღეს გააჩნია. მათი მხრიდან სიხისტე, საარჩევნო გარემოს არშეცვლასთან დაკავშირებით, მათი მხრიდან სოციალური პროგრამის განხორციელება, რომელიც პირდაპირ ვიტყვი, რომ არის იდიოტური სოციალური პოლიტიკა, იმხედრებენ მოსახლეობას ნებსით თუ უნებლიეთ. მათი მხრიდან პატიმრების ასტრონომიულ ციფრამდე მიყვანა და ყველაფერი რასაც ფიქრობენ, რომ ხელისუფლების შესანარჩუნებლად გამოიყენებენ, ეს ყველაფერი ბუმერანგივით დაუბრუნდებათ უკან ერთ მშვენიერ დღეს. ეს დღე კი ნამდვილად არ არის შორს. ეს საკმაოდ ახლოს არის.

# იაპონიაში აღდგენითი სამუშაოები დაიწყო

იაპონიის პოლიციის მონაცემებით, მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად მხოლოდ ერთ, მიაგის პრეფექტურაში 15 ათასი ადამიანი დაიღუპა.

ჯერჯერობით, ოფიციალური მონაცემების თანახმად, დაღუპულთა რიცხვი 8133 ადამიანს აღწევს, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება 12 272 ადამიანი. ხელისუფლების ვარაუდით, დაღუპულთა რიცხვმა 20 ათასს შეიძლება გადააჭარბოს.



დაახლოებით 400 ათასი ადამიანი დროებით თავშესაფარში იმყოფება, ამასთან, ისინი სურსათ-სანოვაგის ნაკლებობას განიცდიან.

იმავდროულად, სპეციალისტები ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე რეაქტორების გაგრილების სისტემის აღდგენას ცდილობენ.

ინჟინრები იმედოვნებენ, რომ ისინი რეაქტორის გაცივების სისტემის ტუმბოების ამოქმედებას შეძლებენ.

გავრცელებული ცნობების თანახმად, მესამე რეაქტორზე კვლავაც მატულობს წნევა. ენერგეტიკულ კომპანია „ტერკოს“ წარმომადგენლების განცხადებით, კვირას სპეციალისტებმა მეხუთე და მეექვსე რეაქტორების გაგრილება შეძლეს.

რადიაციის დონის მატება დაფიქსირდა იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში, რომელიც ფუკუსიმადან 240 კმ-ის მოშორებით, სამხრეთით მდებარეობს. ამასთან, ხელისუფლების განცხადებით, რადიოაქტიურობის დონის მატება მოსახლეობისათვის სახიფათო არ არის.

ფუკუსიმას პრეფექტურაში მოყვანილ ზოგიერთ კვების პროდუქტში, კერძოდ, რძესა და მჟაუნაში რადიოაქტიური დაბინძურების კვალი შეინიშნება. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ პროდუქტებში აღმოჩენილი რადიოაქტიური იოდის ნახევარდაშლის პერიოდი რვა დღეს შეადგენს, თუმცა, ორგანიზმში მოხვედრის შემთხვევაში, მას ჯანმრთელობისათვის ზიანის მოტანა, კერძოდ, ფარისებრი ჯირკვლის დაზიანება შეუძლია.

იაპონიის ხელისუფლების განცხადებით, ხელისუფლებმა ორშაბათს ფუკუსიმას პროვინციიდან კვების პროდუქტების გატანისა და მოხმარების აკრძალვის გადაწყვეტილება შეიძლება მიიღონ.

ხელისუფლებმა უკვე დაიწყეს საცხოვრებელი სახლების მშენებლობა იმ ათასობით იაპონელი მოქალაქისათვის, რომლებიც ამჟამად დროებით თავშესაფრებში არიან განთავსებულნი. სხვადასხვა მონაცემით, მათ შორის 100 ათასი ბავშვია.

ელექტროენერგია და კვების პროდუქტები მოსახლეობას კვლავინდებურად შეფერხებებით მიეწოდება. არ მოქმედებს მობილური კავშირგაბმულობა. ახლობლებსა და ნათესავებთან ტელეფონით დასაკავშირებლად მოქალაქეებს ხანგრძლივ რიგებში დგომა უხდებათ. რიგები დგას აგრეთვე ავტოგასამართ სადგურებზე, რადგან შეფერხებულია საწვავით მომარაგებაც.

# „ქუინი“ ფრედი მერკურისა და მაიკლ ჯექსონის დუეტის გამოცემას აპირებს



ანსამბლ „ქუინის“ მუსიკოსებს გადაწყვეტილი აქვთ, გამოაქვეყნონ დღემდე უცნობი ჩანაწერები, სადაც ჯგუფის სოლისტი ფრედი მერკური და ამერიკელი მომღერალი მაიკლ ჯექსონი ერთად მღერიან.

ლაპარაკია სამ სიმღერაზე, რომლლებიც მუსიკოსებმა 1983 წელს ჩაწერეს. ეს სიმღერებია „ვიქტორი“, „ზე მას თუ ბი მო ტუ ლაიფ ზენ ზის“ და „სთეით ოფ შოქ“. ეს უკანასკნელი მაიკლ ჯექსონმა ერთი წლის შემდეგ გადაამუშავა და „როლინგ სთოუნზის“ სოლისტ მიკ ჯეგერთან ერთად ალბომის შემადგენლობაში გამოსცა.

თავის მხრივ, ფრედი მერკურიმ სიმღერა „ზე მას თუ ბი მო ტუ ლაიფ ზენ ზის“ მოგვიანებით თავისი ერთადერთი სოლოალბომისათვის „მისტერ ბედ ბოი“ გადაამუშავა და 1985 წელს ჩაწერა.

გაურკვეველია, თუ რა სახით აპირებენ აწ გარდაცვლილი ვარსკვლავების დუეტით შესრულებული სიმღერების გამოშვებას. ანსამბლ „ქუინის“ მედოლე როჯერ ტეილორმა ჯერჯერობით მხოლოდ ის დაადასტურა, რომ ჯგუფი ამ სიმღერებზე მუშაობს და მათი ჟღერადობა საოცარია.

აღსანიშნავია ისიც, რომ მაიკლ ჯექსონი და ფრედი მერკური დუეტით გამოსვლას 2002 წელსაც აპირებდნენ, მაგრამ მაშინ, გაურკვეველი მიზეზების გამო, ეს პროექტი ჩაიშალა. მიუხედავად ამისა, ინტერნეტში გამოჩნდა მათი ერთობლივი ჩანაწერები, თუმცა, არცთუ მაღალი ხარისხისა.

მიმდინარე წელს იწყება ფრედი მერკურის ბიოგრაფიული ფილმის გადაღება, სადაც მომღერლის როლს ცნობილი კომიკოსი საშა ბარონ კოენი შეასრულებს. „ქუინის“ ყოფილ წევრებს პროექტის მხარდაჭერა აქვთ გადაწყვეტილი და ფილმისათვის ყველა სიმღერის ლიცენზირება უკვე მოახდინეს.

# დიდ ბრიტანეთში წარმატებულ ბიზნეს-ლედიდ სექსშოპების დედოფალი აღიარეს

დიდი ბრიტანეთის კერძო მეწარმეობის პრესტიჟული პრემია მიმდინარე წელს 30 წლის ბრიტანელ ქალს, ემილი ბენდელს გადასცეს. გამარჯვებულად იგი მიიჩნიეს იმიტომ, რომ მისი კომპანიის ბრუნვის მოცულობა გასული წლის განმავლობაში 150%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია ისიც, რომ დაჯილდოების ცერემონიალის დროს მომხდარი ინციდენტი მრავალი ბრიტანული მედიასაშუალების, მათ შორის გაზეთ „დეილი მეილის“ ყურადღების ცენტრში მოხვდა.



კერძო მეწარმეობის დარგში ამ პრესტიჟული პრემიით დაჯილდოების ცერემონიალზე გამარჯვებულისათვის ჯილდო პარლამენტის წევრს, კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელ ენ ვიდეკომბს უნდა გადაეცა. 63 წლის პოლიტიკოს ქალს არასდროს დაუმალავს, რომ მკაცრი მორალური წესების მომხრე იყო, ხოლო მას შემდეგ, რა სექსის შესახებ შეკითხვის პასუხად მან ჩაიცინა და განაცხადა, რომ „ეს საქმე სულაც არ ანაღვლებს“, მედიამ იგი „ლურჯ წინდად“ მონათლა.

კონვერტის გახსნისა და გამარჯვებულის ვინაობის წაკითხის შემდეგ ენ ვიდეკომბმა სცენაზე კომპანია „ბლუბელას“ დამაარსებელი მიიწვია. ემილი ბენდელის სცენაზე ასვლის შემდეგ მაყურებელს მცირემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი აჩვენეს, რომელიც წარმატებული ბიზნეს-ლედის საქმიანობას ეძღვნებოდა.

ფილმიდან წამყვანმა შეიტყო, რომ ფირმა „ბლუბელას“ სპეციალიზაციას ქალებისათვის სექსუალური თეთრეულის წარმოება, აგრეთვე „სექს-სათამაშოების“ გაყიდვა წარმოადგენს.

ამასთან დაკავშირებით „დეილი მეილმა“ გესლიანად აღნიშნა, რომ გასაკვირი არ არის, ენ ვიდეკომბისათვის არაფერია ცნობილი „ბლუბელას“ პროდუქციის შესახებ და რომ კონსერვატორები თავიანთ პარტიულ შეკრებებზე ამ პროდუქციით არ სარგებლობდნენ.

ჟურნალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ფილმის ჩვენების დროს სცენაზე მცირე ჩოჩქოლი ატყდა, შემდეგ ენ ვიდკომბმა თავის მეწყვილეს რამდენიმე სიტყვა უთხრა და გამარჯვებულს ჯილდო ამ უკანასკნელმა გადასცა.

მოგვიანებით კონსერვატორმა პოლიტიკოსმა გაზეთ „დეილი ექსპრესის“ ინტერვიუში განაცხადა, რომ სექს-შოპებისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ ყველასთვის კარგად იყო ცნობილი და უცნაური იქნებოდა, თუკი ემილი ბენდელს ჯილდოს სწორედ ის გადასცემდა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# ფუნდამენტური კვლევები 50.000 ლარით დაფინანსდება

**ეკა ირემაშვილი**

შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა ფუნდამენტური კვლევებისთვის ახალი სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებთან დაკავშირებით კონკურსი გამოაცხადა. კონკურსის მიზანია ახალი ან უფრო სრულყოფილი ცოდნის მიღება ამა თუ იმ სამეცნიერო დარგში. საკონკურსო პირობები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნოდარ სურგულაძემ და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შეკრებილ უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებს გააცნეს.

ფუნდამენტური კვლევები საქართველოში სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის ფარგლებში გასულ წლებშიც ფინანსდებოდა, თუმცა, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, რუსთაველის ფონდმა კონკურსს წელს ახალი, დამოუკიდებელი სახე მისცა. საკონკურსო პირობების მიხედვით პროექტის წლიური ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 50.000 ლარს, ხოლო ხანგრძლივობა 6 თვიდან 3 წლამდე ვადით განისაზღვრა. საკონკურსოდ წარდგენილ პროექტებს, ძირითადად, უცხოელი დამოუკიდებელი, მაღალკვალიფიციური ექსპერტები შეაფასებენ.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის განცხადებით, საკონკურსო კვლევა ორიენტირებული უნდა იყოს ინოვაციური იდეებისა და კონცეფციების თეორიულ და ექსპერიმენტულ შესწავლა-ანალიზზე, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ტექნიკური და სხვა ტიპის პროგრესის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს. ახალი კონკურსის პირობების გაცნობის მიზნით ფონდის წარმომადგენლები უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში კონსულტაციებს გამართავენ.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ინიციატივით, მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსის „ლეონარდო დავინჩის“ ფარგლებში ქართველი მეცნიერები საჯარო სკოლებში ლექციებს გამართავენ. სკოლის მოსწავლეების სწავლის დონის ამაღლების, მეცნიერებით დაინტერესებისა და პოპულარიზაციის მიზნით, საგარეჯოს რაიონის, სოფელ მანავის სკოლის მოსწავლეებს ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელიზბარ ელიზბარაშვილი უკვე ესტუმრა. X-XII კლასელებთან შეხვედრისას მეცნიერმა ჯერ თეორიულად ისაუბრა ქიმიის როლზე ყოფით ცხოვრებაში, შემდეგ კი მოსწავლეები პრაქტიკულ ცდებში ჩართო. მანავის სკოლაში გამართულ ლექციას შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორიც დაესწრო. სულხან სისაურმა მოზარდებს მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“-ს პირობები დეტალურად გააცნო და მათ კონკურსში მონაწილეობისკენ მოუწოდა. კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ ფარგლებში საჯარო ლექციები 2 მარტიდან მიმდინარეობს. აქცია საქართველოს ყველა რეგიონს მოიცავს და მასში სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების 40-მდე ქართველი მეცნიერი მონაწილეობს.

კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“ შემოქმედებითი აზროვნების სტიმულირების, ტექნიკური ინოვაციებით დაინტერესებისა და ჩართულობის მიზნით ეწყობა. მისი პროგრამა და პირობები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა თავისუფალ უნივერსიტეტში შეკრებილ მოსწავლეებს პირადად გააცნეს.

— მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“ გამოავლენს და წაახალისებს გამომგონებლის ნიჭით დაჯილდოებულ მოზარდებს და ხელს შეუწყობს მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას, — განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის IIV-XII კლასის მოსწავლეებს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. საკონკურსო განაცხადს თან უნდა ერთვოდეს გამოგონების აღწერილობის ტექსტი და საილუსტრაციო ნახაზი, მოდელი ან მაკეტი. მონაწილეობის მსურველებმა განაცხადები უნდა წარადგინონ 2 მარტიდან 12 აპრილის ჩათვლით შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში ან რაიონულ რესურსცენტრში.

როგორც განათლების მინისტრმა განმარტა, განაცხადებს შეაფასებს კომპეტენტური საკონკურსო კომისია, რომელიც გამარჯვებულებს ორ ასაკობრივ კატეგორიაში გამოავლენს. კონკურსის გამარჯვებული პროექტების ავტორები მედლებითა და ფულადი პრემიებით დაჯილდოვდებიან, გრანპრის მფლობელი კი, შემეცნებითი ტურით უცხოეთში გაემგზავრება. მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“-ს საკონკურსო დეტალები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებგვერდებზეა განთავსებული.

გამომგონებელთა კონკურსის გახსნის პარალელურად, ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურიც ჩატარდა. მთელი საქართველოს მასშტაბით მესამე ტურში სულ 2.632 მოსწავლე მონაწილეობდა. ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა ყოველწლიურად ტარდება 9 საგანში. ოლიმპიადა სამ ტურად იმართება როგორც ქართულ, ასევე სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. დასკვნით ტურში გამარჯვებული 10 მოსწავლე ეროვნული ნაკრების წევრი გახდება და მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას. ოლიმპიადის მიზანია ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა, სასკოლო რეფორმის ხელშეწყობა, სასკოლო ცხოვრების სტიმულირება, მოსწავლეების, პედაგოგების, სასწავლო პროცესის წახალისება და საქართველოს ნაკრების კანდიდატთა გამოვლენა საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის.

ვინაიდან განათლება სახელწიფოსთვის პრიორიტეტია, თბილისმა უკვე უმასპინძლა „განათლების კვირეული 2011“-ს. ღონისძიება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და თბილისის მერიის ორგანიზებით ჩატარდა და მასში მონაწილეობას კერძო და სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებები იღებდნენ. მათთან ერთად საკუთარი პროგრამები წარადგინეს რამდენიმე უცხოურმა უმაღლესმა სასწავლებლებმაც. გამოფენაში სულ 52 უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობდა. კვირეულში ასევე ჩართული იყვნენ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, რომელთა ძირითად მიზანს საგანმანათლებლო სექტორის განვითარება და ხელშეწყობა წარმოადგენს.

უმაღლესი და პროფესიული განათლების, საზღვარგარეთ სწავლებისა და სტუდენტური სერვისების პირველ გამოფენაზე მისულ დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა, გაცნობოდა იმ სიახლეებს, რომლებსაც სასწავლებლები აბიტურიენტებს სთავაზობენ. მოეწყო პრეზენტაციები და ღია კარის დღეები, აბიტურიენტებს, სტუდენტებს, მათ მშობლებს და ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა მიეცა პირადად გასაუბრებოდნენ სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელებსა და წამყვან სპეციალისტებს, გაცნობოდნენ მათ შეთავაზებებს, სასწავლო პროგრამებს და სწავლის პირობებს. კვირეულის ფარგლებში გაიმართა პროფესიული წრეების არაერთი შეხვედრა, ახალი პროექტების პრეზენტაცია, საგანმანათლებლო სისტემაში ახალი ინიციატივების განხილვა და პროფესიული გამოცდილების გაზიარება. სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ კი განათლების საერთაშორისო გამოფენა მოეწყო, რომლის ორგანიზატორის კომპანია „იუ ქეი ბრიჯი“ იყო.

# ქურთული კულტურა ეროვნულ ბიბლიოთეკაშია

**ეკა ირემაშვილი**

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ქურთული კულტურის დღეების ფარგლებში გამოფენა გაიხსნა. როგორც სქართველოს ქურთული სათემო ცენტრში განაცხადეს, საქართველოს ქურთული კულტურის დღეები იეზიდურ რელიგიურ დღესასწაულს ეძღვნება, რომელიც გაზაფხულის და ახალი წლის დადგომას უკავშირდება. ღონისძიების ორგანიზატორი საქართველოს ქურთული სათემო ცენტრია, სადაც გაერთიანებულია საქართველოს ქურთთა ახალგაზრდული კავშირი, საქართველოს იეზიდთა კონგრესი და დამოუკიდებელ ქურთ-ეზიდ ქალთა ლიგა.

ქურთული კულტურის დღეების საზეიმო გახსნა ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში შედგა. მას საპატიო სტუმრებთან ერთად თბილისის მერი გიგი უგულავა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ.

# რეზო ჩხეიძეს წიგნი მიუძღვნეს

ეკა ირემაშვილი

ქართველ კინორეჟისორს რეზო ჩხეიძეს წიგნი მიუძღვნეს. მისი პრეზენტაცია მაგთიკლუბში გაიმართა. „რეზო ჩხეიძე — კინოს დიდ გზაზე" — ასე ჰქვია ახალ გამოცემას. პროექტის ავტორი რეჟისორი ნანა ჯანელიძეა, წიგნის შემდგენლები კი — ნანა ჯანელიძე და ნინო ნატროშვილი. წიგნზე მისი ავტორები შვიდი თვის განმავლობაში მუშაობდნენ.

წიგნი ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა. ამ პროექტში ფინანსური მონაწილეობა მიიღო ასევე კომპანია მაგთიმ და ქართული ფილმის განვითარების ფონდმა. პროექტის პარტნიორები საქართველოს ეროვნული არქივი და ქართული ფილმი იყვნენ.

მაგთიკლუბში ახალი გამოცემის პრეზენტაციას კინორეჟისორის კოლეგები, მსახიობები, რეჟისორები, ხელოვნების მოყვარული ადამიანები შეიკრიბნენ. როგორც პრეზენტაციაზე ნანა ჯანელიძემ აღნიშნა, პირველი წიგნი, რომელიც ამ სერიით გამოიცა, იყო „თენგიზ აბულაძე — ანარეკლები". სწორედ ამ წიგნის გამოცემის შემდეგ მივიდნენ ავტორები იმ დასკვნამდე, რომ კრებული რეზო ჩხეიძეზეც უნდა გაკეთებულიყო. როგორც ნანა ჯანელიძემ აღნიშნა, ეს წიგნი განსაკუთრებით იმ ახალგაზრდებისთვისაა განკუთვნილი, ვისაც კინო უყვარს.

ახალი წიგნი ასახავს როგორც რეზო ჩხეიძის ბიოგრაფიას, ისე გასული საუკუნის მე-20 საუკუნის საქართველოს სულიერ და კულტურულ ცხოვრებას. წიგნი იძლევა ენციკლოპედიურ ცნობებს იმ მოვლენაზე, რასაც კინოსტუდია „ქართული ფილმი" ერქვა. გამოცემა მდიდარია ფოტოილუსტრაციებით და კინოკადრებით, როგორც რეზო ჩხეიძის ფილმებიდან, ასევე ქართული კინოკლასიკიდან („აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში", „შერეკილები", კინოფაკულტეტის სტუდენტური ფილმების კადრები და კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლების ფოტოებით), მასში გაერთიანებულია უამრავი ზუსტი ნოველა თუ ჩანახატი ცნობილ და უცნობ კინომოღვაწეებზე, მათზე, ვისაც მაყურებელი კარგად იცნობს და მათზეც ვინც ყოველთვის კადრს გარეთ მუშაობს.



მაგთიკლუბში გამართულ პრეზენტაციაზე თავად კინორეჟისორმა რეზო ჩხეიძემაც ისაუბრა და პროექტის ავტორებს დიდი მადლობა გადაუხადა.

**რეზო ჩხეიძე, კინორეჟისორი:**

— წიგნი უკვე წავიკითხე და ძალიან მომეწონა, რადგან მასში ყველაფერი კარგად არის აღწერილი და არც ჩემი კოლეგების — სხვა ქართველი რეჟისორების ღირსებებია დავიწყებული. ახალგაზრდებისთვის ალბათ საინტერესო იქნება ყველა ის დეტალი თუ ინფორმაცია, რომელიც ამ წიგნშია გაერთიანებული. დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ წიგნის გამოცემაზე, შექმნაზე იმუშავა.

**ნანა ჯანელიძე, წიგნის ავტორი:**

— წიგნი რეზო ჩხეიძის შესახებ შვიდი თვის განმავლობაში მუშავდებოდა. ამ პროექტის ფარგლებში გამოცემული პირველი წიგნი იყო ცნობილ ქართველ კინორეჟისორზე თენგიზ აბულაძეზე, რომელსაც ვუწოდეთ „თენგიზ აბულაძე — ანარეკლები". სწორედ პირველ წიგნზე მუშაობისას მივხვდით, რომ აუცილებელი იყო მსგავსი გამოცემა ბატონ რეზო ჩხეიძეზეც გაგვეკეთებინა.

— *შედეგით კმაყოფილი ხართ?*

— რა თქმა უნდა. ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ ამ წიგნში ყველა ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია და დეტალი გაგვეერთიანებინა, რომელიც კინოს მოყვარულ საზოგადოებას დააინტერესებს. წიგნი განსაკუთრებით საინტერესო იქნება იმ ახალგაზრდებისთვის, ვისაც უყვარს კინო და აინტერესებს, რა სიახლეები და მიმდინარეობებია ამ სფეროში. ეს წიგნი მართლაც ღირებულია და მას ყველა დიდი სიამოვნებით წაიკითხავს, ვინც ქართული კინოს გულშემატკივარია.

**კახი კავსაძე, მსახიობი:**

— რეზო ჩხეიძესთან დიდი, საინტერესო და ხანგრძლივი შემოქმედებითი თანამშრომლობა მაკავშირებს. მართლა ძალიან საინტერესო წიგნია, ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე. დიდი მადლობა ამ წიგნის ავტორებს, რეზო ჩხეიძე ნამდვილად იმსახურებს ერთ კარგ წიგნს და საინტერესო ისტორიებით გაჯერებულ გამოცემას. ვურჩევ ყველას, ვისაც წიგნები და ზოგადად ქართული კინო უყვარს, ამ წიგნს აუცილებლად გაეცნოს. მათ თვალწინ არაერთი საინტერესო ისტორია და მნიშვნელოვანი დეტალი გაცოცხლდება.

# „სუხიშვილებმა" უსასყიდლოდ იცეკვეს

ეკა ირემაშვილი

თბილის არტ ჰოლში ანსამბლმა „სუხიშვილებმა" საქველმოქმედო კონცერტი გამართეს. ორი დღის განმავლობაში ანსამბლის წევრებმა მაყურებელს ტრადიციული პროგრამა „ნოსტალგია" წარუდგინეს. ამ კონცერტებზე კლასიკური ქართული ცეკვები შესრულდა. კონცერტი თბილისის მერიის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მხარდაჭერით გაიმართა.

თბილისი არტ ჰოლში დაგეგმილ კონცერტზე შესრულებულმა საცეკვაო ნომრებმა დამსწრე საზოგადოებას საშუალებას მისცა, კარგად დავიწყებული ძველი გაეხსენებინა, დროში ემოგზაურა და დიდი ილიკოს და ნინოს მიერ დადგმული ცეკვების განახლებული ვარიანტიც ენახა.

19 მარტს კი სუხიშვილებმა საქველმოქმედო კონცერტი ჩაატარეს. მას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები, ბავშვთა სახლის აღსაზრდელები და მზრუნველობასმოკლებული მოხუცები დაესწრნენ.

როგორც „სუხიშვილებმა" „ახალ თაობას" განუცხადეს, მსგავსი საქველმომქედო კონცერტები მათ მიერ სისტემატურად ჩატარდება. მათზე დასწრება კი ყველა იმ ადამიანს შეეძლება, რომელიც მზრუნველობას არის მოკლებული და ჩვენი საზოგადოების თანადგომა განსაკუთრებულად სჭირდება.

# „აგვისტოს ხუთი დღის" პრემიერა ისევ გადაიდო

ეკა ირემაშვილი

ცნობილი რეჟისორის რენი ჰარლინის მიერ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის თემაზე გადაღებული ფილმის პრემიერა ისევ გადაიდო. ფილმის შემქმნელებმა სურათს სახელი რამდენჯერმე შეუცვალეს და საბოლოოდ, რიგით მესამე ცვლილება ძალაში დატოვეს — ფილმს „აგვისტოს ხუთი დღე" უწოდეს.

ფილმში, რომლის ბიუჯეტის მკაცრად არის გასაიდუმლოებული, თუმცა, კულუარული ინფორმაციით, სურათის ბიუჯეტმა 20 მილიონი დოლარი შეადგინა, ჰოლივუდის ვარსკვლავები ენდი გარსია, ველ ქილმერი მონაწილეობენ და იგი 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ასახავს.



ფილმის შემქმნელები სურათის პრემიერას მარტის თვეში გეგმავდნენ. რენი ჰარლინის ნამუშევარი უკვე ნახეს ბერლინის კინოფესტივალზე ჩასულმა პროდიუსერებმა და კინოსამყაროს წარმომადგენლებმა. მაშინ გავრცელდა ვერსია, რომ ფილმი რამდენიმე ქვეყანამ უკვე შეიძინა, მათ შორის დიდმა ბრიტანეთმა, კანადამ, იაპონიამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ფილმის პრემიერა მარტში უნდა გამართულიყო, მაგრამ „აგვისტოს ხუთი დღის" პრემიერა მაისის თვემდე გადაიდო, ამის მიზეზად კი პროდიუსერებთან შეუთანხმებლობა სახელდება.

როდის შედგება ფილმის პრემიერა საქართველოში, ჯერჯერობით უცნობია.

# მარჯანიშვილის თეატრი ქუჩის ბავშვებს ეხმარება

ეკა ირემაშვილი

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში 21 მარტს ქუჩის ბავშვების მხარდასაჭერად ღონისძიებას გამართავს. მათი ქველმოქმედება ამჯერად ქუჩის ბავშვების სადღეღამისო ცენტრისკენ „ბედურები" არის მიმართული. კრიზისული ცენტრი „ბედურები" დროებით სამყოფელს წარმოადგენს 25 ქუჩის ბავშვისათვის, რომელთაც მძიმე ან გადაუდებელი ვითარების გამო ესაჭიროებათ დროებითი თავშესაფარი.

ბავშვებს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულები არიან ოჯახურ გარემოს, ნამდვილად საჭიროებენ დახმარებას, მაგრამ არა მარტო საკვებით და თავშესაფრით, არამედ მორალურად და ფსიქოლოგიურადაც. სწორედ ამიტომ, მარჯანიშვილის თეატრის სხვენში წარმოდგენილი იქნება ბავშვების სპექტაკლი „სათაგური", გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა კი გადაეცემა კრიზისულ ცენტრ „ბედურებს". თეატრის ფოიეში მოეწყობა ბავშვების ნახატების გამოფენაც. მთელი სეზონის განმავლობაში, თეატრის ფოიეში, განთავსდება „ბედურების" სტენდი, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეეძლება თავისი წვლილის შეტანა.

როგორც მარჯანიშვილის თეატრში განმარტეს, ისინი მომავალშიც გეგმავენ მსგავსი აქტივობის განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს „ბედურების" კულტურულ განვითარებას და მათ საზოგადოებაში ინტეგრირებას, ამიტომ მარჯანიშვილის თეატრი ყველას მოუწოდებს — ხელი შევუწყოთ ბავშვებს რითიც შეგვიძლია!


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● გარანტიით, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, კიდურების სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. გადასახადის ოდენობა თითოეული პაციენტისათვის განისაზღვრება ინდივიდუალურად: ტელ: 899-97-85-46; 53-44-39, რეაბილიტოლოგი ბ-ნი ლევანი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● იყიდება 4-ოთახიანი გარემონტებული ბინა ნახალოვკაში, გადასასვლელ ხიდთან, ახალი რემონტით. ფასი 55.000 დოლარი. ტელ: 96 81 88.

# იქნებით თუ არა მილიონერი

ტესტი



***1. როგორი გზით არის ყველაზე ადვილი ფულის კეთება?***

ა) ბევრი მუშაობით (2); ბ) ლატარიით (0); გ) კარიერის თანდათანობით განვითარებით (1).

***2. მოგების რა ოდენობამ შეიძლება მდიდარ ადამიანს კონტრაქტი დაადებინოს?***

ა) ნახევარი მილიონიდან მილიონამდე (0); ბ) 10 მილიონამდე (1); გ) უფრო მეტი (2).

***3. რომელ გამონათქვამს ეთანხმებით?***

ა) რაც მეტია ფული, მეტია სიამოვნება (2); ბ) ფული ძალაუფლებაა (1); გ) ფული შურს იწვევს (0).

***4. თუ ისურვებდით, რომ თქვენი სახელი გაზეთებში მაღალი საზოგადოების ქორების სვეტში მოხვდეს?***

ა) დიახ (0); ბ) არა (2); გ) ჩემზე ისედაც წერენ (1).

***5. როგორ შეიძლება დოღში ფულის მოგება?***

ა) რისკით (0); ბ) ტოტალიზატორში მონაწილეობისაგან თავის შეკავებით (1); გ) ფავორიტი ცხენის ყიდვით (2).

***6. ვის აქვს სწრაფად გამდიდრების მეტი შანსი?***

ა) მსახიობს, რეჟისორს, მწერალს, სპორტსმენს (0); ბ) ადვოკატს, ექიმს, მაკლერს (1); გ) ფირმის ხელმძღვანელს, გამომცემელს (2).

***7. სად დააბანდებდით თქვენს მილიონებს?***

ა) უძრავ ქონებაში (0); ბ) ფასიან ქაღალდებში (1); გ) როგორც მეუღლე მირჩევს (2).

***8. რა როლს ისურვებდით ფინანსურ პირამიდაში?***

ა) არ მივიღებდი მონაწილეობას (1); ბ) მივიღებდი მონაწილეობას (0); გ) ორგანიზატორობას ვისურვებდი (2).

**პასუხები**

**0-5 ქულა:** თქვენთვის გამდიდრების ერთადერთ შესაძლებლობას იღბლიანი შემთხვევა, ლატარიაში ფულის მოგება, მემკვიდრეობა, მდიდარი საცოლე ან საქმრო წარმოადგენს.

**6-11 ქულა:** სიმდიდრე თქვენთვის დაძაბულ შრომასთან არის დაკავშირებული. ერიდეთ ფინანსურ სპეკულაციებს და ეცადეთ, თქვენი შეფის ადგილი დაიკავოთ.

**12-16 ქულა:** შეგიძლიათ საქმიანი და პირადი ურთიერთობების განვითარება. კომერციისადმი თანდაყოლილი ნიჭის წყალობით გაქვთ ოდესმე მილიონერად გახდომის შანსი და არც მოჩვენებითი ფუფუნებით მტერ-მოყვრისთვის თვალებში ნაცრის შეყრა გჩვევიათ.

**გ. თ.**

# 21 — 2§ მარტი

## ამინდის პროგნოზი



**სოხუმი**

21.03 წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 8-9
22.03 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 3-4
23.03 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 3-4
24.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 2-3
25.03 მზე, წვიმა, დღისით — 11-13, ღამით — 5-6
26.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 10-11
27.03 მზე, დღისით — 19-20, ღამით — 11-12

**ზუგდიდი**

21.03 წვიმა, დღისით — 15-16, ღამით — 10-11
22.03 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 5-6
23.03 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 3-4
24.03 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 2-3
25.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 6-7
26.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 20-21, ღამით — 10-11
27.03 მზე, დღისით — 20-21, ღამით — 11-12

**ბათუმი**

21.03 წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 7-8
22.03 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 3-4
23.03 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 2-3
24.03 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 2-3
25.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 6-7
26.03 მზე, დღისით — 18-19, ღამით — 11-12
27.03 მზე, დღისით — 18-19, ღამით — 12-13

**ქუთაისი**

21.03 წვიმა, დღისით — 16-17, ღამით — 9-10
22.03 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 4-5
23.03 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 3-4
24.03 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 2-3
25.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 6-7
26.03 მზე, დღისით — 20-21, ღამით — 10-11
27.03 მზე, დღისით — 20-21, ღამით — 11-12

**გორი**

21.03 წვიმა, დღისით — 12-13, ღამით — 7-8
22.03 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 1-2
23.03 ღრუბელი, დღისით — 10-11, ღამით — -1-0
24.03 წვიმა, დღისით — 9-10, ღამით — -2 -1
25.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 10-11, ღამით — 2-3
26.03 მზე, დღისით — 17-18, ღამით — 6-7
27.03 მზე, დღისით — 18-19, ღამით — 7-8

**თბილისი**

21.03 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 5-6
22.03 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 3-4
23.03 ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 2-3
24.03 წვიმა, დღისით — 12-13, ღამით — 0-1
25.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 5-6
26.03 მზე, დღისით — 17-18, ღამით — 8-9
27.03 მზე, დღისით — 18-19, ღამით — 7-8

**გურჯაანი**

21.03 წვიმა, დღისით — 12-13, ღამით — 7-8
22.03 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 3-4
23.03 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 2-3
24.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — -1-0
25.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 3-4
26.03 მზე, დღისით — 17-18, ღამით — 6-7
27.03 მზე, დღისით — 18-19, ღამით — 6-7

**მანგლისი**

21.03 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 2-3
22.03 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 1-2
23.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 10-11, ღამით — 0-1
24.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 9-10, ღამით — -2 -1
25.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 3-4
26.03 მზე, დღისით — 14-15, ღამით — 6-7
27.03 მზე, დღისით — 15-16, ღამით — 5-6

**დმანისი**

21.03 წვიმა, დღისით — 4-5, ღამით — 0-1
22.03 წვიმა, თოვლი, დღისით — 3-4, ღამით — -8 -7
23.03 წვიმა, თოვლი, დღისით — 3-4, ღამით — -8 -7
24.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 3-4, ღამით — -9 -8
25.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 5-6, ღამით — -6 -5
26.03 მზე, დღისით — 10-11, ღამით — -3 -2
27.03 მზე, დღისით — 10-11, ღამით — -4 -3

**გ.თ.**

# კროსვორდი



1. დოლი ანუ...; 2. ქალბატონი (ფრანგულად); 3. ჩვენებითი ნაწილაკი; 4. საკაფი იარაღი; 5. უბანი თბილისში; 6. სახელმწიფო ევროპაში; 7. ამაღლებული ადგილი; 8. სტალონეს კინოროლი; 9. ერთგვარი დოლი; 10. სალბუნი; 11. ... ბერძენიშვილი; 12. ჭადრაკის ფიგურა; 13. ცხენის ჯოგი; 14. აპრილი (საბა); 15. სახელმწიფო აზიაში; 16. ალკოჰოლით მდიდარი სითხე; 17. ქალაქი იტალიაში; 18. ახალი (ბერძნულად); 19. რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა; 20. ... ლესკო; 21. ქალისადმი მიმართვა ამერიკაში; 22. ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი; 23. ადამიანის სულიერ თვისებათა ერთობლიობა; 24. თეიმურაზის მეტსახელი („ჯაყოს ხიზნები“); 25. ... ხაჩატურიანი; 26. სტადიონი ბრაზილიაში; 27. პორტუგალიის დედაქალაქი; 28. „კოჯრის ტყის სიზმრების“ პერსონაჟი; 29. ... არ გაიტეხა (არ შეიმჩნია); 30. ძაღლის ჯიში; 31. ქუჩა მოსკოვში; 32. ტაბლეტი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მოლი; 2. ბრიჯი; 3. სეიმი; 5. ტეხური; 6. ლაჟვარდი; 9. ულტიმატუმი; 10. „პართფილდი“; 11. იაკიტორია; 14. ონი; 16. აპლიკე; 18. ბივა.

**თარაზულად:** 1. მუმბაი; 4. ნატამალი; 7. დიჟონი; 8. მორთული; 12. ატილა; 13. „სოკარი“; 15. მთიები; 17. „ეტა“; 19. ბურგომისტრი; 20. ჯინსი; 21. საუნჯე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მუმბაი; 2. ღვინო; 3. ბობი; 5. თოხანი; 6. შტაბი; 7. ლივადია; 11. აზალია; 13. არიფანა; 14. დვალი; 15. ცენზორი; 16. კურსები; 17. ბატონი; 19. ავაზა; 20. ბასი.

**თარაზულად:** 1. მაღრიბი; 4. გოეთე; 8. ბრიზი; 9. ხულა; 10. ბონსაი; 12. თარხანი; 14. დილა; 15. ცაგარელი; 16. კოალა; 18. „მაზდა“; 21. „ტოკაი“; 22. ბობსლეი; 23. „ზინგერი“.

# სამგლოვიარო განცხადებები



**დარეჯან მაჭავარიანის მონატრება**

20 მარტს 40 დღე შესრულდა, რაც ჩვენგან წახვედი და დაგვიტოვე უზარმაზარი გულისტკივილი, უსაზღვრო სევდა და მონატრება.

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა, მზის დაბნელება იყო ჩვენთვის, ჩვენი ოჯახისათვის შენი გარდაცვალება, ჩვენო დარეჯან, ჩვენო უსაყვარლესო, ჩვენო უკეთილშობილესო, სიკეთით სავსე ადამიანო — სხვისი ჭირი და ლხინი რომ საკუთარ ჭირად და ლხინად მიგაჩნდა. იყავი ღირსეული დედა, მეუღლე, ბებია, დედამთილი. იყავი საუკეთესო, უღალატო მეგობარი, ამხანაგი, მეზობელი, თანამშრომელი, ამიტომაც დაგიტირა ცხარე ცრემლებით ყველამ.

ცხარე ცრემლებით დაგიტირეს შენმა საყვარელმა ძმებმა — დემნამ და ვახტანგმა, რომელიც შორეული ამერიკიდან ჩამოვიდა შენს უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად, რძლებმა, ძმისშვილებმა, ბიძაშვილებმა, მამიდაშვილებმა, დეიდაშვილებმა და, რა თქმა უნდა, შენმა უსაყვარლესმა შვილებმა — გოჩამ და ნიკამ, უსაყვარლესმა რძალმა შორენამ, რომელიც შვილივით გიყვარდა.

შენი საფიცარი შვილიშვილი ანანო სულ კარებისკენ იყურება და შენი ხმის გაგონებას ელის... დიდი გულისტკივილით გემშვიდობებიან ჩვენი საყვარელი მძახლები — ნატო და გია.

მშვიდობით, ჩვენო უძვირფასესო და უსაყვარლესო დარეჯან. მარადიული სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა — შენ ხომ უაღრესად ეკლესიური, რელიგიური ადამიანი იყავი. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის ქართული მიწა, სისხლხორცეულად ქართველო ადამიანო, შენ ხომ უსაზღვროდ გიყვარდა შენი სამშობლო — საქართველო!

*შენი დამწუხრებული ოჯახი*



ოჯახის წევრები, ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ირაკლი ზერეკიძე**

პანაშვიდი: 20, 21 მარტს.

დაკრძალვა: 22 მარტს, 14 საათზე.

მისამართი: კეკელიძის ქ.№10.

მანანა, თამაზ, მიხეილ ლომთათიძეები, თამარ და გია ტალახაძეები თანაგრძნობას უცხადებენ არჩილ და ვახტანგ ზერეკიძეებს მამის

**ირაკლი ზერეკიძის**

გარდაცვალების გამო.

გივი სურვილაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება მძახლის

**ირაკლი ზერეკიძის**

გარდაცვალებას.

მეუღლე ნანა ღლონტი, შვილები რატი, გელა, რძალი ლია დავითაშვილი, შვილიშვილები ნანა, ლიზა, ნიკო ჭილვარიები, დისშვილი ალიკო გოგრიჭიანი, ახლობლები იუწყებიან

**ბონდო ჭილვარიას**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 20, 21 მარტს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 22 მარტს, 14 საათზე.

მისამართი: რადიანის №20 (ბარნოვის IV ჩიხი).

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები გულისტკივილით აუწყებენ საზოგადოებას ცნობილი ისტორიკოსის

**ვალერი სილოგავას**

უდროოდ გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.



მეუღლე ლარისა ქირია, შვილები გელა და ლელა, შვილიშვილები გიორგი, ბარბარე აბშილავები, მარიამ შონია, და დოდონა აბშილავა, სიძეები რევაზ ლატარია და ელდარ შონია, რძალი ბელა შონია, დისშვილები ინგა და ნინო ლატარიები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**იური ნესტორის ძე აბშილავას**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 22, 23 მარტს.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 24 მარტს, 17 საათზე, ზემოქვალონის სასაფლაოზე.



რეზო სიჭინავა, ველოდი ხურცილავა და ალეკო ადამია ოჯახებით იუწყებიან

**იური ნესტორის ძე აბშილავას**

გარდაცვალებას.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ქართველებმა დათვები ისევ დატორეს

**რუსეთი — საქართველო 9:15 (3:3)**

**რუსეთი:** კლიუჩნიკოვი, არტემიევი, ბაბაევი, გალინოვსკი, ოსტროუშკო, რაჩკოვი (კუშნარიოვი 75), შაკიროვი (იანუშკინი 75), გრაჩოვი (გრასევი 63), ოსტრიკოვი, ფათახოვი, გარბუზოვი (მატვეევი 68), ვოიტოვი (ტემნოვი 47), პრიშჩეპენკო (ტრავკინი 52), კორშუნოვი, პოპოვი (ხროკინი 75)

**3 ჯარიმა:** რაჩკოვი

**საქართველო:** ხამაშურიძე (ბ.ურჯუკაშვილი 41), მაჩხანელი, კაჭარავა, ზიბზიბაძე, გუგავა, კვირიკაშვილი (მალაღურაძე 71), აბუსერიძე, ხინჩაგიშვილი, ბრეგვაძე, ზირაქაშვილი, დათუნაშვილი, ვ.მაისურაძე, სუთიაშვილი, ჩხაიძე (კაკოვინი 54-64; კოლელიშვილი 76), გორგოძე.

**სათადარიგოები:** ნატრიაშვილი, ნემსაძე, სამხარაძე.

**2 ლელო:** საჯარიმო, ბრეგვაძე

**1 რეალიზაცია:** კვირიკაშვილი

**1 ჯარიმა:** კვირიკაშვილი



საქართველოს ნაკრებმა ევროპის ერთა თასის წლევანდელი გათამაშება ვადამდე ერთი ტურით ადრე, რუმინეთის 18:11 დამარცხების შემდეგ მოიგო. მიუხედავად ამისა, საქართველოსა და რუსეთის დაპირისპირება ყველა დონეზე განსაკუთრებული მოვლენაა და ბიჭებს მოტივაცია არ აკლდათ. მით უმეტეს, მათ ტურნირში „დიდი სლემით" გამარჯვება სურდათ, რუსეთთან წარმატებული სერიის გაგრძელება ეწადათ და რიჩი დიქსონსაც, ვისი ხელმძღვანელობითაც, ნაკრებმა მანამდე ჩატარებული ექვსი შეხვედრიდან ექვსივე მოიგო, ტრადიციის გაგრძელება უნდოდა.

ქართველი მორაგბეები სოჭში, თამაშის წინა დღეს გაემგზავრნენ და ადლერის აეროპორტში რუსმა მესაზღვრეებმა მათ პრობლემა შეუქმნეს. გუნდის ერთ-ერთი ლიდერი დავით კაჭარავა, უმიზეზოდ დააკავეს და სანამ საქმეში რუსეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტი არ ჩაერთო, ორი საათი გამომწყვდეული ჰყავდათ. საბოლოოდ, კაჭარავა კი გაათავისუფლეს, მაგრამ შეყოვნებამ ქართველთა გეგმები არია და კაპიტნის ვარჯიში ველარ ჩატარდა.

სოჭის „სლავა მეტრეველის" სახელობის სტადიონის ტრიბუნაზე, თავი 4.000 მეტმა მაყურებელმა მოიყარა — მათ შორის იყვნენ ქართველი გულშემატკივრებიც, რომლებიც მრავლად ცხოვრობენ სოჭსა თუ მის შემოგარენში.

თამაში იოლი არ ყოფილა, პირიქით, „ბორჯღალოსნებს" მძიმე ბრძოლა გადახდათ, მაგრამ, ბოლო დროის ტრადიციის თანახმად, მეტოქეს სალელოვე შანსი ერთხელაც არ მისცეს და ღირსეული გამარჯვება მოიპოვეს.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ერთა თასზე ჩატარებულ ხუთ შეხვედრაში, ქართველმა მორაგბეებმა 24 ლელო გაიტანეს, თავად კი მხოლოდ ერთი მიიღეს. ეს ერთი, რუმინელთა ანგარიშზეა და მაშინაც, მსაჯმა ვიდეორეფერი მოითხოვა. თუმცა, მისი არარსებობის პირობებში გვერდითი მსაჯის გადაწყვეტილებას ენდო.

რაც შეეხება უშუალოდ სოჭის შეხვედრას: რადგან რუსებმა ტელერეპორტაჟი არც თავად გადასცეს და არც სხვას მისცეს მისი ჩვენების უფლება, მატჩის მიმდინარეობის გაგება სხვადასხვა საშუალებებით მოგვიხდა. საბოლოოდ, ასეთი სახე მივიღეთ:

ქართველთა თამაშში კვლავ ხშირი იყო ტექნიკური წუნი. ბურთი ამჯერადაც ხშირად ვარდებოდა წინ, რაც დიდწილად, სველი მოედნის ბრალიც უნდა იყოს, კვლავ არ ვარგოდა დერეფანი. თუმცა, შესვენების შემდეგ, ქართველთა თამაშში მნიშვნელოვანი კორექტირება მოხდა, „ბორჯღალოსნები" მათთვის ჩვეულ ძალისმიერ თამაშზე გადაერთნენ და აქ, მეტოქე პირწმინდად დაჩაგრეს.

ანგარიში შეხვედრის დებიუტშივე გაიხსნა. მე-3 წუთზე მერაბ კვირიკაშვილმა დაახლოებით 30 მეტრიდან ჯარიმა ზუსტად შეასრულა. რუსები ბურთს ფეხით ჩვენს ზურგს უკან ხშირად კიდებდნენ, სადაც სველი ბურთის დამორჩილება ჭირდა, მაგრამ რეალურ საფრთხემდე სიტუცია არ მისულა. საწყისმა 20-25-მა წუთმა ქართველი მორაგბეების უპირატესობით ჩაიარა, ისინი უმეტეს დროს მეტოქის ნახევარზე ატარებდნენ, მაგრამ ტექნიკური წუნის გამო ეს უპირატესობა ანგარიშში არ აისახა. მხოლოდ ერთხელ, 24-ე წუთზე მიეცა კვირიკაშვილს ჯარიმით ქართველთა უპირატესობის გაზრდა, მაგრამ დაახლოებით 50 მეტრიდან არაზუსტად დაარტყა. ამის შემდეგ, ბურთს მასპინძლები დაეუფლნენ, ტერიტორიული უპირატესობა უკვე მათ მხარეს გადავიდა.

27-ე წუთზე, საგანგებოდ საქართველოსთან თამაშისთვის გამოძახებულმა კონსტანტინ რაჩკოვმა, 35 მეტრიდან შესრულებული ჯარიმით წონასწორობა აღადგინა. მსაჯმა შესვენებამდე ქართველი მორაგბეები კიდევ რამდენჯერმე დააჯარიმა და მათ თამაშის საშუალება არ მისცა. რუსებმა ჯარიმით ორჯერ სცადეს დაწინაურება, მაგრამ ერთხელ საკუთარი ნახევრიდან, ხოლო მეორედ, დაახლოებით 37 მეტრიდან მიზანმა უმტყუნათ. შესვენების წინ, რაჩკოვმა არეკნი სცადა, მაგრამ კვირიკაშვილმა კარგად დაუფარა და სალელოვე კონტრშეტევის წამოწყებამდე სულ ცოტა დააკლდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ პირველ ტაიმში, რუსებმა რამდენჯერმე კარგი მოლის დაყენება შეძლეს და გარკვეული მანძილიც მოიგეს, მაგრამ მეორე ტაიმში ქართველებმა დაანახეს, თუ როგორ უნდა მოლით შეტევა. მანამდე, მეორე ტაიმის საწყის წუთებზე, მასპინძლებმა შეტევის განვითარება სცადეს, მაგრამ საბოლოოდ, ქართველთა 22-ის ხაზთან „ბორჯღალოსნებმა" შერკინების უფლება მიიღეს. პირველი დარტყმა მამუკა გორგოძემ განახორციელა და დაახლოებით 7-8 მეტრით წინ წაიწია, მას მხარი თანაგუნდელებმა აუბეს, რაც მთავარია, ბურთი არ დაკარგეს და ასე მოკლე-მოკლე დარტყმებით, ჯერ ცენტრი გადალახეს, მერე რუსთა 22-ში შეაღწიეს, ბოლოს კი, მეტოქის ჩათვლის მოედანს 5 მეტრამდე მიუახლოვდნენ. ხანგრძლივი შეტევა ჯარიმით დასრულდა, ირაკლი აბუსერიძემ კარის გასწვრივ 5 მეტრიდან ნაღდი სამი ქულის აღებას, შერკინება არჩია, „ბორჯღალოსნები" მეტოქეს მიეძალნენ, მათაც ველარ გაძლეს და შერკინებაში ზედიზედ სამჯერ განზრახ დაჯარიმდნენ, რის გამოც, ფრანგმა რეფერიმ საჯარიმო ლელო დააფიქსირა, კვირიკაშვილმა კი, რეალიზაცია გამოიყენა — 10:3.

ეს 49-ე წუთზე მოხდა, ოთხ წუთში კი, რეფერიმ დავით ზირაქაშვილს ყვითელი ბარათი უჩვენა და მოედნიდან 10 წუთით გააძევა. რის შემდეგ, საქართველოს ნაკრებს მთელი ენერგიის მიმართვა დაცვისკენ მოუხდა. რაჩკოვმა პირველი ჯარიმა არაზუსტად დაარტყა, მაგრამ მეორე შანსი ხელიდან არ გაუშვა და ახლო მანძილიდან სხვაობა შეამცირა. შეივსო თუ არა საქართველოს ნაკრების შემადგენლობა, „ბორჯღალოსნებმა" ჯარიმის შესრულების უფლება მიიღეს, მაგრამ კვირიკაშვილის დარტყმა არაზუსტი აღმოჩნდა.

სამაგიეროდ, რაჩკოვმა 71-ე წუთზე საკუთარი შანსი ხელიდან არ გაუშვა და 35 მეტრიდან გატანილი ჯარიმით, ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანა. ეს ქართველებმა იუკადრისეს, ცენტრის სიახლოვეს საკუთარი აუტი შალვა სუთიაშვილმა მოიგო და მოლით საქართველოს ნაკრები რუსთა 22-ში შევიდა. იქ, მასპინძლები დაჯარიმდნენ და მოედანზე ხელჩართული ჩხუბი ატყდა, რომლის

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ისევ სენსაცია — ზესტაფონის მეორე საშინაო ფრე

გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის 26-ე ტურის მატჩები. ტური ნაკლული გამოდგა — თბილისური გუნდების, „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიას" მატჩი 27 აპრილისთვის არის გადატანილი.

**ოლიმპი — სამტრედია 4:0**

**რუსთავი. ფოლადის სტადიონი**

*1:0 მოდებაძე (13), 2:0 ბოლქვაძე (35), 3:0 პავლიაშვილი (59), 4:0 ბოლქვაძე (68)*

**სპარტაკი — ტორპედო 2:2**

**გორი. ქართლის სტადიონი**

*1:0, 2:0 მეტრეველი (23, 46), 2:1, 2:2 საბანაძე (80, 90)*

**ბაია — კოლხეთი 1:0**

**ზუგდიდი. გულია თუთბერი ის სახელობის სტადიონი**

*1:0 ქობალია (63)*

**ზესტაფონი — სიონი 0:0**

**ზესტაფონი. დავით აბაში ის სახელობის სტადიონი**

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 26 | 17 | 4 | 5 | 51:14 | 55 |
| 2.ოლიმპი | 26 | 16 | 6 | 4 | 40:19 | 54 |
| 3.დინამო | 24 | 13 | 7 | 4 | 35:12 | 46 |
| 4.ვიტ ჯორჯია | 25 | 12 | 2 | 11 | 28:29 | 38 |
| 5.ბაია | 25 | 10 | 5 | 10 | 25:31 | 35 |
| 6.ტორპედო | 26 | 8 | 9 | 9 | 17:17 | 33 |
| 7.სიონი | 26 | 6 | 8 | 12 | 16:33 | 26 |
| 8.სპარტაკი | 26 | 6 | 6 | 14 | 26:32 | 24 |
| 9.კოლხეთი | 26 | 6 | 6 | 14 | 16:37 | 24 |
| 10.სამტრედია | 26 | 5 | 5 | 16 | 20:50 | 20 |

**ბომბარდირები:** ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი) — 13 ბურთი, ირაკლი მოდებაძე (ოლიმპი) — 12, რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი), გიორგი მეგრელაძე (ტორპედო) — 11-11, ჯაბა დვალი (ზესტაფონი) — 10

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ტოტენჰემი-ვესტ ჰემი ........ 0:0
ასტონ ვილა-ვულვზი ........ 0:1
ბლექბერნი-ბლრქპული ........ 2:2
ვესტ ბრომვიჩი-არსენალი ........ 2:2
მანჩესტერი-ბოლტონი ........ 1:0
სტოკი-ნიუკასლი ........ 4:0
უიგანი-ბირმინგემი ........ 2:1
ევერტონი-ფულემი ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 30 | 18 | 9 | 3 | 64:30 | 63 |
| 2.არსენალი | 29 | 17 | 7 | 5 | 59:29 | 58 |
| 3.სიტი | 29 | 15 | 8 | 6 | 45:25 | 53 |
| 4.ჩელსი | 28 | 15 | 6 | 7 | 51:24 | 51 |
| 5.ტოტენჰემი | 29 | 13 | 10 | 6 | 41:34 | 49 |
| 6.ლივერპული | 29 | 12 | 6 | 11 | 39:36 | 42 |
| 7.ბოლტონი | 30 | 10 | 10 | 10 | 42:41 | 40 |
| 8.ევერტონი | 31 | 9 | 13 | 8 | 40:39 | 40 |
| 9.სანდერლენ. | 29 | 9 | 11 | 9 | 33:35 | 38 |
| 10.ნიუკასლი | 30 | 9 | 9 | 12 | 44:45 | 36 |
| 11.ფულემი | 30 | 7 | 14 | 9 | 33:34 | 35 |
| 12.სტოკი | 30 | 11 | 4 | 15 | 36:38 | 37 |
| 13.ბლექბერნი | 30 | 9 | 6 | 15 | 39:51 | 33 |
| 14.ას. ვილა | 30 | 8 | 9 | 13 | 37:51 | 33 |
| 15.ბლექპული | 30 | 9 | 6 | 15 | 45:60 | 33 |
| 16.ვესტ ბრომ. | 30 | 8 | 9 | 13 | 41:56 | 33 |
| 17.ვესტ ჰემი | 30 | 7 | 11 | 12 | 36:49 | 32 |
| 18.ვულვზი | 30 | 9 | 5 | 16 | 35:49 | 32 |
| 19.ბირმინგემი | 28 | 6 | 13 | 9 | 27:39 | 31 |
| 20.უიგანი | 29 | 6 | 12 | 11 | 29:48 | 30 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

შეფილდი-ლიდსი ........ 2:0
ბარნსლი-რედინგი ........ 0:1
ბრისტოლი-ბარნლი ........ 2:0
დონკასტერი-ქპრ ........ 0:1
იფსვიჩი-სკანთორპი ........ 2:0
კრ.პალასი-დერბი ........ 2:0
ლესტერი-პორთსმუთი ........ 0:1
მიდლსბრო-უოტფორდი ........ 2:1
მილუოლი-კარდიფი ........ 3:3
პრესტონი-ქოვენთრი ........ 2:1
სუონსი-ნოტინგემი ........ 3:2
ჰალი-ნორვიჩი ........ 1:1

**იტალია. სერია ა**

ლაციო-ჩეზენა ........ 1:0
პალერმო-მილანი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 30 | 18 | 8 | 4 | 51:22 | 62 |
| 2.ინტერი | 29 | 17 | 6 | 6 | 55:32 | 57 |
| 3.ნაპოლი | 29 | 17 | 5 | 7 | 44:26 | 56 |
| 4.ლაციო | 30 | 16 | 6 | 8 | 36:25 | 54 |
| 5.უდინეზე | 29 | 16 | 5 | 8 | 54:30 | 53 |
| 6.რომა | 29 | 14 | 7 | 8 | 45:39 | 49 |
| 9.პალერმო | 30 | 13 | 4 | 13 | 45:46 | 43 |
| 8.იუვენტუსი | 29 | 11 | 9 | 9 | 43:37 | 42 |
| 9.ფიორენტინა | 29 | 10 | 10 | 9 | 33:29 | 40 |
| 10.კალიარი | 29 | 11 | 6 | 12 | 35:34 | 39 |
| 11.ბოლონია | 29 | 11 | 9 | 9 | 32:36 | 39 |
| 12.ჯენოა | 29 | 10 | 8 | 11 | 28:32 | 38 |
| 13.კიევო | 29 | 7 | 11 | 11 | 28:31 | 32 |
| 14.კატანია | 29 | 8 | 8 | 13 | 25:38 | 32 |
| 15.სამპდორია | 29 | 7 | 10 | 12 | 25:33 | 31 |
| 16.პარმა | 29 | 6 | 11 | 12 | 28:41 | 29 |
| 17.ჩეზენა | 30 | 7 | 8 | 15 | 25:41 | 29 |
| 18.ლეჩე | 29 | 7 | 7 | 15 | 31:51 | 28 |
| 19.ბრეშა | 29 | 6 | 8 | 15 | 23:36 | 26 |
| 20.ბარი | 29 | 3 | 8 | 18 | 16:43 | 17 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**იტალია. სერია ბ**

ატალანტა-პიაჩენცა ........ 3:0
ვიჩენცა-ნოვარა ........ 1:0
კროტონო-სიენა ........ 1:2
ლივორნო-გროსეტო ........ 1:1
პესკარა-პადოვა ........ 0:2
პორტუგრუარო-ალბინოლეფე ........ 2:1
ტრიესტინა-ვარეზე ........ 1:1
ფროსინონე-ტორინო ........ 1:0
ჩიტადელა-ასკოლი ........ 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალიორკა-სარაგოსა ........ 1:0
ბარსელონა-ხეტაფე ........ 2:1
ატლეტიკო-რეალი ........ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 29 | 25 | 3 | 1 | 81:15 | 78 |
| 2.რეალი | 29 | 23 | 4 | 2 | 69:21 | 73 |
| 3.ვალენსია | 28 | 16 | 6 | 6 | 42:32 | 54 |
| 4.ვილიარეალი | 28 | 15 | 6 | 7 | 47:30 | 51 |
| 5.ესპანიოლი | 28 | 14 | 1 | 13 | 37:39 | 43 |
| 6.ბილბაო | 28 | 13 | 3 | 12 | 44:40 | 42 |
| 7.ატლეტიკო | 29 | 11 | 6 | 12 | 42:39 | 39 |
| 8.სევილია | 28 | 11 | 6 | 11 | 42:43 | 39 |
| 9.მალიორკა | 29 | 11 | 5 | 13 | 30:38 | 38 |
| 10.სოსიედადი | 28 | 11 | 2 | 15 | 38:46 | 35 |
| 11.ხეტაფე | 29 | 9 | 7 | 13 | 39:45 | 34 |
| 12.ოსასუნა | 28 | 8 | 8 | 12 | 30:33 | 32 |
| 13.ლევანტე | 28 | 9 | 5 | 14 | 29:39 | 32 |
| 14.დეპორტივო | 28 | 7 | 10 | 11 | 23:38 | 31 |
| 15.სარაგოსა | 29 | 7 | 9 | 13 | 28:40 | 30 |
| 16.რასინგი | 28 | 7 | 9 | 12 | 26:42 | 30 |
| 17.ხიხონი | 28 | 6 | 11 | 11 | 26:35 | 29 |
| 18.ალმერია | 28 | 5 | 11 | 12 | 30:47 | 26 |
| 19.ერკულესი | 28 | 7 | 5 | 16 | 25:43 | 26 |
| 20.მალაგა | 28 | 7 | 5 | 16 | 36:59 | 26 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უელვა-ვალეკანო ........ 1:1
ალბასეტე-ლას პალმასი ........ 0:1
ალკორკონი-კარტახენა ........ 0:0
ბეტისი-სალამანკა ........ 1:0
პონფერადინა-ელჩე ........ 0:1
ტენერიფე-კორდობა ........ 1:2
უესკა-ბარსელონა ბ ........ 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-ზანკტ პაული ........ 2:1
ჰამბურგი-კიოლნი ........ 6:2
ჰანოვერი-ჰოფენჰაიმი ........ 2:0
ნიურნბერგი-ვერდერი ........ 1:3
ფრაიბურგი-ბაიერნი ........ 1:2
დორტმუნდი-მაინცი ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 27 | 19 | 5 | 3 | 54:16 | 62 |
| 2.ლევერკუზენი | 26 | 15 | 7 | 4 | 54:34 | 52 |
| 3.ჰანოვერი | 27 | 16 | 2 | 9 | 39:36 | 50 |
| 4.ბაიერნი | 27 | 14 | 6 | 7 | 59:34 | 48 |
| 5.მაინცი | 27 | 14 | 2 | 11 | 42:34 | 44 |
| 6.ნიურნბერგი | 27 | 12 | 6 | 9 | 42:36 | 42 |
| 7.ჰამბურგი | 27 | 12 | 4 | 11 | 43:44 | 40 |
| 8.ფრაიბურგი | 27 | 11 | 4 | 12 | 34:38 | 37 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 27 | 9 | 9 | 9 | 42:39 | 36 |
| 10.შალკე | 26 | 9 | 6 | 11 | 31:31 | 33 |
| 11.კიოლნი | 27 | 9 | 5 | 13 | 37:49 | 32 |
| 12.ვერდერი | 27 | 8 | 8 | 11 | 37:53 | 32 |
| 13.კაიზერი | 27 | 8 | 7 | 12 | 36:43 | 31 |
| 14.აინტრახტი | 27 | 9 | 4 | 14 | 27:37 | 31 |
| 15.შტუტგარტი | 26 | 8 | 4 | 14 | 45:48 | 28 |
| 16.ზ. პაული | 27 | 8 | 4 | 15 | 29:47 | 28 |
| 17.ვოლფსბურგი | 26 | 6 | 8 | 12 | 30:39 | 26 |
| 18.გლადბახი | 27 | 6 | 5 | 16 | 38:61 | 23 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-ობერჰაუზენი ........ 2:0
ოსნაბრიუკი-ალემანია ........ 1:3

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბრესტი-ლილი ........ 1:2
ვალანსიენი-ბორდო ........ 2:2
ლორიანი-სენტ ეტიენი ........ 0:0
მონპელიე-ლანსი ........ 1:4
ოსერი-სოშო ........ 2:0
ტულუზა-ნიცა ........ 1:1
ლიონი-რენი ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 28 | 15 | 10 | 3 | 49:27 | 55 |
| 2.რენი | 28 | 14 | 8 | 6 | 32:21 | 50 |
| 3.ლიონი | 28 | 13 | 10 | 5 | 47:26 | 49 |
| 4.მარსელი | 27 | 13 | 9 | 5 | 39:23 | 48 |
| 5. პსჟ | 27 | 12 | 9 | 6 | 41:28 | 45 |
| 6.სტ.ეტიენი | 28 | 10 | 9 | 9 | 35:33 | 39 |
| 7. მონპელიე | 28 | 10 | 9 | 9 | 24:30 | 39 |
| 8.ბორდო | 28 | 9 | 11 | 8 | 37:34 | 38 |
| 9.ლორიანი | 28 | 10 | 8 | 10 | 35:34 | 38 |
| 10.ტულუზა | 28 | 11 | 4 | 13 | 29:30 | 37 |
| 11.სოშო | 28 | 10 | 5 | 13 | 40:35 | 35 |
| 12.ბრესტი | 28 | 9 | 8 | 11 | 28:32 | 35 |
| 13.ნიცა | 28 | 8 | 10 | 10 | 19:28 | 34 |
| 14.ვალანსიენი | 28 | 7 | 12 | 9 | 33:31 | 33 |
| 15.ოსერი | 28 | 6 | 14 | 8 | 32:34 | 32 |
| 16.კაენი | 27 | 8 | 8 | 11 | 29:38 | 32 |
| 17.ნანსი | 27 | 9 | 5 | 13 | 29:41 | 32 |
| 18.მონაკო | 27 | 5 | 14 | 8 | 26:28 | 29 |
| 19.ლანსი | 28 | 6 | 10 | 12 | 28:42 | 28 |
| 20.არლე | 27 | 1 | 9 | 17 | 16:53 | 12 |

**ჰოლანდია. ეროვნული ლიგა**

ბრედა-გრონინგენი ........ 0:1
ვენლო-ტილბურგი ........ 0:0
ერაკლესი-ჰერენვენი ........ 4:2
ნაიმეგენი-გრააფსხაპი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსვ | 27 | 17 | 7 | 3 | 71:26 | 58 |
| 2.ტვენტე | 27 | 17 | 6 | 4 | 52:28 | 57 |
| 3.აიაქსი | 27 | 16 | 7 | 4 | 54:23 | 55 |
| 4.ალკმაარი | 28 | 14 | 7 | 7 | 43:34 | 49 |
| 5.გრონინგენი | 28 | 14 | 5 | 9 | 54:43 | 47 |
| 6.დენ ჰააგი | 27 | 13 | 6 | 8 | 52:39 | 45 |
| 7.როდა | 27 | 10 | 11 | 6 | 46:37 | 41 |

# საპლეიოფო ოთხეული თითქმის გაირკვა

### თსუ — ბათუმი 104:84
(27:22, 21:18, 32:19, 23:33

**თსუ:** კოხრეიძე (7), გაფრინდაშვილი (6), ფანჩულიძე (24), მიხეილ ბერიშვილი (27), ლონდარიძე (14); ხიზანიშვილი (7), კორკოტაძე (11), ჩიტაშვილი (7), ზვიად დეკანოიძე (1), ზურაბ მაისურაძე, ჩქარეული

**ბათუმი:** ნინუა (3), ელიაშვილი (14), ნიკოლოზ ჩხატარაშვილი (3), შანიძე (13), კეშელავა (21), რამიშვილი (2), არჩილ ჩხატარაშვილი (4), ელიაძე (3), ყველაშვილი (21ქ.11მ.)

შეხვედრა საინტერესოდ დაიწყო და პირველი ტაიმი თსუ-მ მხოლოდ 3 ქულის სხვაობით — 44:41 მოიგო, მესამე მეოთხედში კი სტუდენტებმა 32:10 სძლიეს ზღვისპირელებს, სადაც საბოლოოდ გაირკვა შეხვედრის გამარჯვებული.

თსუ-მხრიდან საუკეთესო 27 ქულით მიხეილ ბერიშვილი გახლდათ, ხოლო ბათუმელთაგან 21-21 ქულით ლაშა კეშელავა და გიორგი ყველაშვილი გამოირჩნენ. ამ უკანასკნელმა კი საკუთარ ანგარიშზე 11 მოხსნაც მიითვალა და ორმაგი დუბლი შეარულა.



### არმია — თსსუ 80:53
(25:16, 13:14, 23:7, 18:15

**არმია:** ბაქრაძე (12), ტუღუში (10ქ.11მ.), ბოისა (17), მინაშვილი (11), შარაბიძე (15), ბაბიაშვილი (2), პირველაშვილი (3), ლევან მოსეშვილი (2), ათანელიშვილი (4), ათუაშვილი (4), საყვარელიძე, ანატოლი ბერიაშვილი

**თსსუ:** როჯერსი (10), გულისაბედაშვილი, ჭოჭუა (3), ბექაური (5), დვალიშვილი (19), ჩაჩიბაია (9), იოსებ ლეჟავა, თავართქილაძე (3), გაბისონია, ნინიაშვილი (4), კეიდია, ფაიქრიძე

ტურის ცენტრალურ მატჩად ეს შეხვედრა იყო მიჩნეული — თამაში არმიელებმა დამაჯერებლად — 80:53 მოიგეს.

პირველი ტაიმი ძალოვნების სასარგებლოდ დასრულდა — 38:30, მესამე პერიოდში მედიკოსები 8:23 დამარცხდნენ, ტაიმის მიწურულს კი „არმიამ“ 20-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა და თამაშიც ბედიც გადაწყდა.

გამარჯვებულთა რიგებში 17 ქულით ანატოლი ბოისა გამოირჩა, ორმაგი დუბლი კი კოტე ტუღუშის ანგარიშზეა — 10 ქულა და 11 მოხსნა. რაც შეეხება სამედიცინოს, მათი მხრიდან 19 ქულით საუკეთესო აკაკი დვალიშვილი გახდა.

### სსაუ — შსს 68:85
(13:23, 13:24, 21:18, 21:18

**სსაუ:** სიგუა (2), არწივიძე (10), ჩაჩანიძე (5), ნანიტაშვილი, მუმლაძე (9); ტეტელაშვილი (2), ბააკაშვილი (7), ხანიაშვილი (20), გემაზაშვილი (8), ჯავახიშვილი (5)

**შსს:** კოტონი (17), ბესო ლეჟავა (6), წივწივაძე (5), დავით ბარბაქაძე (12), ტუჯანი-ტალბა (5); ლაფანაშვილი (3), ნიკოლაძე (7), ირაკლი ბერიშვილი (15), მარკოიშვილი (4), შერმადინი (2), ტომარაძე (7), სუხიშვილი (2)

შსს-მ საქმე პირველივე ტაიმში მოილია, რომელიც 47:26 მოიგო და შეხვედრის გამარჯვებულის ვინაობაც გადაწყვიტა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან 17 ქულით ტროი კოტონი გამოირჩა, ხოლო აგრარელებს 20 ქულით გიორგი ხანიაშვილმა ულიდერა.

### ქუთაისი — სოხუმი 82:81
(24:29; 21:21; 26:1§; 11:23

**ქუთაისი:** ბაბუნაშვილი, დიდია (11), კვიმსაძე (15), ტუკვაძე, ბოლქვაძე; ცეკვავა (11), ლომინაშვილი (14), გიორგი ბარბაქაძე (25), კოლუაშვილი (6).

**სოხუმი:** ფარღალავა (17), პარისი (11), ჩლაიძე (7), კვეტენაძე (2), კანკია (3); შანიძე (12), კარლ დამუსი, რიჩარდ დამუსი (21), ანთაძე (8).

შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან დაძაბული და საინტერესო აღმოჩნდა. პირველი მეოთხედი ქუთაისელებმა 4 ქულის სხვაობით მოიგეს, მეორე კი ფრედ დასრულდა და დიდი შესვენებაზე მასპინძლები კვლავ 4-ქულიანი ფორით გავიდნენ.

მესამე პერიოდში წინ ისევ ქუთათურები გაიჭრნენ, სოხუმელებმა მხოლოდ მეოთხე პერიოდი მოიგეს, მაგრამ მასპინძლებს ველარ დაეწივნენ და თამაში ქულით დათმეს.

უშუალო კონკურენტთან მოგებით, ქუთათურებმა თითქმის გაინაღდეს საპლეიოფო ოთხეულში მოხვედრა.

გამარჯვებულთაგან 25 ქულით საუკეთესო გიგი ბარბაქაძე გახლდათ, რომელმაც 9 მოხსნაც მიითვლა და ორმაგ დუბლამდე ერთი მოხსნა დააკლდა, 15 ქულითა და 10 შედეგიანი გადაცემით ორმაგი დუბლი ბუბა კვიმსაძემ მიითვალა, ხოლო სოხუმელთგან 21 ქულით რიჩარდ დამუსი გამოირჩა.

### ენერჯი ინვესტი — დინამო 72:73
(17:22, 23:18, 1§:14, 14:17

**ენერჯი:** აბაიშვილი (14), თვარაძე (11), ხმელიძე (19), არაბული (3), ლამუ (7); გივი ბერუაშვილი, გუგავა (13), აბულაძე (5)

**დინამო:** ეძგვერაძე (14), ივანეიშვილი (8), გლუნჩაძე (16), ალხანაიძე (5), თავამაიშვილი (12); პატარაია (10), თვაური (2), გულდედავა (3), ჩაველაშვილი (13)

საინტერესო გამოდგა რუსთავში გამართული „ენერჯისა“ და „დინამოს“ შეხვედრა, რომელიც სენსაციურად, „დინამოს“ გამარჯვებით დასრულდა — 73:72.

მატჩი ძალიან დრამატული გამოდგა, რაზეც პირველი ტაიმის ანგარიშიც მეტყველებს — 41:41. შეხვედრის მეორე ტაიმიც საინტერესოდ წარიმართა და თამაში ქულა-ქულაში წავიდა, თუმცა, ბოლო პერიოდში „დინამომ“ იძალა და შეხვედრა 1 ქულით მოიგო.

„ენერჯის“ მხრიდან საუკეთესო 19 ქულით ლევან ხმელიძე გახლდათ, ხოლო დინამოელთაგან 14 ქულით ირაკლი ივანეიშვილი გამოირჩა.

**სატურნირო მდგომარეობა:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.თსუ | 17 | 14 | 31582:1366 | 31 |
| 2.არმია | 16 | 14 | 21380:1102 | 30 |
| 3.შსს | 16 | 12 | 41405:1204 | 28 |
| 4.ქუთაისი | 16 | 12 | 41304:1150 | 28 |
| 5.სოხუმი | 17 | 10 | 71376:1289 | 27 |
| 6.ენერჯი | 16 | 7 | 91132:1201 | 23 |
| 7.თსსუ | 16 | 5 | 1 11157:1184 | 21 |
| 8.სტუ | 16 | 5 | 1 11286:1371 | 21 |
| 9.ბათუმი | 16 | 5 | 1 11245:1339 | 21 |
| 10.სსაუ | 17 | 4 | 131198:1392 | 21 |
| 11.დინამო | 17 | 2 | 151172:1639 | 19 |

# ქართველებმა დათვები ისევ დატორეს

დასაწყისი მე-10 გვერდზე

ერთ-ერთი მთავარი მონაწილე გორგოძე იყო. საბედნიეროდ, გვერდით მსაჯთან თათბირის შემდეგ, რეფერიმ ქართველებს არავინ გაუსინბინა და ბურთიც დაუტოვა, ოღონდ ეგაა, ჩხუბის ამტეხი რუსიც დაინდო. „ბორჯღალოსნებმა“ ჯარიმა აუტში გადაიტანეს, სუთიაშვილმა კვლავ იმარჯვა, ისევ მოლი, სადაც „ბორჯღალოსნებმა“ მეტოქე გადაქელეს და ჯაბა ბრეგვაძემ ლელო გაიტანა. შეცვლაზე შესულ ლაშა მალაღურაძეს რეალიზაცია გაუფუჭდა — 15:9.

რუსებმა სალელოვედ გაიბრძოლეს, „ბორჯღალოსნებმა“ მათი შერკინება დაჩაგრეს და ბურთი დაიბრუნეს და კონტრშეტევა წამოიწყეს, მაგრამ რეფერიმ მეტოქის 22-ში დაგვაჯარიმა და ბურთი რუსებს გადასცა, რითაც მათ ბოლო შანსი მისცა, თუმცა, მათ ხელდახელ შეტევა არ გამოუვიდათ და ვიტო კოლელიშვილს კიდევ ერთი ლელოს გატანამდე სულ ცოტა დააკლდა. მერე, აბუსერიძემ ბურთი აუტში მოიგერია და საქართველოს ნაკრებს რუსეთთან გამართულ მე-15 შეხვედრაში მე-13 გამარჯვება მოუტანა. უკვე 18 წელია, საქართველოს ნაკრები რუსეთს უშანსოდ ტოვებს, 14 შეხვედრაში, ფრეს მხოლოდ ერთხელ — 2002 წელს დააჯერა.

ამავე დღეს, ევროპის ერთა თასზე კიდევ ორი შეხვედრა გაიმართა. უკრაინამ ლისაბონში პორტუგალიასთან ბლომად ქულები აგროვა, მაგრამ თავად თითქმის ორჯერ მეტი გაუშვა და 24:46 დამარცხდა, ხოლო რუმინეთმა ესპანეთს შანსი არ დაუტოვა — ერთის საპასუხოდ, ცხრა ლელო გაუტანა და მეტოქე 64:8 გაანადგურა. აღსანიშნავია, რომ სტუმრები მეორე ტაიმში გატყდნენ, შესვენებაზე გასვლისას კი, სულ რაღაც 3:17 აგებდნენ. მიმდინარე წლის „ერთა თასზე“ კიდევ ერთი შეხვედრა უნდა გაიმართოს. უკრაინისა და რუმინეთის ნაკრებების შეხვედრა დიდთოვლობის გამო გადაიდო და მისი ჩატარების ვადა მოგვიანებით გაირკვევა.

### რუმინეთი — ესპანეთი 64:8
### პორტუგალია — უკრაინა 46:24

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 5 | 5 | 0 | 0 | 168:35 | 22 |
| 2.პორტუგალია | 5 | 3 | 0 | 2 | 113:98 | 14 |
| 3.რუმინეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 125:53 | 11 |
| 4.რუსეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 100:98 | 11 |
| 5.ესპანეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 92:175 | 10 |
| 6.უკრაინა | 4 | 0 | 0 | 4 | 45:184 | 0 |

მოამზადა გენადი თვაურმა

## შედეგები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 8.უტრეხტი | 27 | 11 | 8 | 8 | 43:34 | 41 |
| 9.ერაკლესი | 28 | 10 | 7 | 11 | 52:48 | 37 |
| 10.ნაიმეგენი | 28 | 8 | 12 | 8 | 44:47 | 36 |
| 11.ჰერენვენი | 28 | 9 | 8 | 11 | 50:45 | 35 |
| 12.ფეინოორდი | 27 | 9 | 7 | 11 | 37:44 | 34 |
| 13.ბრედა | 28 | 10 | 4 | 14 | 36:49 | 33 |
| 14.გრააფსხაპი | 28 | 8 | 9 | 11 | 27:45 | 33 |
| 15.ვიტესი | 28 | 7 | 8 | 13 | 34:48 | 29 |
| 16.ექსელსიორი | 27 | 6 | 4 | 17 | 32:55 | 22 |
| 17.ვენლო | 28 | 5 | 2 | 21 | 24:59 | 17 |
| 18.ტილბურგი | 28 | 2 | 6 | 20 | 28:75 | 12 |

*ბრედას დაკლებული აქვს 1 ქულა*

**პორტუგალია. ა ლიგა**

სპორტინგი-ლეირია ........ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 23 | 21 | 2 | 0 | 53:7 | 65 |
| 2.ბენფიკა | 23 | 17 | 1 | 5 | 46:20 | 52 |
| 3.სპორტინგი | 24 | 10 | 8 | 6 | 33:25 | 38 |
| 4.ფერერია | 23 | 8 | 9 | 6 | 23:25 | 33 |
| 5.გიმარაეში | 24 | 9 | 6 | 9 | 27:31 | 33 |
| 6.ბრაგა | 22 | 9 | 4 | 9 | 36:29 | 31 |
| 7.ნაციონალი | 23 | 8 | 7 | 8 | 20:25 | 31 |
| 8.ლეირია | 24 | 8 | 6 | 10 | 19:27 | 30 |
| 9.ბეირა მარი | 23 | 6 | 10 | 7 | 26:26 | 28 |
| 10.ოლჰანენსე | 22 | 6 | 10 | 6 | 19:21 | 28 |
| 11.რიუ ავე | 23 | 7 | 6 | 10 | 22:26 | 27 |
| 12.მარიტიმუ | 23 | 6 | 7 | 10 | 24:25 | 25 |
| 13.აკადემიკა | 23 | 6 | 7 | 10 | 28:36 | 25 |
| 14.სეტუბალი | 23 | 4 | 9 | 10 | 18:32 | 21 |
| 15.პორტიმორ. | 24 | 4 | 7 | 13 | 23:40 | 19 |
| 16.ნავალი | 23 | 3 | 7 | 13 | 18:40 | 16 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

კილმანროკი-მოზერველი ........ 3:1
ჰამილტონი-სტ.ჯონსონი ........ 0:0
დანდი-ინვერნესი ........ 1:0
ჰართსი-სტ.მირენი ........ 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 28 | 21 | 4 | 3 | 61:17 | 67 |
| 2.რეინჯერსი | 26 | 20 | 2 | 4 | 59:24 | 62 |
| 3.ჰართსი | 30 | 18 | 4 | 8 | 44:28 | 58 |
| 4.დანდი | 29 | 12 | 10 | 7 | 38:33 | 46 |
| 5.კილმანროკი | 30 | 13 | 6 | 11 | 46:36 | 45 |
| 6.მოზერველი | 30 | 11 | 4 | 15 | 32:41 | 37 |
| 7.ინვერნესი | 30 | 9 | 9 | 12 | 39:38 | 36 |
| 8.სტ.ჯონსონი | 29 | 8 | 9 | 12 | 18:34 | 33 |
| 9.ჰიბერნიანი | 29 | 9 | 5 | 15 | 31:45 | 32 |
| 10.აბერდინი | 29 | 9 | 4 | 16 | 31:47 | 31 |
| 11.სტ.მირენი | 28 | 5 | 7 | 16 | 24:47 | 22 |
| 12.ჰამილტონი | 30 | 2 | 10 | 18 | 17:50 | 16 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრასნოდარი-ნალჩიკი ........ 2:0
დინამო-როსტოვი ........ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.კრასნოდარი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| 2.როსტოვი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| 3.რუბინი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 4.ცსკა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 5.ვოლგა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 6.დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| 7.ლოკომოტ. | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| 8.ზენიტი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 9.ნალჩიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| 10.ანჟი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 11.კრ.სოვეტ. | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 12.ტერეკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 13.ყუბანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 14.ამკარი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 15.ტომი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 16.სპარტაკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი-ლინცერი ........ 0:0
ინსბრუკი-შტურმი ........ 1:0
ნოიშტადი-მატერსბურგი ........ 2:1
კაფენბერგი-რიდი ........ 2:1

**ბელგია. პროლიგა**

კორტრაიკი-ვარეგემი ........ 2:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ქსამაქსი-ციურიხი ........ 1:2
სტ.გალენი-ბელინცონა ........ 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-მანისა ........ 1:0
გაზიანთები-ისთამბული ........ 4:1
ქონია-ანტალია ........ 0:0
ბეშიქთაში-ქაისერი ........ 4:2

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ლიბერეცი-ბოლესლავი ........ 4:0
სლოვაცკო-იაბლონეცი ........ 1:1
სპარტა-ბრნო ........ 2:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პოლონია-ვიძევი ........ 0:1
შლიონსკი-ლეჩნა ........ 2:1
ლეხი-იაგელონია ........ 2:0
კრაკოვია-კორონა ........ 3:0

**უკრაინა. ვიშა ლიგა**

ზარია-ობოლონი ........ 1:0
სევასტოპოლი-კარპატი ........ 3:1
კრივბასი-მეტალისტი ........ 0:0

**დანია. სუპერლიგა**

სილკებორგი-ოდენსე ........ 1:1

**ფინეთი. თასი**

ჯჯკ-ინტერი ........ 1:1(1:0პ)
ტამპერე-ტპს ........ 1:0
ჰიკი-კუუპიო ........ 4:3
ჰონკა-იარო ........ 2:0

**აშშ. მლს**

ვანკუვერი-ტორონტო ........ 4:2
ვაშინგტონი-კოლამბუსი ........ 3:1
რედ ბული-სიეტლი ........ 1:0
დალასი-ჩიკაგო ........ 1:1
კოლორადო-პორტლენდი ........ 3:1
სან ხოსე-სოლტ ლეიკი ........ 0:1
ჩივასი-კანზასი ........ 2:3

**არგენტინა. კლაუსურა**

ქილმესი-ინდეპენდიენტე ........ 1:1
გოდოი-ლანუსი ........ 2:0
ოლ ბოიზი-კოლონი ........ 0:2
არსენალი-რივერ პლეიტი ........ 1:1

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

კლიპერსი-კლივლენდი ........ 100:92
მაიამი-დენვერი ........ 103:98
მემფისი-ინდიანა ........ 99:78
ნიუ ორლეანი-ბოსტონი ........ 85:89
სან ანტონიო-შარლოტი ........ 109:98
პორტლენდი-ფილადელფია ........ 110:101

**რაგბი. 6 ერის თასი**

შოტლანდია-იტალია ........ 21:8
ირლანდია-ინგლისი ........ 24:8
საფრანგეთი-უელსი ........ 28:9

**ჩოგბურთი**

**ატპ. ინდიანა უელსი. პაჩი**

ნადალი-დელ პოტრო ........ 6:4;6:4
ჯოკოვიჩი-ფედერერი ........ 6:3;3:6;6:2

**ვტა. ინდიანა უელსი. პაჩი**

ვოზნიაცკი-შარაპოვა ........ 6:1;6:2

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

მინესოტა-კოლამბუსი ........ 4:5(ოტ)
ბუფალო-ატლანტა ........ 8:2
ოტავა-ტამპა ბეი ........ 3:2(ოტ)
ტორონტო-ბოსტონი ........ 5:2
ფლორიდა-აილენდერსი ........ 3:3(0:1ბ)
დალასი-ფილადელფია ........ 2:2(0:1ბ)
ნეშვილი-დეტროიტი ........ 3:1
ედმონტონი-კოლორადო ........ 2:2(0:1ბ)
ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი ........ 1:2(ოტ)
სან ხოსე-სენტ ლუისი ........ 5:3

## TV პროგრამა

**ორშაბათი 21 მარტი**

**06.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ.სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** აქცენტები **15.00** სერიალი **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "გამორჩეული სასტუმროები" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერიალი **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** აუდიტორია **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.30** მხ. ფ **"სიკვდილის ზღვარზე"** (12) (მ. ბროდერიკი) **03.00** მოამბე **03.20** ცხოვრება მშვენიერია **05.00** მხ. ფ. **"მხსნელი"** (12)

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** მხ. ფ. **"პიტერ პენი"** **11.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** რეგიონის დროით **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფ. **"მამაკაცები შავებში"** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"სიღრმე"** (18)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი **"ცოდვილი"** 1-ლი ს. **11.00** სერიალი **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20** კურიერი **12.30** სერიალი **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** იღბლიანი ბორბალი (გან.) **16.00** სერიალი **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერიალი **"დანიელა"** **19.50** სერიალი **"ელენას მოჩვენება"** **22.00** ნიჭიერი **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** მხ. ფილმი **"რემბო 3"** (18) (ს. სტალონე) **03.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.40** პულსი **15.20** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერიალი **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.40** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.25** ტვ-მარკეტი **12.35** სერ. **"ლოლას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"ლოლას საიდუმლო"** **21.00** სერიალი **"ქალბატონი"** **22.00** სტუმრად იუმორინასთან **23.00** მუსიკალური ლიგა **00.00** მხ. ფილმი **"ლამაზი მერის ამბავი"** (12) (კ. დიასი) (სუბტ.) **02.20** მხ. ფ. **"მტრის საწოლში"** (12) (ჯ. რობერტსი) (სუბტ.) **03.55** მხ. ფ. **"მისტერ და მისის სმითები"** (12) (სუბტ.) **06.30** სერიალი **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"ადვოკატი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერიალი **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერიალი **"მამები"** **14.50** ფერისცვალება **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერიალი **"მხოლოდ შენ"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საგალობელი **12.05, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"ფიროსმანი"** **13.30** კონცერტი – ანს. "დიდგორი" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** სპექტაკლი **"ხიდი"** **17.25** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"ჩემი ბებია"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** მოკლემ. ფილმი **"პიესა ოთხი ხელისთვის"** **21.40** პირველშეწირულის ლიტურგიის განმარტება **22.20** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფ. "სამშობლო ხარ ჩემი" **00.30** სუფთა დაფა

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

21 მარტი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,7097

ევრო — 2,383

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7477

რუსული რუბლი — 0,0596

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 11-13, ღამით — 5-7

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13-1§, ღამით — §-11

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 4-8, ღამით — 9-3

## ამინდის პროგნოზი 21 მარტისთვის







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო“ ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს“ ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს“ შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.


## ვან დერ ვაარტი „რეალთან“ შეხვედრაზე ოცნებობდა

**ლონდონის „ტოტენჰემის" ჰოლანდიელმა შემტევმა ნახევარმცველმა, რაფაელ ვან დერ ვაარტმა, აღიარა, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ყველაზე მეტად მადრიდის „რეალთან" შეხვედრაზე ოცნებობდა, რაც აუხდა კიდეც.**



— კენჭისყრით კმაყოფილი დავრჩი. იმედი მქონდა, რომ ყველაფერი სწორედ ასე მოხდებოდა. მადრიდში დაბრუნება საუცხოო იქნება. იქ ბევრი მეგობარი დამრჩა და მათი ნახვა ძალიან გამახარებს. ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გველის, რაც კარგია და სწორედ ეს მახარებს. ჩემი აზრით, „რეალი“ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი კლუბია. რა თქმა უნდა, ამჟამად, „ბარსელონა“ მსოფლიოში საუკეთესოა, მაგრამ □„რეალის“□ დიდება მისი მდიდარი ისტორიიდან გამომდინარეობს, რაც მის საშინაო სტადიონზეც იგრძნობა. „სანტიაგო ბერნაბეუ“ საუცხოო არენაა. იქ მშვენიერი მოედანია, 90.000 გულშემატკივარი იკრიბება და თამაშისგან ყოველთვის საუცხოო შეგრძნებას იღებ. მადრიდში ორი წელი გავატარე და იქ დაბრუნება ჩემთვის ოცნება იყო, — განაცხადა ვან დერ ვაარტმა, რომლის სიტყვები „ტოტენჰემის“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების 28 წლის ნახევარმცველი, „რეალში“ 2008-2010 წლებში გამოდიოდა და 71 შეხვედრაში 12 გოლი გაიტანა. გასული წლის 31 აგვისტოს, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ორი საათით ადრე, მადრიდელებმა ვან დერ ვაარტი ლონდონელებს 8 მილიონ გირვანქად მიჰყიდეს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## ასტროპროგნოზი 21 მარტისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ახალი საქმე გაამართლებს, ბედი გწყალობთ. **კურო** — არ აყვეთ ჭორებს, თავი არ დაიმციროთ. **ტყუპები** — იმიჯის შეცვლაზე ზრუნვა სწორედ რომ დროულია. **კირჩხიბი** — ვალს გაისტუმრებთ და შვებით ამოისუნთქავთ. **ლომი** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **ქალწული** — არ აჩქარდეთ, კარგად დაფიქრდით. **სასწორი** — ჩვეულ ცხოვრებას უნდა დაუბრუნდეთ, განდევნეთ ავი ფიქრები. **ღრიანკალი** — თქვენი საქმე წინ მიდის, თქვენზე ზრუნავენ. **მშვილდოსანი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **თხის რქა** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდ სიტუაციაში გაატარეთ. **მერწყული** — ჩიხში ხართ, მაგრამ გამოსავალს მაინც იპოვით. **თევზები** — მეგობრები დაგეხმარებიან, პრობლემას ადვილად გადალახავთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი



— რით სამურაი ქირურგისაგან იმგანსხვავდება, რომ მუცლის გაკვეთის დროს იცის, ამას რატომ აკეთებს...

* * *

— ამაღლებულ გრძნობებს შორის ყველაზე სასიამოვნო პატრიოტიზმია — რაიმეს კეთება საჭირო არ არის, მხოლოდ თანამემამულეების საქმეებით უნდა იამაყო...

* * *

— ექიმო, მითხარით, გრიპი მაქვს?
— დიახ,
— ღორის?
— რა თქმა უნდა, დილის ოთხ საათზე 35.7 ტემპერატურით სასწრაფოს გამოძახება მხოლოდ ღორს შეეძლო...

*გ. თ.*

## კროსვორდი



**თარაზულად:** 5. მარადმწვანე დეკორატიული მცენარე; 6. ბალახოვან-ბუჩქოვანი მცენარე (იხმარება მხალად); 8. დრო, ხანი; 9. იაპონური პოეზიის ჟანრი; 10. ებრაელთა სახელმწიფო ენა; 11. წვრილი ქვიშა; 13. ზღვაში მოცურავე ყინულის მთა; 14. თხრობითი მხატვრული ლიტერატურა; 16. შუა აზიელი პოეტი-მომღერალი; 18. ლუდის სასმისი; 20. ვინმეს ან რამის შესახებ ცნობების გავრცელება მისი პოპულარიზაციის მიზნით; 21. კუნძული წყნარ ოკეანეში, ეკუთვნის ჩინეთს.

**შვეულად:** 1. საზოგადოებრივი მოძრაობის აღიარებული ხელმძღვანელი; 2. მოჩვენებითი რამ; 3. გერმანული სპორტული ფირმა; 4. ლაბორატორიული ჭურჭელი; 5. სახურავი მასალა; 7. ეგვიპტეში ტყვე-მონებისაგან შემდგარი სულთნის პირადი გვარდია; 11. სასწავლო დაწესებულება; 12. დიდი ზომის ქვეწარმავალი; 13. ეკლესიიდან განდევნა; 14. ლეოპარდი; 15. ოთახი საავადმყოფოში; 17. ღია ცის ქვეშ დროებითი სადგომი; 19. ქიმიური ელემენტი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*


# 21 მარტიდან

100 წიგნი

„ახალი თაობა“ და „საოჯახო ბიბლიოთეკა“

გთავაზობთ

# სუპერპროექტს

## ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




ტომი 1

# განდი

გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი